# ლელო

გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 აგვისტო **სამშაბათი** 2011
№ 185 (13482) ფასი 80 თეთრი



ეროვნული ბიბლიოთეკა

## პოლონეთთან ნაკრები უკრები იქნება

2

# დიდოში ესპანეთს შეერთდება

## კიდევ ერთი, თანაც, ბასკი

### მიკელ ალვარო სალასარი ორი წლით დინამოელია





2

### პოლოლიკაშვილი დილით:

## ჩვენ ესპანელები ევროტურისტებად არ ჩამოგვყავს...

### ...და საღამოს:

## რაა? იჯარა?

გუშინ **დავით მინაშვილის** გადაცემა "საფეხბურთო მიმოხილვაში" ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ზვიად სიჭინავამ** ისეთი განცხადება გააკეთა, რომელსაც უყურადღებოდ ვერ დავტოვებდით - თბილისის "დინამომ" ეროვნული სტადიონი 49-წლიანი იჯარით აიღო, 26 აგვისტოდან სტადიონი იხურება და პრობლემა შეგვექმნა - სად მიიღებს ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები 1 სექტემბერს ესპანეთსო?

დიდი ხანია, ვრცელდება ხმები, რომ „ეროვნულის" მოიჯარეობას თბილისის "დინამოს" ახალ მეპატრონე **რომან ფიფიას** სთავაზობენ. გუშინ სტადიონზე გამართულ პრესკონფერენციაზე "დინამოს" გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმაც** თქვა, შესაძლოა, საფრის შეცვლაში თბილისის მერიასთან ერთად კლუბმაც მიიღოს მონაწილეობაო, მაგრამ იჯარაზე სიტყვაც არ დაუძრავს.

კომენტარისთვის ზურაბ პოლოლიკაშვილს დავუკავშირდით:

*- რაღაც გაუგებრობაა: ეროვნული სტადიონის იჯარით აღებაზე „დინამომ" თბილისის მერიასთან მოლაპარაკება კი წამოიწყო, მაგრამ ჯერ საკითხი არ გადაწყვეტილა და, ცხადია, ახალგაზრდულ ნაკრებს სტადიონზე თამაშს ვერ ავუკრძალავდით. ან "ბორის პაიჭაძე" იჯარით მართლაც რომ აგვეღო, ნაკრებს იქ გამოსვლას რატომ დავუშლიდით? ჩვენ მხოლოდ თბილისის "დინამოს" კი არა, მთლიანად ქართულ ფეხბურთსა და, რა თქმა უნდა, ნაკრებებს და მათ ინტერესებს ვემსახურებით...*

3



## ჩვენი ნუხილების ძაღლის თავის სასაფლაო: ლანდშაფტი

### იგორ კოკოშკოვი:

## წინ მივდივართ!





### საქართველოს ნაკრები ევრობასკეტისთვის მზადებას განაგრძობს

12

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ნაკრები

# მიზეზად, ვიზაო დანაკლისია: ანანიძე, რევიშვილი მჭედლიძე

საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ბოლო მომენტში **ნუკრი რევიშვილი** და **ჯანო ანანიძე** გამოაკლდნენ – ოფიციალური ინფორმაციით, სავიზო პრობლემების გამო. **თემურ ქეცბაიამ** ანანიძის შემცვლელი არ გამოიძახა, რევიშვილის ნაცვლად კი "ზესტაფონის" მეკარე **ზურაბ მამალაძეს** უხმო, რომელიც, ქართულ კლუბებში მოთამაშე სხვა ფეხბურთელებთან ერთად გაფრინდა პოლონეთში ჩვენი ჩემპიონატის პირველი ტურის დასრულების შემდეგ. შეგახსენებთ, სანაკრებო შეკრება გუშინ პოლონეთშივე დაიწყო.

საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის ხელმძღვანელის, **ლაშა დვალიშვილის** ცნობით, ჩვენი ეროვნული ნაკრები ქალაქ ლიუბინის ოთხვარსკვლავიან სასტუმრო „კუბუსში" ცხოვრობს. იქვე ბინადრობს პოლონეთის ეროვნული ნაკრებიც. დვალიშვილისვე ინფორმაციით, ადგილობრივ მედიას სტუმრების მიმართ ყურადღება საერთოდ არ გამოუჩენია და, შესაბამისად, არც ქეცბაია და არც ფეხბურთელები ჟურნალისტებს არ შეხვედრიან.

დღეს ქეცბაია ფეხბურთელებს "ლეგნიკას" სტადიონზე ავარჯიშებს. ხვალ კი, როცა ჩვენები სრული შემადგენლობით შეიკრიბებიან, „დიალოგ არენაზე" გადაინაცვლებენ და იქ გამართავენ მატჩისწინა ვარჯიშს. როგორც იცით, შეხვედრაც იქვე შედგება.

დანაკლისს ვერც ახალგაზრდული ნაკრები ასცდა. იტალიური „ემპოლის" თავდამსხმელი **ლევან მჭედლიძე** ფეხის ტკივილმა შეაწუხა და გუნდის თავკაცმა **ოთარ გაბელიამ** მისი დასვენება გადაწყვიტა. მჭედლიძის ნაცვლად ნაკრებს არავინ დამატებია.

ახალგაზრდული ნაკრები კიშინიოვში ჩასვლისთანავე მოლდოვის ნაკრების ბაზაზე დაბინავდა და პირველი ვარჯიშიც გუშინ, საღამოს იქვე, სავვარჯიშო ბაზის მოედანზე გამართა. ხვალ გაბელია გუნდს ისევ ბაზაზე ავარჯიშებს.

შეგახსენებთ, პოლონეთისა და საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ამხანაგური მატჩი, ისევე, როგორც მოლდოვისა და ჩვენი ახალგაზრდულის შეხვედრა, ხვალ გაიმართება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

დინამო

# ნათესავი ჩამოვიდა

**მიკელ ალვარო სალასარი**
**დაიბადა 1982 წლის 20 დეკემბერს ესპანეთის ქალაქ ამურიოში**
**სიმაღლე 175 სმ**
**პოზიცია ნახევარმცველი**
**ბოლო კლუბი: "ნუმანსია" (სეგუნდადივიზიონი)**

**საკლუბო კარიერა:**

| | | |
|---|---|---|
| 2003-2006 | ამურიო | 71 (5) |
| 2006-2007 | ბარაკალდო | 30 (2) |
| 2007-2008 | დენია | 35 (1) |
| 2008-2009 | ლეიდა | 36 (13) |
| 2009-2011 | ნუმანსია | 50 (4) |

ევროპაში მოგზაურობის შემდეგ ჯერ კიდევ **სულხან-საბა ორბელიანი** წერდა ბასკებზე – დასავლეთ იბერიაში (ანუ ესპანეთში) ცხოვრობენ არამცირედნი ნათესავნი ქართველთაო. ვერ გეტყვით, მხოლოდ ლეგენდაა თუ არა ქართველებისა და ბასკების ნათესაობაზე არსებული თეორიები, ამაზე წიგნებიც დაწერილა, მაგრამ იმას კი მოგახსენებთ, რომ საფრანგეთსა და ესპანეთში მდებარე შვიდ ბასკურ რეგიონში გვხვდება გვარები – ბარათელი, ნოდია, ბოკერია, არის მთა არჩანდა, გურია, შვიდთვიან ბავშვს ეძახიან არითმენდას და ა.შ. საფრანგეთის ნაკრების კარს 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე ბასკი **ბარათელი** იცავდა.

სწორედ ამიტომ ჰკითხა ხუმრობით "დინამოს" პრესატაშე **გიგა გვენცაძემ** გუშინ ბორის პაიჭაძის სახელობის ეროვნულ სტადიონზე თბილისის "დინამოს" ბასკ ახალ წევრს **მიკელ ალვაროს**, ჩვენიანად ჩაგთვალოთ თუ ლეგიონერადო.

თბილისის "დინამოს" 28 წლის ახალწვეული ამპლუით შემტევი ნახევარმცველია. საქართველოში ჩამოსვლამდე ესპანეთის სეგუნდადივიზიონის "ნუმანსიაში" თამაშობდა.

ალვარომ კლუბთან 2-წლიანი კონტრაქტი გააფორმა და "დინამოში" 11-ნომრიანი მაისურით ითამაშებს, რომელიც თბილისელთა გენერალურმა დირექტორმა **ზურაბ პოლოლიკაშვილმა** გუშინ მედიასთან წარდგენისას გადასცა.

**მიკელ ალვარო:** აქ ჩამოსვლით ბედნიერი ვარ. „დინამოში" ძალიან კარგად მიმიღეს როგორც ესპანელმა, ასევე ქართველმა თანაგუნდელებმა. ვამაყობ, რომ ვითამაშებ ისეთ ცნობილ კლუბში, როგორიც თბილისის „დინამოა".

**- არის ლეგენდა, რომ ბასკები საქართველოდან წასული ხალხია და ამის გამო ჩვენიანად გთვლით. ამ ლეგენდის შესახებ თავად რაიმე გსმენიათ?**

- ჩამოსვლის დღიდან სულ ამას მეუბნებიან, მაგრამ მე არაფერი ვიცოდი.

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** ესპანეთში მუშაობისას ბასკეთში ვიმყოფებოდი და ხასიათებსა და ქცევებში მართლაც გასაოცარი მსგავსება აღმოვაჩინე. იმედია, ალვაროს "დინამოსთან" სწრაფ ადაპტირებაში ესეც დაეხმარება.

**- თვლით, რომ "დინამოში" თამაში თქვენთვის წინ გადადგმული ნაბიჯია?**

**მიკელ ალვარო:** მე ისეთ ქვეყანაში ვთამაშობდი, სადაც პირველ ლიგაშიც მაღალი დონის ჩემპიონატი ტარდება. მაგრამ, ვინაიდან "დინამო" ევროპის ლიგაზე გამოდის, ეს ტრანსფერი წინ გადადგმულ ნაბიჯად მიმაჩნია. მე თავდამსხმელების უკან ვთამაშობ, მაგრამ მარჯვენა და მარცხენა ფლანგზეც მაყენებდნენ.

**- ალვაროს გადმოყვანით "დინამოს" ტრანსფერები დასრულდა?**

**ზურაბ პოლოლიკაშვილი:** ეს აეკ-თან ევროპის ლიგის პლეი ოფის მატჩებზე იქნება დამოკიდებული. თუ ჯგუფურ ეტაპზე გავალთ, გავძლიერდებით. წინ სწრაფად მივდივართ და იმედია, ამ ეტაპის შემდეგაც გვექნება სიახლეები.

მივესალმები ალვაროს ჩამოსვლას. ჩვენი მიზანი მაღალი კლასის ფეხბურთელების შეძენაა. ალვარო ტექნიკური და შემტევი ნახევარმცველია და იმედია, სხვა ესპანელების მსგავსად, ისიც სწრაფად გაივლის ადაპტაციას, მარტივად და იოლად გაუგებს თანაგუნდელებს და პლეი ოფის გადალახვაში დაგვეხმარება.

**- ითამაშებს ალვარო ევროპის ლიგაზე აეკ-თან?**




- ეს თითქმის გადაწყვეტილია, მალე ოფიციალური განაცხადიც გვექნება.

**- ალექს გარსიაც არ უარყოფს, რომ "დინამოს" დაცვაში პრობლემებია, რაც "სპარტაკთან" მატჩშიც გამოჩნდა. ამ პოზიციის გაძლიერებასაც ხომ არ აპირებთ?**

- ევროპის ლიგის მატჩებში 17 გოლი გავიტანეთ და 4 გავუშვით. სტატისტიკიდან გამომდინარე, შეიძლება ვიფიქროთ, რომ დაცვაში არ გვიჭირს, მაგრამ, ცხადია, ხარვეზებს ვხედავთ. უბრალოდ, ამ ეტაპზე ალექს გარსიამ მიზანშეწონილად შუა და წინა ხაზების გაძლიერება მიიჩნია, შემადგენლობაში რადიკალურ ცვლილებებსა და ექსპერიმენტებსაც მოვერიდეთ და ამ შემადგენლობით ამიტომაც ვთამაშობთ.

**- სანდრო იაშვილი, ვახტანგ ფანცხავა და ლადო ახალაია გუნდში რჩებიან?**

- სამივე გამოსაცდელი ვადით, 6 თვით ავიყვანეთ. ამ ეტაპზე კონკურენციას ვერ გაუძლეს, მაგრამ ორი-სამი თვე კიდევ აქვთ და გამოჩნდება, გუნდში ადგილს დაიმკვიდრებენ თუ არა.

... თბილისელთა გენერალურმა დირექტორმა თავად დაიწყო იმ თემაზე ლაპარაკი, რომელზეც ბოლო დროს გულშემატკივრები ბევრს მსჯელობენ – ესპანელი ფეხბურთელები მხოლოდ ევროპის ლიგაზე სათამაშოდ ხომ არ ჩამოიყვანეს? ბევრი ფიქრობს, რომ ლეგიონერები "დინამოს" ევროტურნირის შემდეგ დატოვებენ. ამასთან დაკავშირებით პოლოლიკაშვილმა განაცხადა:

- არ მინდა, ჩათვალოთ, რომ ესპანელები ერთი ან ორი თვით ჩამოვიყვანეთ. ეს გრძელვადიანი პროექტია, განსაკუთრებით მომავალი სეზონისთვის ვემზადებით და ვფიქრობთ მაქსიმალურ შედეგზე – საქართველოს ჩემპიონობა და ჩემპიონთა ლიგაში თამაში გვინდა. საამისოდ კი "დინამო" ჩამოყალიბებული და შეთამაშებული გუნდი უნდა იყოს, რაც ერთ თვეში შეუძლებელია, ახალწვეულებმა ჯერ თბილისის ქუჩებიც არ იციან. იმედია, აეკ-თან წარმატებით ვითამაშებთ და ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გავალთ, მაგრამ ეიფორია და ზედმეტი აჟიოტაჟი მიუღებელია.

**- ეროვნულ სტადიონზე მოედნის შეცვლა თუ იგეგმება?**

- ვითარების გამოსასწორებლად კლუბი თბილისის მერიასთან თანამშრომლობს. ამ ეტაპზე უნდა გადავარჩინოთ მოედანი, ჩვენთვის ბევრს ნიშნავს იდეალურ საფარზე თამაში. ამიტომაც შევხვდით ცხინვალის "სპარტაკს" ეროვნული ნაკრების ბაზაზე. თუმცა ეს კომფორტული ნამდვილად არ იყო, ვინაიდან უგულშემატკივროდ თამაში ძნელია. ამიტომ გადავწყვიტეთ, რომ 14 აგვისტოს კვლავ ეროვნულ სტადიონზე ვითამაშოთ. სამწუხაროდ, კალენდარი მოედნის განახლების საშუალებას არ გვაძლევდა, რადგან ასეთ შემთხვევაში არენა თვენახევრით უნდა დაგვეკეტა. იმედია, მოედნის საკითხს მერიასთან ერთობლივად მოვაგვარებთ და ეროვნულ სტადიონზე ერთხელ და სამუდამოდ დაიგება საუკეთესო საფარი.

**- ერთობლივად მერიასთან?**

- დიახ, ჩვენ ხომ ვთანამშრომლობთ და ლაპარაკი არის თანამონაწილეობაზე.

**- მანამდე "ლოკომოტივზე" გადასვლას ხომ არ გეგმავთ?**

- ეს ჩვენზე არ არის დამოკიდებული, რადგან სტადიონი ჯერ უეფამ უნდა მიიღოს.

**- "დინამოს" საფეხბურთო აკადემია სად განთავსდება?**

- ჯერჯერობით აკადემიისთვის ფართობი არ შეგვირჩევია, განიხილება სამი ვარიანტი და მოლაპარაკებაც მიმდინარეობს. მაგრამ ჯერ ტერიტორიაზე არ დავკონკრეტდები. დღეს კი "დინამოს" აკადემიაში 9 ასაკობრივი ჯგუფი სხვადასხვა ნაქირავებ მოედანზე ვარჯიშობს.

**მერაბ მამულაშვილი**

ზესტაფონი



# საჯაია თითქმის იმერელია

## ფოთელებთან შეთანხმება მიღწეულია

"ზესტაფონმა" ქუთაისში "ტორპედო" **გია გეგუჩაძის** გარეშე დაამარცხა – როგორც კლუბის პრესსამსახურის უფროსმა **სერგო ფუტკარაძემ** გვაცნობა, მთავარი მწვრთნელი მოინამლა და "ზესტაფონს" ეროვნული ჩემპიონატის პირველ ტურში ამიტომაც ვერ უხელმძღვანელა. თუმცა გეგუჩაძის მდგომარეობა საგანგაშო არ არის და საწვრთნელ პროცესს მალე დაუბრუნდება.

სამაგიეროდ, ფეხბურთს დიდი ხნით დაემშვიდობა **გიორგი ხიდეშელი**, რომელმაც "დაჩიასთან" გასვლით მატჩში სერიოზული ტრავმა მიიღო. როგორც გამოკვლევებმა აჩვენა, "ზესტაფონის" ცენტრალურმა მცველმა მოლდოვაში მენისკი და ჯვარედინი იოგები ერთდროულად დაიზიანა და მოედანს დაახლოებით ნახევარ წელიწადში დაუბრუნდება. მას ბელგიაში უკვე გაუკეთეს ოპერაცია.

ხიდეშელის არყოფნაში კი საქართველოს ჩემპიონებს დაცვის ცენტრში უმაღლეს ლიგაში თამაშის გამოცდილების მქონე მხოლოდ ორი ფეხბურთელი დარჩათ – **გიორგი ონიანი** და **მამუკა კობახიძე**. ახალი ცენტრალური მცველის დამატება აუცილებელი იყო და კლუბმა ეს პრობლემა უკვე გადაჭრა – რამდენიმე დღის წინ გაცნობეთ, რომ "ზესტაფონში" **ედიკ საჯაიას** გადასვლა გადაწყვეტილი იყო და ასეც მოხდა, გუნდის განაცხადში გამოცდილ უკანახაზელს, სავარაუდოდ, დღეს შეიყვანენ. შეგახსენებთ, ევროპის ლიგის პლეი ოფში ბელგიურ "ბრიუგესთან" პირველ მატჩს ონიანი დისკვალიფიკაციის გამო გამოტოვებს და მისი ადგილი, ნესით, სწორედ საჯაიამ უნდა დაიკავოს.

თანდათან უმჯობესდება **ზურაბ მენთეშაშვილის** მდგომარეობა. გამოცდილ ნახევარმცველს, რომელიც "ზესტაფონს" გასულ ზამთარში შეუერთდა, ფეროელთა შემადგენლობაში დებიუტი დაახლოებით ერთ თვეში ექნება. მენთეშაშვილი დღეიდან ინდივიდუალურ ვარჯიშს იწყებს, **გოგი ფიფია** კი უკვე კარგა ხანია ვარჯიშობს.

ეროვნული ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრას კი "ზესტაფონი" არა სტუმრად, არამედ შინ ჩაატარებს, თანაც, კვირის ნაცვლად შაბათს. საქმე ის არის, რომ ფოთის სტადიონზე რეკონსტრუქცია მიმდინარეობს და "კოლხეთის" თხოვნით, "ზესტაფონმა" მატჩის მასპინძლობა ითავა. თამაშის 14-დან 13 აგვისტოს გადმოტანა კი "ზესტაფონის" სურვილი იყო.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ქართველთა ევრომეტოქეები

# განიავებული 3:0 და დამშვიდობება პაპა ბუბასთან

ქართული კლუბებისთვის ევროსეზონი გრძელდება და 18 აგვისტომდე, სანამ "ზესტაფონი" და "დინამო" ევროპის ლიგის პლეი ოფში, შესაბამისად, "ბრიუგესა" და აეკ-ის წინააღმდეგ მოსინჯავენ ძალებს, მეტოქეთა ბანაკში მიმდინარე ამბებს გამცნობთ.

გასულ უქმეებზე ბელგიის პრო ლიგაში მეორე ტურის მატჩები გაიმართა. "ბრიუგე" სტუმრად "სენტ ტრუიდენს" შეხვდა და 3:3-ს დასჯერდა. არადა, პირველი ტაიმი "ზესტაფონის" მეტოქემ 3:0 მოიგო, მეორე ნახევარში კი ყველაფერი თავდაყირა დადგა და "სენტ ტრუიდენმა" თამაშის გადარჩენა ათი კაცით შეძლო.

"ბრიუგემ" ამ შემადგენლობით ითამაშა: **კუსემანსი, დონკი, ჰოფკენსი, ალმებეკი, ვანსტენკისტი (78. ჰოგლი), ზიმლინგი, ოჯიჯა-ოფოე, რაფაელოვი, ვლემინკი, ვასკესი, ლესტიენი (71. დირარი).**

ამ მატჩში დუბლი შეასრულა ებრაელმა **ლიორ რაფაელოვმა**, ერთი გოლი კი **მაქსიმ ლესტიენის** ანგარიშზეა.

**ადრი კოსტერის** გუნდმა ორ ტურში ოთხი ქულა მოიპოვა და რაკი ქულათა მაქსიმუმი არავის აქვს, ბურთების უკეთესი შეფარდების წყალობით "ბრიუგე", რომელმაც პირველ ტურში შინ "ვესტერლო" 5:0 გაანადგურა, პირველ ადგილზეა.

ალბათ, გახსოვთ 2002 წლის მუნდიალის გახსნის მატჩი, როცა სენეგალმა საფრანგეთს სენსაციურად 1:0 მოუგო, გამარჯვების გოლი კი **პაპა ბუბა დიოპმა** გაიტანა. გასულ სეზონში იგი აეკ-ის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი იყო, მაგრამ თბილისში ველარ ვიხილავთ, რადგან ოჯახური მიზეზების გამო კლუბი უკვე დატოვა.

საბერძნეთში ჩემპიონატი არ დაწყებულა და იქაური კლუბები ჯერაც საკონტროლო მატჩებს თამაშობენ. ბოლო სპარინგი აეკ-მა ათენის ოლიმპიურ სტადიონზე ესპანურ "ხეტაფესთან" ჩაატარა და 0:1 წააგო.

"დინამოს" მოწინააღმდეგის შემადგენლობა ასეთი იყო: **კონსტანტინოპულოსი, კარაბელასი, დელასი, მანოლასი, მაკოსი (74. კლონარიდისი), გეორგეასი, ენცოლლუ (25. კაფესი), გუდიონსენი (66. სიალმასი), ხოსე კარლოსი, ბელეკი (84. ლეონარდო), ლიბეროპულოსი (86. ლაგოსი).**

**ლევან ჯანეზაშვილი**

ლელო

დამფუძნებელი და გამომცემელი
შპს გამომცემლობა ლელო

გამოიცემა ყოველდღე,
გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 383-384. ელექტრონული ფოსტა lelo@palitra.ge

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 38 08 63**; ელფოსტა: **leloltd@gmail.com;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის ქუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი სუპერმარკეტი

# +6 000 000 ქართული გუნდები გაგვიძვირფასდნენ

ვებგვერდი "ტრანსფერმარკტი" თბილისის "დინამოს" ბასკ ახალწვეულ მიკელ ალვაროს 900 ათას ევროდ აფასებს. ის ყველაზე ძვირადღირებული 2010 წლის აგვისტოს იყო - 1,3 მილიონი ევრო. "ნუმანსიას" მოთამაშის ჩამოსვლით საქართველოს ჩემპიონატის ყველაზე ძვირადღირებულ ფეხბურთელთა სიაში განლაგება შეიცვალა:


უცხოელთაგან ყველაზე ძვირად ჩისკო ფასობს


ბოლო დროს წარმატებულმა თამაშმა დინამოს მეკარე გიორგი ლორიას ფასზეც იმოქმედა

## ეროვნული ჩემპიონატის ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელები

| | |
|---|---|
| 1. ჩისკო („დინამო") | 1.000.000 |
| 2. მიკელ ალვარო ("დინამო") | 900.000 |
| 3. ბუბა დაუშვილი („ზესტაფონი") | 550.000 |
| 4-5. გიორგი ლორია („დინამო") | 450.000 |
| გიორგი ხიდეშელი („ზესტაფონი") | 450.000 |
| 6-7. ნიკა გელაშვილი („ზესტაფონი") | 400.000 |
| როინ კვასხვაძე („ზესტაფონი") | 400.000 |

* თანხები მოცემულია ევროში

ალვაროს ჩამოსვლა იმას ნიშნავს, რომ თბილისის "დინამოს" მოთამაშეთა ჯამურმა ფასმა ბოლო წლებში პირველად გადააჭარბა 7 მილიონ ევროს (7,125 მილიონი) და უახლოეს „მდევარ" "ზესტაფონს" მნიშვნელოვნად გაუსწრო – იმერელთა მოთამაშეების საერთო ფასად "ტრანსფერმარკტი" 5.675.000 ევროს ასახელებს.

## ქართული კლუბების მოთამაშეთა ჯამური ფასი

| კლუბი | მ.რ | ს.ა | გ.ს.ფ. | ს.ფ |
|---|---|---|---|---|
| დინამო | 26 | 25.3 | 7.125.000 | 239.423 |
| ზესტაფონი | 25 | 24.5 | 5.675.000 | 227.000 |
| მეტალურგი | 24 | 25.0 | 3.500.000 | 145.833 |
| ტორპედო | 26 | 26.2 | 2.550.000 | 98.077 |
| გაგრა | 22 | 23.2 | 2.250.000 | 102.273 |
| სპარტაკი | 20 | 23.0 | 1.575.000 | 78.750 |
| ვიტ ჯორჯია | 27 | 21.8 | 1.500.000 | 55.556 |
| კოლხეთი | 24 | 23.7 | 925.000 | 38.542 |
| ბაია | 22 | 21.6 | 900.000 | 40.909 |
| დილა | 21 | 26.5 | 760.000 | 36.190 |
| სიონი | 24 | 24.7 | 600.000 | 25.000 |
| მერანი | 21 | 24.2 | 550.000 | 26.190 |

სულ 27.910.000

მოთამაშეთა საშუალო ღირებულება 95.780

* თანხები მოცემულია ევროში

** მ.რ. – მოთამაშეთა რაოდენობა, ს.ა. - საშუალო ასაკი; გ.ს.ფ. - გუნდის საერთო ფასი; ფ.ს.ფ. - ფეხბურთელთა საშუალო ფასი.*

ალსანიშნავია, რომ ბოლო ორ თვეში ქართველი ფეხბურთელების საშუალო ფასი გაიზარდა. თუ გასული სეზონის ბოლოს "ტრანსფერმარკტი" ჩვენებურებს 91.064 ევროდ აფასებდა, ახლა 95.780 ევროა. ივნისის დასაწყისში ქართული კლუბების მოთამაშეთა ჯამური ფასი 21.400.000 ევრო იყო, ახლა - 27.910.000 ევროა, მილიონზე მეტად 6 გუნდი ფასობდა, ახლა კი - 7.

თუ გასული სეზონის ბოლოს საქართველოს უმაღლეს ლიგაში ლეგიონერთა რაოდენობა მოთამაშეთა საერთო რაოდენობის 3,0 პროცენტს შეადგენდა, ახლა ეს მაჩვენებელი 5,0 პროცენტამდე გაიზარდა. საქართველოს უმაღლესი ლიგა გუნდების ჯამური ფასით ევროპაში 37-ე ადგილზე იყო, ახლა 33-ეზეა.

ბოლოს კი გავეცნოთ გუნდებში ყველაზე ძვირადღირებული ფეხბურთელების სიას:

**დინამო:** ჩისკო – 1.000.000, მიკელე ალვარო - 900.000, გიორგი ლორია - 450.000

**ზესტაფონი:** ბუბა დაუშვილი - 550.000, გიორგი ხიდეშელი - 450.000, ნიკა გელაშვილი, როინ კვასხვაძე - 400.000

**მეტალურგი:** ირაკლი მოდებაძე - 350.000, ლექსო კვახაძე, რევაზ გეწაძე – 325.000

**ტორპედო:** გიორგი სეთურიძე, თენგიზ ჩიკვილაძე - 250.000. ვახტანგ კვარაცხელია - 175.000

**ვიტ ჯორჯია:** ბესიკ ჩიმაკაძე, გურამ გურეშიძე – 125.000, არდალიონ მიქაბერიძე, გიორგი კორიფაძე - 100.000

**სპარტაკი:** გიორგი ციმაკურიძე, გია კვარაცხელია – 250.000, კობა შალამბერიძე - 125.000

**სიონი:** ვილი ისიანი, გიორგი თარგამაძე - 50.000

**ბაია:** ნიკა აფაქიძე - 125.000, ლუკა გუგუჩია – 100.000, ზვიად სიხარულია, გურამ სამუშია - 75.000

**კოლხეთი:** გიორგი ცხადაია – 100.000, ლაშა გვალია, ლაშა ქებაძე, დავით მეგრელიშვილი - 75.000

**გაგრა:** ოვონიკოკო სეუნი აბაიომო – 275.000, გიორგი გაბედავა - 225.000, ნიკა ჯიშკარიანი – 200.000

**მერანი:** თორნიკე კაკუშაძე - 75.000

**დილა:** ვალტერ ხორგუაშვილი, პავლე ხორგუაშვილი, დავით რაჟამაშვილი, გია თოდუა – 75.000

**მერაბ მამულაშვილი**

პრობლემა



# თურმე სად ყოფილა ძაღლის თავი: ლანდშაფტში!

*პირველი გვერდიდან*

რაც შეეხება მოედანს: "დინამო"-"რეიკიავიკის" ევროპის ლიგის მატჩისას აშკარად გამოჩნდა, რომ ეროვნული სტადიონის საფარი საშინელ მდგომარეობაშია. შეხვედრამდე დინამოელთა მთავარმა მწვრთნელმა **ალექს გარსიამ** მოედნით უმაყოფილება არ დამალა, აქ თამაში შეუძლებელიაო, გაოცებულები იყვნენ თბილისელთა ესპანელი ლეგიონერებიც - ხავერდივით მოედნებზე გაზრდილებს ასეთი რამ ცხოვრებაში არ ენახათ.

„ეროვნულზე" საფარი რომ შესაცვლელია, ეს ჯერ კიდევ შარშან, შემოდგომაზე თქვა სტადიონის დირექტორმა **სანდრო შახოვმა.** მერე ისიც ითქვა, ბალახი მოულოდნელად გაცოცხლდაო და მინდვრის გამოცვლა გადაიდო. ევროთასების მატჩების შემდეგ კი, მტრისას, ეროვნულის მოედანი ისეთ მდგომარეობაში ალმოჩნდა.

ქვეყნის მთავარი არენის საფრის მდგომარეობით ყველაზე მეტად მის მოვლაზე პასუხისმგებელი კომპანიის ხელმძღვანელი **დავით ენდელაძეა** შეწუხებული და ამბობს, მოედნის გამოკეთება შეუძლებელიაო და ასახელებს მიზეზებს, რის გამოც სტადიონის დირექცია იძულებული გახდა, საფრის შეცვლაზე დროებით ხელი აეღო.

*„ჯერ კიდევ "ლანელისთან" მატჩამდე ვამბობდი, რომ მოედანმა თავისი დრო მოჭამა.*

*ის სამი პრობლემის გამო გაფუჭდა: მაღალი ტემპერატურის, თამაშების სიხშირისა და, რაც მთავარია, ნიადაგის ფენის უვარგისობის გამო — თავიდანვე არასწორად გაკეთდა მიწის ფენა, რომელზეც ბალახი ვერ იხარებდა. ამას გარდა, დაიგო არა სპორტული, არამედ ქალაქის ლანდშაფტური ბალახი, რომელიც დიდ დატვირთვებს ვერ უძლებს. ამ ყველაფერმა უკვე იჩინა თავი, საფარს სოკოვანი დაავადებები გაუჩნდა და მოედნისა და ნიადაგის ლპობის პროცესი დაიწყო.*

*მართალია, ამ პროცესის შეჩერებას ჩვენი შესაძლებლობების მობილიზებით ვცდილობდით, საფარი გაზაფხულზე გავაცოცხლეთ კიდეც და, თუ გახსოვთ, ერთი პერიოდი ნორმალურადაც გამოიყურებოდა, მაგრამ რეალურად მოედანს რესურსი აღარ აქვს, რათა ინტენსიურ დატვირთვებსა და მძიმე კლიმატურ პირობებს გაუძლოს. ამიტომ პრობლემები განსაკუთრებით იჩენს თავს მაღალი ტემპერატურისა და ტენიანობისას. ნორმალური ნიადაგი და საფარი რომ იყოს, ვერც სიცხე დააკლებდა რამეს და ვერც თამაშების სიხშირე. ამ მოედნის რეალური რესურსი ორ კვირაში ერთი მატჩია, რადგან აღდგენითი პროცესი ასეთ საფარსა და ნიადაგზე ნელა და ძნელად მიმდინარეობს.*

*საფრის შეცვლა დაგეგმილიც იყო, მაგრამ ეროვნულ სტადიონზე სამუშაოები რომ დაწყებულიყო, ჩვენი გუნდები ევროთასებზე მეტოქეებს სად უმასპინძლებდნენ? სარემონტო სამუშაოებისთვის დაიხურა საქართველოს მეორე სტადიონიც — "მიხეილ მესხიც", რომელზეც მაღალი რანგის საერთაშორისო მატჩების მასპინძლობის უფლება გვაქვს, აგრეთვე ქუთაისის სტადიონი და სხვა გამოსავალი არ იყო, საფრის შეცვლა წლის ბოლოსთვის ან 2012 წლის გაზაფხულისთვის უნდა გადაგვედო, რადგან ევროთასებამდე საფარ-ნიადაგის შეცვლასა და სათამაშო კონდიციებამდე მიყვანას მინიმუმ ორი თვე სჭირდება და ვერ ესწრებოდა.*

*სხვათა შორის, ვიცოდით, რომ ზაფხულში ასეთი ვითარება შეიქმნებოდა. პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, ჩვენი ბრალიც არის, მოედანი იდეალურ მდგომარეობაში რომ არ არის, მაგრამ უმთავრესი მაინც ობიექტური მიზეზებია. პირველად დაავადება დავამარცხეთ, მაგრამ ახლა ექსტრემალურ ვითარებაში ვიყავით და ვაბანკზე წავედით, თუმცა შედეგის მიღწევა უკვე შეუძლებელი იყო, რადგან მოედანმა რესურსი ამოწურა. იცით, როგორი ვითარება იყო? გუნდი 0:1-ს რომ აგებს და იძულებულია, ვაბანკზე წავიდეს, მაგრამ მოგების რესურსი თუ არ გაგაჩნია, შედეგს ვერ მიაღწევ.*

*შემოდგომაზე ეროვნული ნაკრების მატჩებია და ყველას აინტერესებს, რა ეშველება საფარს, ხარისხი ვერ გაუმჯობესდება? ასეთი ნიადაგითა და საფრით აგვისტოში მაქსიმალური შედეგის მიღწევა შეუძლებელია, მაგრამ, ცხადია, მის გაუმჯობესებას ვცდილობთ. მაგრამ გამოსავალი ნორმალური ნიადაგისა და სპორტული საფრის დაგებაა"* - ამბობს ენდელაძე

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერები

# პერტიამ მძიმედ დაიწყო



განვლილ უქმეებზე აზერბაიჯანული პრემიერლიგა დაიწყო და პირველი ტური რამდენიმე ქართველისთვის წარმატებული გამოდგა. ბაქოს "ინტერმა", რომელსაც **კახა ცხადაძე** და **გიორგი ჩიხრაძე** წვრთნიან, შინ თოვუზის "თურანს" 1:0 სძლია. **გიორგი ლომაიამ, ვალერი აბრამიძემ** და **ილია კანდელაკმა** შეუცვლელად ითამაშეს, ძირითადში იყო მთავარი მწვრთნელის ვაჟი **ბაჩანა ცხადაძეც**, რომელიც 68-ე წუთზე შეცვალეს. ქართველები "თურანშიც" არიან – **ალექსანდრე გოგობერიშვილმა** და **გიორგი ბერიაშვილმა** მოედანზე 90-90 წუთი გაატარეს, **გიორგი ჭედია** კი თამაშში მე-60 წუთიდან ჩაერთო.

ბაქოს აზალ-მა, რომლის ღირსებასაც **ნუგზარ კვირტია** იცავს, სტუმრად ზაქათალის "სიმურგი" 3:0 გაანადგურა. კვირტიამ შეუცვლელად ითამაშა. ბაქოს "რავანი" გასვლაზე განჯის "ქიაფაზთან" 2:3 დამარცხდა. "რავანის" სასტარტო შემადგენლობაში იყო **გიორგი გულორდავა**, რომელიც 65-ე წუთზე შეცვალეს.

გადავინაცვლოთ სომხეთში, სადაც ჩემპიონატი, შეგახსენებთ, გაზაფხული-შემოდგომის სისტემით ტარდება. "ულისისა" და "პიუნიკის" ერევნული დერბი 1:1 დასრულდა. "ულისის" შემადგენლობაში **თენგიზ უგრეხელიძემ, გიორგი კრასოვსკიმ, შოთა ჯიქიამ** და **ლევან აკობიამ** ითამაშეს. **ლევან ბუბუტეიშვილის** "განძასარი" კი კვლავ ლიდერობს. ქართველმა მეკარემ სრულად ითამაშა, მისმა გუნდმა კი შინ "შირაქი" 4:0 გაანადგურა.

ლატვიური "ოლიმპსის" მთავარი მწვრთნელის პოსტზე მეტისმეტად წარუმატებელი დებიუტი ჰქონდა **თამაზ პერტიას**, რომლის გუნდიც რიგის "სკონტოსთან" 0:7 განადგურდა. "ოლიმპსი" ჯერჯერობით უიმედო აუტსაიდერია და იმედია, ქართველი სპეციალისტი თავის ხელს დაატყობს.

მოლდოვაში უქართველებოდ დარჩენილი "დაჩია" შინაურ კედლებში "ტირასპოლთან" 1:1-ს დასჯერდა, ტირასპოლის "შერიფმა" კი შინ "ზიმბრუს" 3:1 მოუგო. "შერიფის" უბერებელმა კაპიტანმა **ვაჟა თარხნიშვილმა** შეუცვლელად ითამაშა.

"ანჟიდან" "ფახთაქორში" გადასული **ირაკლი კლიმიაშვილი** ძირითად შემადგენლობაში მკვიდრდება. ტაშკენტური კლუბი, რომელიც ჩემპიონატში მეორე ადგილზეა, სამარყანდის "დინამოს" 0:0-ზე დაუზავდა. კლიმიაშვილმა და **კახა მახარაძემ** შეუცვლელად ითამაშეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**



# იაშვილი სიმბოლისტია

**ალექსანდრე იაშვილს** "კიკერმა" "აუესთან" მაღალ დონეზე ჩატარებული მატჩი დაუფასა და მეორე ბუნდესლიგის მესამე ტურის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა. ალსანიშნავია, რომ "კარლსრუეს" ქართველი კაპიტანი ახალდაწყებულ სეზონში ტურის რჩეულთა კრებულში უკვე მეორედ მოხვდა.

შეგახსენებთ, "აუესთან" შეხვედრაში იაშვილმა ანგარიში მე-16 წუთზე გახსნა, "კარლსრუემ" კი 2:0 გაიმარჯვა. ვეტერანმა ფორვარდმა "კიკერისგან" 1.5 მიიღო, რაც კარლსრუელთა შორის საუკეთესო მაჩვენებელი იყო.

იაშვილის გუნდს სამი ტურის შემდეგ 6 ქულა აქვს და მეექვსე ადგილზეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გოლთაცვენით დავიწყეთ...

...ვერაფერს ვიტყვით: საქართველოს XXIII ჩემპიონატი მართლაც „ხალისიანად" დაიწყო! ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ექვს მატჩში 19 გოლი გავიდა და იმედი დავიტოვოთ, ასეთი შედეგიანობა სეზონის ბოლომდე გაგრძელდეს. შედარებისათვის: წინა სეზონში, 36 ტურის განმავლობაში შედეგიანობის მხრივ საუკეთესო მაჩვენებელი სწორედ 19 გოლი იყო და ეს შედეგი სეზონის ფინიშისკენ (XXIII ტურში) დაფიქსირდა. მოკლედ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ეს მაჩვენებელი აუცილებლად გაუმჯობესდება — ბოლოს და ბოლოს, წინა სეზონისგან განსხვავებით ამჟამად უმაღლეს ლიგაში ხომ უფრო მეტი გუნდი ასპარეზობს. აქვე, რახან პარალელებზე ვსაუბრობთ, ისიც გავიხსენოთ, რომ წინა სეზონში სამი უხვგოლიანი მატჩი გვქონდა: „დინამო"-„სამტრედია" (7:1), „ზესტაფონი"-„სამტრედია" (7:0) და „ზესტაფონი"-„ბაია" (6:1). და აი, ახალი სეზონის პირველსავე ტურში შვიდგოლიანი სანახაობაც შედგა: „ვიტ ჯორჯიამ" უაღრესად დრამატულ შეხვედრაში გორის „დილას" 4:3 მოუგო!

## განსაკუთრებული მატჩი

ახალი სეზონი „ვიტ ჯორჯია"-„დილას" მატჩით გაიხსნა და XXIII ჩემპიონატის პირველი გოლიც სწორედ ამ შეხვედრაში გავიდა: თავი **გიგა ჯულელმა** გამოიჩინა! აღსანიშნავია, რომ ეს იყო 19 წლის გარემარბის სადებიუტო გოლი უმაღლეს ლიგაში, თუმცა ამ შეხვედრაში სხვაც ბევრი მოხდა დასამახსოვრებელ-აღსანიშნავი; ჯერ ერთი, მართლაც არა ვართ განებივრებულნი ისეთი მატჩებით, მოულოდნელი სცენარით რომ მიმდინარეობს და საბოლოოდ, შვიდ გოლსაც რომ იხილავს გულშემატკივარი; თანაც, არ დაგვავიწყდეს, რომ „ვიტ ჯორჯიამ" ეს მატჩი... საშინაო არენაზე ჩაატარა, — პირველად, 2008 წლის გაზაფხულის შემდეგ! მოგეხსენებათ, რომ მცხეთის „არმაზის" სტადიონს რეკონსტრუქცია უტარდებოდა და სამი სეზონის განმავლობაში „ვეტერინარები" საშინაო შეხვედრებს... ბორჯომში, გორში, რუსთავსა თუ თბილისის სხვადასხვა სტადიონზე („ლოკომოტივი", „ეროვნული", „შატილი") ატარებდნენ. და აი, განახლებულ სტადიონზე ჩატარებულ პირველსავე მატჩში მოპოვებული გამარჯვებაც; თანაც, ამიერიდან მცხეთის სტადიონს „არმაზის" ნაცვლად „მცხეთა-პარკი" ერქმევა! მოგეხსენებათ, გემოვნებაზე არ დავობენ და თუ ინგლისში არქმევენ სტადიონებს „აპტონ პარკსა" თუ „ვილა პარკს", რატომ არ შეიძლება ჩვენთანაც იგივე განხორციელდეს? მით უფრო, რომ ჩვენში დღესდღეობით ყველაფერი თუ არა, ძალიან ბევრი რამ სწორედ ინგლისურთან „კავშირში" უნდა იყოს...

## სადებიუტო შეხვედრები და გოლები

გიგა ჯულელის სადებიუტო გოლი ვახსენეთ და მის გარდა პირველ ტურში სხვა დებიუტანტებიც უნდა გამოვარჩიოთ. მოდი, ჯერ მწვრთნელებზე ვთქვათ, მით უფრო, რომ ერთდროულად რამდენიმე სპეციალისტმა პირველად გამოიყვანა თავისი გუნდი საქართველოს ჩემპიონატში! თუმცა, ყველა მათგანს სხვადასხვა „ხასიათის" დებიუტი ჰქონდა: ესპანელმა **ალექს გარსიამ** („დინამო") საქართველოს ჩემპიონატში პირველი გამარჯვება მოიპოვა. აი, **გია ცეცაძის** („დილა"), **მალხაზ ჟვანიას** („მარტვილი"), **ჯონი ჯაგიდისისა** და **ვახტანგ ჩაგელიშვილის** „დუეტის" („სიონი") დებიუტი კი მარცხიანი აღმოჩნდა. ეგ არაფერი — წინ უამრავი მატჩია და ამ მწვრთნელების პირველი გამარჯვებებიც, როგორც იტყვიან, დროის საქმეა. აქვე, კიდევ ერთი სამწვრთნელო დებიუტიც უნდა ვახსენოთ: ტურის ცენტრალურ მატჩში („ტორპედო"-„ზესტაფონი") სტუმართა გუნდს **გია გეგუჩაძის** არყოფნაში ახალგაზრდა სპეციალისტი **გია ქიაბრიშვილი** მოძღვრავდა და გადახალისებული შემადგენლობით მოასპარეზე ქვეყნის მოქმედმა ჩემპიონმა სეზონი ძლიერ მეტოქესთან გამარჯვებით დაიწყო.

ახლა კი სადებიუტო გოლებზეც, თანაც საქართველოს ჩემპიონატის ისტორიაში „ესპანური გოლებიც" ვნახეთ: „დინამოს" ესპანელმა ლეგიონერებმა, 23 წლის **კოტომ** და 30 წლის **ჩისკომ** ევროპის ლიგაზე დაწყებული შედეგიანი თამაში საქართველოს ჩემპიონატშიც გააგრძელეს! კოტოსა და ჩისკოს გარდა, საქართველოს ჩემპიონატში სადებიუტო მატჩები ჩაატარეს 26 წლის ესპანელმა **იაგუემ** („დინამო"), 26 წლის უკრაინელმა **ვლადიმირ ორდინსკიმ** („გაგრა"), მარტვილის კოტ'დივუარელმა ლეგიონერებმაც - 22 წლის **იატრომ** და 20 წლის **ტაპემ**. ასევე გვინდა აღვნიშნოთ 24 წლის **ნოდარ ნოზაძის** სადებიუტო გოლ(ებ)ი უმაღლეს ლიგაში, - გორის „დილას" ნახევარმცველი ჩემპიონატში პირველი „დუბლის" ავტორიც გახდა. ასევე პირველი გოლი გაიტანა საქართველოს ჩემპიონატში „ვიტ ჯორჯიას" 21 წლის ცენტრალურმა მცველმა **ლაშა კასრაძემ**; გაგრძელება კიდევ იქნება...

## დაბრუნებები...

„ვიტ ჯორჯია" სამწლიანი პაუზის მერე დაუბრუნდა თავის მშობლიურ სტადიონს და ზუსტად ამდენი ხანი ველოდით უმაღლეს ლიგაში გორის „დილას" გამოჩენასაც. სხვათა შორის, ფეხბურთის გულშემატკივრებს გვინდა შევახსენოთ, რომ უმაღლეს ლიგაში ჩატარებული სეზონების მიხედვით „დილა" მხოლოდ სამ გუნდს ჩამორჩება — თბილისის „დინამოს", „ტორპედოსა" და ბათუმის „დინამოს"...

უფრო ნაკლები, ორწლიანი პაუზის შემდეგ დაუბრუნდნენ უმაღლეს ლიგას **გიორგი კიკნაძე** და **ზაზა ზამთარაძე**, - ახალგაზრდა მწვრთნელთა „დუეტი" ამჯერად ქუთაისის „ტორპედოს" მოძღვრავენ. რაც შეეხება **ანატოლი პისკოვეცს**, უკრაინელი სპეციალისტი უმაღლეს ლიგაში „გაგრასთან" ერთად ერთწლიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა და პირველსავე ტურში დიდი ანგარიშითაც გაიმარჯვა! და კიდევ ერთ „დაბრუნებულზეც": გორის „დილას" გამოცდილ შემტევს, 30 წლის **რომან ახალკაცს** საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში უკანასკნელად გოლი... 7 წლის წინათ ჰქონდა გატანილი და აი, ამხელა პაუზის მერე პირველად გამოიჩინა თავი.



სპარტაკი-დინამო 1:2 — ალექსანდრე კოტორაშვილის ფოტო



გაგრა-მერანი 3:0 — გურამ დოლენჯაშვილის ფოტო




ვიტ ჯორჯია-დილა 4:3 — ლევან ჯანეზაშვილის ფოტო

## I ტურის სიმბოლური ნაკრები




## გამორჩეული მატჩები

**რატი წინამძღვრიშვილს** უმაღლეს ლიგაში დებიუტი 17 წლის ასაკში ჰქონდა, როცა „ამერის" ღირსებას იცავდა. მერე იყო უმძიმესი ტრავმები, რის გამოც, ფაქტობრივად, ორწელიწადნახევარი გაუცდა; თუმცა „ზესტაფონის" მთავარმა მწვრთნელმა **გია გეგუჩაძემ** ახალგაზრდა ფორვარდს ფეხბურთში დაბრუნების შანსი მისცა და წინამძღვრიშვილმაც ეს ნდობა... გოლებით გაამართლა! შეგახსენებთ, რომ წინა სეზონში წინამძღვრიშვილმა მეტოქეთა კარში 13 გოლი გაიტანა და ცამეტჯერვე... შეცვლაზე შემოსულმა მოახერხა! და აი, 23 წლის ფორვარდის პირველი გოლი „ზესტაფონის" შემადგენლობაში, ოღონდ, როგორც ძირითადის ფეხბურთელის „როლში"!..

...I ტურის ერთ-ერთ მთავარ მოულოდნელობად, ვინმემ, შესაძლოა, ფოთის „კოლხეთის" სტუმრად მოპოვებული ქულა მიიჩნიოს. თუმცა, ვინც „მეტალურგისა" და „კოლხეთის" მატჩს თვალი მიადევნა, დაგვეთანხმება, რომ ფოთელებმა რუსთავიდან დამსახურებული ქულა წაიღეს. ეგ კი არა, სტუმრებს რომც მოეგოთ, არც ეს იქნებოდა გასაკვირი — „კოლხეთის" მთავარმა მწვრთნელმა, გამოცდილმა სპეციალისტმა **სოსო ფილიამ** აბსოლუტურად სწორი ტაქტიკური სქემა აირჩია და ევროპალიგაგამოვლილ მეტოქეს აქეთ „მოახვია" აგრესიული თამაში. ისე, რაც ფილია „კოლხეთში" დაბრუნდა, რუსთაულმა გუნდმა ვერც ერთი მატჩის მოგება ვერ შეძლო: წინა სეზონში ერთი მატჩი ფრედ დამთავრდა (ფოთში), მეოთხე წრის შეხვედრა კი ფოთელებმა სტუმრად მოიგეს. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ წინა სეზონში იყო (ოღონდ, ორივე გუნდს სხვა მწვრთნელები მოძღვრავდნენ), როცა პირველი წრის შეხვედრაში ფოთის „კოლხეთმა" სასტიკი მარცხი აგემა რუსთავის „ოლიმპს" (5:1). ჰოდა, რუსთაველებისათვის თუ რომელიმე გუნდზე ითქმის უხერხული მეტოქეაო, ასეთი სწორედ „კოლხეთია"...

**გია ტუხაშვილი**

## ვაზუსტებთ!

„ლელოს" გუშინდელ ნომერში „ზესტაფონი"-„ტორპედოს" მატჩის მიმოხილვაში გაფრთხილებული ფეხბურთელების და არბიტრის გვარები, ტექნიკური მიზეზით და მორიგე რედაქტორის დაუდევრობით, დაიბეჭდა შეცდომით, რისთვისაც ბოდიშს გიხდით.

უნდა იყოს: გაფრთხილება - **გორგიაშვილი** (87); გაძევება - **დვალი** (82); არბიტრი - **გ. ვადაჭკორია.**

## განცხადება

### გიწვევთ სათანამშრომლოდ!

ქართული ფეხბურთი ყველას საზრუნავია და ამ საქმეში ათეული წლების განმავლობაში ჩვენს გაზეთსაც შეუტანია თავისი მოკრძალებული წვლილი. მაგრამ ახლა მეტის გაკეთება გვსურს, რისთვისაც მზად ვართ, მოვიზიდოთ ახალი შემოქმედებითი ძალები.

ქართულ ფეხბურთში სათანამშრომლოდ ვიწვევთ 18-25 წლის ახალგაზრდებს სტაჟირების შემდეგ „ლელოში" ჟურნალისტად დასაქმების პერსპექტივით.

შეგვეხმიანეთ საქართველოს ნებისმიერი ქალაქიდან და რაიონიდან. საკონტაქტო ტელეფონები და ელექტრონული ფოსტა მითითებულია „ლელოს" მე-2 გვერდზე.

თბილისელებისთვის რედაქციაში (იოსებიძის 49) საკონსულტაციო შეხვედრა დანიშნულია 12 და 19 აგვისტოს 15 საათზე.

„ლელოს" რედაქცია

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გაჭიანურებული ტრანსფერი

# ვესლი, ვესლი და ვეღარ ვეღირსეო



27 წლის ჰოლანდიელ გამთამაშებელ **ვესლი სნეიდერს** მისი ტრანსფერის შესახებ დაუსრულებელი ლაპარაკი მოჰბეზრდა და მანჩესტერულ კლუბებს შეუთვალა, ბოლოს და ბოლოს რომელიმემ გადამწყვეტი ნაბიჯი გადადგითო. „ინტერის“ ვარსკვლავმა აღარ დამალა, რომ „ნერაძურის“ ის გასაყიდთა სიაში ჰყავს შეყვანილი. სნეიდერმა თქვა:

*„მე გასაყიდთა სიაში ვარ, რადგან „ინტერს“ ფული სჭირდება, ოღონდ ამისათვის აუცილებელია მყიდველმა გუნდმა ადეკვატური თანხა გადაიხადოს. კერძოდ რამდენი? ამას მე ნუ მეკითხებით, ტრანსფერების სპეციალისტი არ გახლავართ“.*

მოგეხსენებათ, ზაფხულის ორმა თვემ ისე ჩაიარა, რომ სნეიდერის „მანჩესტერ იუნაიტედში“ გადასვლაზე ლეპარაკი არ შეწყვეტილა. შემდეგ, საქმეში მანჩესტერის მეორე გუნდი, „სიტიც“ ჩაერია - მილანელებს 34 მილიონი ფუნტი შესთავაზა, რაც 39 მილიონ ევროზე მეტია. აღსანიშნავია, რომ გამთამაშებელი ამ კვირაში ლონდონში ჩავა — ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრებებს ამხანაგური შეხვედრა აქვთ დანიშნული. იქნებ, რომელიმე მხარემ მასთან პირადად დალაპარაკება სცადოს.

სნეიდერმა დასძინა: *„თუკი „ინტერის“ ფეხბურთელად დავრჩები, მანჩესტერის გუნდებს შორის არჩევანის გაკეთება არ მჭირდება. ინგლისთან ამხანაგური თამაშის შემდეგ ხუთი დღით თავისუფალი ვარ და იმედი მაქვს, რომ ამ დროში ყველაფერი საბოლოოდ გაირკვევა“.*

„მანჩესტერ იუნაიტედის“ აღმასრულებელმა შეფმა **დევიდ გილმა** მრავალმნიშვნელოვნად თქვა, რომ სატრანსფერო ბაზრის დაკეტვამდე მისი კლუბი კიდევ ერთ მნიშვნელოვან მოთამაშეს დაიმატებს.

● ტრანსფერი

# ჩემბერლენი არსენალშია

„არსენალმა“ „საუთჰემპტონის“ გარემარბი, ინგლისის 21 წლამდელთა ნაკრების წევრი **ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენი** იყიდა. ყმაწვილმა სამედიცინო შემოწმება გუშინ გაიარა. მისი სატრანსფერო თანხა 12 მილიონი ფუნტი გახლავთ.

*ჩემბერლენი 17 წლისაა. ასაკის მიუხედავად, მან „საუთჰემპტონის“ შემადგენლობაში 36 შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და 10 გოლის გატანა მოასწრო.* ამრიგად, **ჟერვინიოსა** და **კარლს ჯენკინსონის** შემდეგ ის **არსენ ვენგერის** მესამე შენაძენი გახდა ამ ზაფხულს. „მეთოფეთა“ თავკაცმა თქვა:

*„ძალიან კმაყოფილები ვართ ალექსმა კარიერის ჩვენთან გაგრძელება რომ გადაწყვიტა. ის შესანიშნავი ახალგაზრდა ფეხბურთელია, რომელსაც ფანტაზია და მწვავე შეტევის უნარი არ აკლია. გარდა ამისა, სასიხარულოა, რომ ალექსის სახით ჩვენ შევიძინეთ მოთამაშე, რომელსაც სხვადასხვა პოზიციაზე ეხერხება თამაში. შესაძლოა გაგიკვირდეთ, მაგრამ მას შეუძლია იყოს როგორც ცენტრალური შემტევი ნახევარმცველი, ასევე მარჯვენა და მარცხენა ჰაფბეკიც. მნიშვნელოვანია, რომ ჩემბერლენს ჩინებული პასების გადაწოდების უნარი აქვს და გამოკვეთილი გუნდური მოთამაშეა“.*



ასეთი ქების მიუხედავად უნდა ითქვას, რომ ოქსლეიდ-ჩემბერლენს პირველ ლიგაში აქვს ნათამაშები, უფრო მაღალ დონეზე კი ჯერ ძალები არ მოუსინჯავს. ინგლისური პირველი ლიგა რეალურად მესამე დივიზიონია: ჯერ გახლავთ პრემიერლიგა, მერე ჩემპიონშიპი და მერელა მოდის პირველი ლიგა. ერთი სიტყვით, ყმაწვილკაცს ჯერ დასამტკიცებელი აქვს, რომ „არსენალის“ ფეხბურთის თამაში შეუძლია, თუმცა ის ფაქტი, რომ „საუთჰემპტონის“ წევრში 12 მილიონი გადაიხადეს, ძალიან მრავლისმეტყველია. უნდა დავძინოთ, რომ ალექს ოქსლეიდ-ჩემბერლენით „მანჩესტერ იუნაიტედი“ და „ლივერპულიც“ იყვნენ დაინტერესებული, მაგრამ „მეთოფეებმა“ კონკურენტებს აჯობეს.

*„საუთჰემპტონის“ ვებ-გვერდზე ეწერა:*

*„ალექსმა „არსენალთან“ პირადი საკითხები შეათანხმა და სამედიცინო შემოწმებაც გაიარა. გარიგება, რომელიც ჩვენს კლუბსა და ლონდონელებს შორის შედგა, ჩემპიონშიპის გუნდისთვის უდიდესი იყო. ამ ტრანსფერთან შედარებით, ყველა სხვა ტრანსფერი, რომელიც „საუთჰემპტონს“ განუხორციელებია, ჩრდილშია მოქცეული“.*

თავად ოქსლეიდ-ჩემბერლენმა კი თქვა:

*„არსენალელებს დიდი მწვრთნელი, არსენ ვენგერი ჰყავთ. გარდა ამისა, ეს გუნდი ულამაზეს ფეხბურთს თამაშობს და უძლიერესი ფეხბურთელებით გახლავთ დაკომპლექტებული. სწორედ ამ უმნიშვნელოანესი ფაქტორების გამო გადავწყვიტე კარიერის „არსენალში“ გაგრძელება“.*

● ინგლისის ნაკრები

# ტომ კლივერლი ნაკრებშია

ინგლისისა და ჰოლანდიის ნაკრები გუნდების ამხანაგურ შეხვედრაში **ტომ კლივერლი** ითამაშებს. 21 წლის კლივერლის ეროვნულ გუნდში გამოძახება **ჯეკ უილშირისა** და **მაიკლ ქერიკის** გამოკლებამ განაპირობა. უილშირი ინგლისელთა მწვრთნელმა **ფაბიო კაპელომ** სიაში მაინც ჩაწერა, მაგრამ „არსენალის“ თავკაცმა **არსენ ვენგერმა** კატეგორიულად განაცხადა, რომ მისი 19 წლის ნახევარმცველი ჰოლანდიასთან ვერ ითამაშებს.

კლივერლიმ დიდი შთაბეჭდილება კვირას, „ქომუნითი შილდის“ შეხვედრაში მოახდინა. შეგახსენებთ, რომ „მანჩესტერ იუნაიტედი“ „მანჩესტერ სიტისთან“ პირველი ტაიმის შემდეგ 2:0-ს აგებდა, მეორეში კი სამი გოლი გაიტანა — კლივერლი მოედანზე სწორედ შესვენების შემდეგ შევიდა. მეგობარი ძალიან შეაქო ნაკრებში გამოძახებულმა, „ტოტენჰემის“ 21 წლის მცველმა **კაილი უოქერმა**:

*„ტომი დიდებული ფეხბურთელია და მან ეს კვირას „უემბლიზე“ დაამტკიცა. კლივერლიმ ყველას გვაჩვენა, თუ რისი გაკეთება შეუძლია, როდესაც ბურთს ფლობს. თავად მე კი ბედნიერი ვარ, დიდი ფეხბურთელების მხარდამხარ ჩემი ქვეყნის ღირსებას რომ დავიცავ“.*

● არსენალი



# ვაი, დედა, ანუ გერი კეჰილი თუ გვიშველის

შაბათს, პრემიერლიგის პირველ ტურში, „ნიუკასლ იუნაიტედთან“ შეხვედრაში „არსენალის“ თავკაც **არსენ ვენგერს** შესაძლოა ცხრა წამყვანი ფეხბურთელი აკლდეს. დაშავებულ „მეთოფეთა“ რაოდენობა გასულ შაბათს, ლისაბონში, „ბენფიკასთან“ შეხვედრაში გაიზარდა. შეგახსენებთ, რომ ის შეხვედრა პორტუგალიის გუნდმა 2:1 მოიგო. იმ დღეს ჩრდილოლონდონელთაგან დაშავდნენ **რობინ ვან პერსი, კიერან გიბზი** და **ტომას ვერმაელენი**. დაშავებულთა სიაში მათ გარდა არიან: **თეო უოლკოტი, ჯეკ უილშირი, აბუ დიაბი, ლორან კოშელნი** და **სამირ ნასრი**. რაც შეეხება კაპიტან **სესკ ფაბრეგასს**, მასზე ამბობენ, ფორმაში არ არისო, თუმცა სინამდვილეში რა ხდება, ყველამ კარგად იცის და ამ მომაბეზრებელი ამბის გამეორებას აქ არ ვაპირებთ.

„მეთოფეთა“ მეკარე **ვოიცეხ შჩესნიმ** თქვა: *„რატომღაც „ბენფიკასთან“ დამარცხებაზე ბევრმა გაამახვილა ყურადღება. ჩემთვის ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ფეხბურთელები დაშავდნენ, მაგრამ იმედი მაქვს, რომ სერიოზული არაფერია და ისინი მალე აღიდგენენ ჩვეულ ფორმას“.*

ტომას ვერმაელენის დაშავებამ „მეთოფეები“ ახალი მცველის შეძენის აუცილებლობის წინაშე დააყენა. ყველაზე მეტად 25 წლის **გერი კეჰილზე** ალაპარაკდნენ. ვენგერმა შაბათს ჩრდილოლონდონური კლუბის მთავარი სკაუტი, **სტივ როული** „რიბოკ სთედიუმზე“ გაგზავნა, რათა მას ენახა, როგორ ითამაშებდა კეჰილი „ბოლტონისა“ და ესპანური „ლევანტეს“ ამხანაგურ შეხვედრაში, რომელიც ბოლტონელებმა 1:0 წააგეს. მოგეხსენებათ, კრიტიკოსები „არსენალს“ დაცვას ისედაც უწუნებდნენ და ვერმაელენის დაშავების შემდეგ ხომ საკითხმა საერთოდ განსაკუთრებული ელფერი შეიძინა. ერთი სიტყვით, ვენგერს აშკარად სჭირდება პრემიერლიგაში თამაშის გამოცდილების მქონე გამორჩეული ცენტრალური მცველი.

აქამდე „მეთოფეებს“ „ევერტონისგან“ **ფილ ჯეგიელკას** შეძენა უნდოდათ. ისინი ლივერპულელებს 12 მილიონ ფუნტს სთავაზობდნენ, მაგრამ პასუხად ცივი უარი მიიღეს — „ევერტონი“ პოლონური წარმოშობის ინგლისელს 18 მილიონად აფასებს. თავის მხრივ, ოცდაათს მიღწეულ ფეხბურთელში ასეთი თანხის გადახდა ვენგერს აღარ მოუნდა. კიდევ, ჩრდილოლონდონელთა სამიზნეზე იყვნენ ბირმინგემელი **სკოტ დანი** და „ბლექბერნის“ **კრის სამბა**.

კეჰილს ბოლტონელებთან გაფორმებულ კონტრაქტში უწერია, რომ მისი გამოსასყიდი თანხა 17 მილიონი ფუნტია. ალბათ, გასაგებია, რომ „არსენალს“ ეს თანხაც ეძვირება, მით უფრო, რომ ფეხბურთელს თავის ახლანდელ კლუბში ბოლო წელიწადი დარჩა გასატარებელი. სხვა სიტყვებით - „ბოლტონი“ თავად არის მონდომებული, რომ კეჰილი გაყიდოს, თორემ გაისად ამ დროს ის თავისუფალი აგენტი გახდება და სადაც უნდა იქ წავა - ბოლტონელები პენისაც ვერ მიიღებენ.

მოგეხსენებათ, ვენგერს განსაკუთრებული სეზონი ეწყება - მის ხელში „არსენალს“ უკვე ექვსი წელიწადია ჯილდო არ მოუგია და დიდი წნეხის ქვეშ არის მოქცეული. მეთოფეთა ვიცე-თავმჯდომარე **დევიდ დინმა** ამასთან დაკავშირებით თქვა:

*„არსენ ვენგერი არ მალავს, რომ ბოლო რამდენიმე წელიწადი მის კარიერაში ურთულესი იყო. უპირველეს ყოვლისა იმიტომ, რომ პრემიერლიგაში კონკურენცია გაიზარდა. გამრავლდნენ ფულიანი კლუბები, რომლებიც ყიდულობენ და ყიდულობენ ფეხბურთელებს. გარდა ამისა, „არსენალი“ თამაშის მაღალი ხარისხისა და შესანიშნავი სანახაობრივი ასპექტის მიუხედავად შედეგს ვერ აღწევს. დღეს არსენი როგორც არასდროს მონადინებულია. როდესაც მას ვუყურებ, ჩემ წინაშე დგას კაცი, რომელსაც ძველებურად სწყურია ტიტულების მოპოვება. მისი შესაძლებლობებისა მწამს. ცხოვრებაში კაცის თავიდან მოშორება ყველაზე ადვილია, მაგრამ რას მოიგებ ამით“?*

გვერდი მოამზადა
**ილია ბაბუნაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

# უცხოური ფეხბურთი

## მანჩესტერული დერბის გამოხმაურება

# ქომუნითი შილდი



დიდებულ სანახაობას, რომელიც კვირას, „უემბლიზე", „მანჩესტერ იუნაიტედმა" და „მანჩესტერ სიტიმ" გამართეს, ინგლისურ პრესაში უკვე უწოდეს ყველა დროის საუკეთესო „ქომუნითი შილდი" ანუ სუპერთასის თამაში, რომელიც ლონდონში ტრადიციულად, სეზონის დაწყებამდე, ჩემპიონსა და ფეხბურთის ასოციაციის თასის მფლობელს შორის იმართება. შეგახსენებთ, რომ ამჯერად გულშემატკივარს გაუმართლა, მანჩესტერული დერბი ერგო და თამაში ყოველმხრივ საუცხოო გამოვიდა, დრამატიზმითაც და ხარისხითაც. პირველი ტაიმის შემდეგ „სიტი" 2:0-ს იგებდა, შესვენების შემდეგ კი „იუნაიტედმა" სამი გოლი შეაგდო. გამარჯვების გოლი 24 წლის **ნანიმ** მსაჯის მესამე წამატებულ წუთზე გაიტანა. „იუნაიტედის" თავდასხმის ლიდერმა, 25 წლის **უეინ რუნიმ** მატჩის შემდეგ დამარცხებულ თანაქალაქელებს წიხლი დააჭირა და თქვა, რომ მან და მისმა ამხანაგებმა მეტოქეს ფეხბურთის გაკვეთილი ჩაუტარეს.

*„კარგად გამოჩნდა, ვინ არის უძლიერესი. უპირატესობა თავიდან ბოლომდე ჩვენ გვქონდა. თამაში როდის დამთავრდა, ვერც კი გავიგეთ. „სიტი" ნაწილებად დავშალეთ. „მანჩესტერ იუნაიტედი" ინგლისის ჩემპიონია და თუ ვინმეს რაიმე პრეტენზია აქვს, ის უნდა დაამარცხოს.*

*რასაკვირველია, მოწინაალმდეგემ ძალიან მოინდომა. მან ყველა ღონე იხმარა „ქომუნითი შილდი" ჩვენთვის ხელიდან რომ გამოეგლიჯა და იმასაც გეტყვით, რომ შესაძლოა ის, რაც „სიტიმ" გააკეთა სხვას ვერავის გაეკეთებინა".*

სტადიონიდან კომპიუტერთან დაბრუნებულმა რუნიმ ხალხისთვის აზრის გაზიარება უკვე „ტვიტერში" გააგრძელა:

*„ვფიქრობ, დღეს ფეხბურთის გაკვეთილი ჩავატარეთ,"* — თქვა მან.

„იუნაიტედის" სამი გოლიდან ორი ნანიმ შეაგდო. პირველი საუცხოო კომბინაციის დიდებული დამთავრება იყო, მეორე კი მეტოქის მცველის შეცდომის ჩასაფრების ნიმუში. პორტუგალიელმა თქვა:

*„ძალიან კარგია „მანჩესტერ სიტისთან" თამაში და ასე გამარჯვება. დღევანდელმა შეხვედრამ ძალიან დიდი სიამოვნება მოგვანიჭა. ჩვენ „მანჩესტერ იუნაიტედი" ვართ და ყოველთვის ბოლო წამამდე ვიბრძვით".*

ნანი ძალიან შეაქო „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელმა სერ **ალექს ფერგიუსონმაც**:

*„მან გასული სეზონი შესანიშნავად ჩაატარა. სტატისტიკას ჩავხედოთ: 9 გოლი გაიტანა და 18 საგოლე პასი გადაანოდა. მას მხოლოდ ერთ მონაკვეთში არ გაუმართლა, როდესაც ცოტა გადაიღალა, ანტონიო ვალენსია კი სწორედ ამ დროს შევიდა ჩინებულ ფორმაში. ამან ნანი შემადგენლობიდან ამოაგდო. დღეს კი ხედავთ, როგორ თამაშობს. მან მთელი მოსამზადებელი პერიოდი შესანიშნავად ჩაატარა და, რასაკვირველია, სეზონის დასაწყისში ძირითად შემადგენლობაში გვეყოლება".*

შემდეგ, ფერგიუსონს შესვენებისას განხორციელებულ სამ უცნაურ ცვლილებაზე ჰკითხეს: **რიო ფერდინანდის, ნემანია ვიდიჩისა** და **მაიკლ ქერიკის** ნაცვლად ფერგიმ მოედანზე **ფილ ჯონსი, რიო ევანსი** და **ტომ კლივერლი** შეუშვა. სერ ალექსმა უპასუხა:

*„ჩვენ თავიდან ერთგვარ რისკზე წასვლას და ტომ კლივერლის სასტარტო შემადგენლობაში გამოყვანას ვაპირებდით, მაგრამ ბოლოს მაინც ვიფიქრეთ, რომ „მანჩესტერ სიტისთან" „ქომუნითი შილდზე" ქერიკის გამოცდილებაზე დაყრდნობა აჯობებდა. თუმცა, ამ დღეს კლივერლის აუცილებლად რომ უნდა ეთამაშა, იმთავითვე გადაწყვეტილი გვქონდა. მართალი გითხრათ, თავიდან არ ვიცოდი, რომელ პოზიციაზე აჯობებდა მისი გამოყვანა, მაგრამ როდესაც „სიტი" ორი გოლით დაწინაურდა, აშკარად დავინახე, რომ ყველაფერს აჯობებდა, ტომს ნახევარდაცვიდან შეეტია მოწინააღმდეგის კარისთვის. თამაშის სურათი ამ ტიპის ფეხბურთელს ითხოვდა".*

„უემბლიზე" გამარჯვებამ სერ ალექსი ჩინებულ გუნებაზე დააყენა და სეზონის წინ ოპტიმიზმი შემატა, მაგრამ ინგლისის ჩემპიონის მწვრთნელი სულაც არ მიიჩნევს, რომ მის გუნდს რაიმე აქვს გარანტირებული.

*„მე ჩემს ფეხბურთელებს ვენდობი და მათი შესაძლებლობების მწამს, მაგრამ პრემიერლიგაში გადაჭრით ვერასოდეს ვერაფერს იტყვი. ინგლისის ჩემპიონატი სხვა ჩემპიონატებისგან განსხვავდება. აქ ექვსი გუნდი აცხადებს პრეტენზიას ტიტულზე".*

რაც „სიტის" სათავეში **რობერტო მანჩინი** ჩაუდგა, მანჩესტერულმა დერბიმ სხვა ელფერი მიიღო. ამჯერადაც, გამარჯვებულის ვინაობა მსაჯის წამატებულ წუთებში გადაწყდა, პირველი ტაიმის შემდეგ კი „სიტი" 2:0-ს იგებდა. საერთო აზრით, ამ ყოველივეს მიუხედავად, „უემბლიზე" უკეთესი ფეხბურთი „იუნაიტედმა" ითამაშა, მაგრამ მანჩო კონკრეტულ შეცდომებს ეძებს. ის ამბობს, რომ **კრის სმოლინგის** გოლის დროს მისმა მცველებმა ვერ გააცნობიერეს რა ხდებოდა და პოზიციები როგორ უნდა გადაენაწილებინათ, ნანის ბოლო გოლი კი **ვენსან კომპანის** შეცდომის გამო გავიდა. „სიტის" თავკაცმა თქვა:

*„არა მგონია, რომ სმოლინგის გოლმა „იუნაიტედს" ფსიქოლოგიური უპირატესობა მიანიჭა, მაგრამ თუ გავია ზრებთ, რატომ წავაგეთ დღევანდელი შეხვედრა, ძალიან კარგი იქნება. საუკეთესო გუნდები ყოველთვის საუკეთესო თამაშებს როდი ატარებენ, მაგრამ როდესაც 2:0-ს იგებ, მენტალურად უნდა გაძლიერდე. მომავალში, როდესაც „იუნაიტედის" დონის გუნდს კიდევ შევხვდებით, დავუშვათ, „რეალს" ჩემპიონთა ლიგაში ან ვინმე სხვას, კარგი იქნება ჩემი ფეხბურთელები ფეხბურთის თამაშს ბოლომდე თუ გააგრძელებენ. როგორ შეიძლებოდა საკუთარი ნახევრისკენ ასე დახევა? მომავალში, მოედანზე აუცილებლად წინ, შუაში უნდა დავრჩეთ".*

და ბოლოს კითხვა, რომელიც ყველას გაუჩნდა: რატომ არ ათამაშა მანჩინიმ ახალშეძენილი **სერხიო აგუერო?**

მწვრთნელმა განმარტა: *„აგუერო ჯერ თამაშისთვის მზად არ არის. „იუნაიტედთან" მისი მოედანზე შეშვება ბოლო 10 წუთის განმავლობაში შეიძლებოდა, მაგრამ სტანდარტული სიტუაციების გამო მაღალი მოთამაშეები მჭირდებოდა და ამიტომ შევიკავე თავი.*

*აგუერომ ჯერ უნდა ივარჯიშოს, რადგან გასული სეზონი სულ სამი კვირის წინ დაასრულა. იქნებ სწორედ ამიტომაც არ სჭირდება სეზონისწინა პერიოდის გავლა, მაგრამ ფორმის ალსადგენად ძალების ალდგენა და ვარჯიში მაინც ძალზე სჭირდება".*

**ილია ბაბუნაშვილი**

## ტოტენჰემ ჰოთსპური

# არ წახვიდე, ლუკა... აჯანყებული უბნიდან

როდესაც „ტოტენჰემ ჰოთსპურის" თავდამსხმელმა, 30 წლის **პიტერ კრაუჩმა** დაინახა, როგორ ითამაშა მისმა ხორვატმა თანაგუნდელმა, 25 წლის **ლუკა მოდრიჩმა** ბილბაოს „ატლეტიკთან" ამხანაგურ შეხვედრაში, თავი ველარ შეიკავა და მას გუნდში დარჩენა სთხოვა. მოგეხსენებათ, მოდრიჩს „ჩელსი" ეპატიჟება. „ლურჯები" ხორვატის სანაცვლოდ „სფურზს" 30 მილიონ ფუნტს სთავაზობენ, თუმცა ჩრდილოლონდონელები გამთამაშებლის გაყიდვას ცოცხალი თავით არ აპირებენ.

ოთხშაბათს, მოგეხსენებათ, სანაკრებო დღეა. ხორვატებს ირლანდიასთან აქვთ ამხანაგური შეხვედრა, ოღონდ დაბრუნდება თუ არა მოდრიჩი შეკრებიდან „სფურზის" ბაზაზე, კაცმა არ იცის.

„დეზებისა" და ბასკების თამაში „უაით ჰართ ლეინზე" გაიმართა. „ტოტენჰემმა" 2:1 მოიგო. მოდრიჩი ამ შეხვედრაში სათადარიგო გახლდათ და მოედანზე გვიან შევიდა, ხოლო, როდესაც ფეხბურთელი საქმეში გვიან ერთვება და თამაშის მსვლელობაზე გავლენას ახდენს, ყოველთვის ეფექტურია. კრაუჩმა თქვა:

*„დიდი იმედი მაქვს, რომ ლუკა დარჩება. ის უმაღლესი დონის ფეხბურთელია და ჩვენ ყველას ძალიან გვიყვარს".*

„ატლეტიკს" გოლები კრაუჩმა და **ჯერმაინ დეფომ** გაუტანეს, ანგარიში კი ბილბაოელმა **მიკელ სან ხოსემ** გახსნა.



თუმცა, „ტოტენჰემ ჰოთსპური" სხვა პრობლემის წინაშეც აღმოჩნდა: ჯერ გადასაწყვეტია, ჩატარდება თუ არა პრემიერლიგის პირველი ტურის თამაში „ევერტონთან", შაბათს, „უაით ჰართ ლეინზე". საქმე ის გახლავთ, რომ ეს სტადიონი დაახლოებით ერთ კილომეტრშია პოლიციის იმ განყოფილებიდან, სადაც გასულ უქმეებზე დიდი რბევა და არეულობა მოხდა: პოლიციელებს ოპერაციის დროს, სროლისას 29 წლის **მარკ დაგანი** შემოაკვდათ, რამაც უბნის მოსახლეობა განარისხა და ქუჩა საშინელ დღეში ჩააგდეს. დემონსტრანტები პოლიციის მანქანებს თავს დაესხნენ. 8 პოლიციელი საავადმყოფოში გახდა წასაყვანი. თავის მხრივ სპეცრაზმმა 48 დემონსტრანტი დააკავა. არეულობამ ისეთი შემაშფოთებელი მასშტაბი მიიღო, რომ „სანის" ცნობით, დამრბევთა შორის 7 წლის ბავშვებიც კი შეამჩნიეს. რამდენადაც ცნობილია, არეულობები კიდევ არის დაგეგმილი.

**ილია ბაბუნაშვილი**

## პორტუგალია. ჩემპიონატი

**I ტური — 15 აგვისტო**
ფეირენსე-ნასიონალი
სპორტინგი-ოლანენსე
გიმარაეში-პორტუ
რიუ ავე-ბრაგა
მარიტიმუ-ბეირა მარი
ჟილ ვისენტე-ბენფიკა
ლეირია-აკადემიკა
სეტუბალი-ფერეირა

**II ტური — 21 აგვისტო**
ოლანენსე-სეტუბალი
ბრაგა-მარიტიმუ
პორტუ-ჟილ ვისენტე
ფერეირა-ლეირია
აკადემიკა-რიუ ავე
ბენფიკა-ფეირენსე
ნასიონალი-გიმარაეში
ბეირა მარი-სპორტინგი

**III ტური — 28 აგვისტო**
ლეირია-პორტუ
ჟილ ვისენტე-აკადემიკა
გიმარაეში-ბეირა მარი
სეტუბალი-ბრაგა
რიუ ავე-ოლანენსე
სპორტინგი-მარიტიმუ
ფეირენსე-ფერეირა
ნასიონალი-ბენფიკა

**IV ტური — 11 სექტემბერი**
ოლანენსე-ფეირენსე
პორტუ-სეტუბალი
ბრაგა-ჟილ ვისენტე
ფერეირა-სპორტინგი
აკადემიკა-ნასიონალი
ბენფიკა-გიმარაეში
მარიტიმუ-რიუ ავე
ბეირა მარი-ლეირია

**V ტური — 18 სექტემბერი**
ლეირია-მარიტიმუ
ჟილ ვისენტე-ოლანენსე
გიმარაეში-ბრაგა
სეტუბალი-ბეირა მარი
რიუ ავე-სპორტინგი
ფეირენსე-პორტუ
ნასიონალი-ფერეირა
ბენფიკა-აკადემიკა

**VI ტური — 25 სექტემბერი**
ფერეირა-ჟილ ვისენტე
ბრაგა-ნასიონალი
პორტუ-ბენფიკა
ოლანენსე-ლეირია
აკადემიკა-ფეირენსე
სპორტინგი-სეტუბალი
ბეირა მარი-რიუ ავე
მარიტიმუ-გიმარაეში

**VII ტური — 2 ოქტომბერი**
ლეირია-ბრაგა
გიმარაეში-სპორტინგი
ჟილ ვისენტე-ბეირა მარი
სეტუბალი-რიუ ავე
აკადემიკა-პორტუ
ნასიონალი-ოლანენსე
ფეირენსე-მარიტიმუ
ბენფიკა-ფერეირა

**VIII ტური — 23 ოქტომბერი**
ფერეირა-აკადემიკა
ოლანენსე-გიმარაეში
ბრაგა-ფეირენსე
პორტუ-ნასიონალი
მარიტიმუ-სეტუბალი
რიუ ავე-ლეირია
ბეირა მარი-ბენფიკა
სპორტინგი-ჟილ ვისენტე

**IX ტური — 30 ოქტომბერი**
ლეირია-სეტუბალი
ჟილ ვისენტე-მარიტიმუ
პორტუ-ფერეირა
გიმარაეში-რიუ ავე
აკადემიკა-ბრაგა
ნასიონალი-ბეირა მარი
ფეირენსე-სპორტინგი
ბენფიკა-ოლანენსე

**X ტური — 6 ნოემბერი**
ფერეირა-გიმარაეში
ოლანენსე-პორტუ
ბრაგა-ბენფიკა
სეტუბალი-ჟილ ვისენტე
რიუ ავე-ნასიონალი
სპორტინგი-ლეირია
ბეირა მარი-ფეირენსე
მარიტიმუ-აკადემიკა

**XI ტური — 27 ნოემბერი**
ფერეირა-ოლანენსე
პორტუ-ბრაგა
ჟილ ვისენტე-ლეირია
გიმარაეში-სეტუბალი
აკადემიკა-ბეირა მარი
ნასიონალი-მარიტიმუ
ფეირენსე-რიუ ავე
ბენფიკა-სპორტინგი

**XII ტური — 11 დეკემბერი**
ლეირია-გიმარაეში
ოლანენსე-აკადემიკა
ბრაგა-ფერეირა
სეტუბალი-ფეირენსე
რიუ ავე-ჟილ ვისენტე
ბეირა მარი-პორტუ
მარიტიმუ-ბენფიკა
სპორტინგი-ნასიონალი

**XIII ტური — 18 დეკემბერი**
ფერეირა-ბეირა მარი
გიმარაეში-ჟილ ვისენტე
პორტუ-მარიტიმუ
ოლანენსე-ბრაგა
აკადემიკა-სპორტინგი
ბენფიკა-რიუ ავე
ფეირენსე-ლეირია
ნასიონალი-სეტუბალი

**XIV ტური — 8 იანვარი**
ლეირია-ბენფიკა
გიმარაეში-ფეირენსე
სეტუბალი-აკადემიკა
ჟილ ვისენტე-ნასიონალი
რიუ ავე-ფერეირა
სპორტინგი-პორტუ
ბეირა მარი-ბრაგა
მარიტიმუ-ოლანენსე

**XV ტური — 15 იანვარი**
ფერეირა-მარიტიმუ
პორტუ-რიუ ავე
ოლანენსე-ბეირა მარი
ბრაგა-სპორტინგი
აკადემიკა-გიმარაეში
ნასიონალი-ლეირია
ფეირენსე-ჟილ ვისენტე
ბენფიკა-სეტუბალი

**XVI ტური — 22 იანვარი**
ოლანენსე-სპორტინგი
ბეირა მარი-მარიტიმუ
ნასიონალი-ფეირენსე
ბრაგა-რიუ ავე
ფერეირა-სეტუბალი
ბენფიკა-ჟილ ვისენტე
პორტუ-გიმარაეში
აკადემიკა-ლეირია

**XVII ტური — 29 იანვარი**
ლეირია-ფერეირა
სეტუბალი-ოლანენსე
მარიტიმუ-ბრაგა
ჟილ ვისენტე-პორტუ
რიუ ავე-აკადემიკა
სპორტინგი-ბეირა მარი
გიმარაეში-ნასიონალი
ფეირენსე-ბენფიკა

**XVIII ტური — 12 თებერვალი**
აკადემიკა-ჟილ ვისენტე
ბეირა მარი-გიმარაეში
პორტუ-ლეირია
ბრაგა-სეტუბალი
ფერეირა-ფეირენსე
მარიტიმუ-სპორტინგი
ბენფიკა-ნასიონალი
ოლანენსე-რიუ ავე

**XIX ტური — 19 თებერვალი**
სპორტინგი-ფერეირა
ფეირენსე-ოლანენსე
ჟილ ვისენტე-ბრაგა
სეტუბალი-პორტუ
ნასიონალი-აკადემიკა
რიუ ავე-მარიტიმუ
ლეირია-ბეირა მარი
გიმარაეში-ბენფიკა

**XX ტური — 26 თებერვალი**
მარიტიმუ-ლეირია
ოლანენსე-ჟილ ვისენტე
ბრაგა-გიმარაეში
ბეირა მარი-სეტუბალი
სპორტინგი-რიუ ავე
პორტუ-ფეირენსე
ფერეირა-ნასიონალი
აკადემიკა-ბენფიკა

**XXI ტური — 4 მარტი**
ლეირია-ოლანენსე
ნასიონალი-ბრაგა
ჟილ ვისენტე-ფერეირა
ბენფიკა-პორტუ
რიუ ავე-ბეირა მარი
სეტუბალი-სპორტინგი
გიმარაეში-მარიტიმუ
ფეირენსე-აკადემიკა

**XXII ტური — 11 მარტი**
ბრაგა-ლეირია
ბეირა მარი-ჟილ ვისენტე
სპორტინგი-გიმარაეში
რიუ ავე-სეტუბალი
პორტუ-აკადემიკა
მარიტიმუ-ფეირენსე
ოლანენსე-ნასიონალი
ფერეირა-ბენფიკა

**XXIII ტური — 18 მარტი**
აკადემიკა-ფერეირა
გიმარაეში-ოლანენსე
ფეირენსე-ბრაგა
ნასიონალი-პორტუ
სეტუბალი-მარიტიმუ
ბენფიკა-ბეირა მარი
ლეირია-რიუ ავე
ჟილ ვისენტე-სპორტინგი

**XXIV ტური — 25 მარტი**
სეტუბალი-ლეირია
მარიტიმუ-ჟილ ვისენტე
რიუ ავე-გიმარაეში
ფერეირა-პორტუ
ბრაგა-აკადემიკა
სპორტინგი-ფეირენსე
ბეირა მარი-ნასიონალი
ოლანენსე-ბენფიკა

**XXV ტური — 1 აპრილი**
პორტუ-ოლანენსე
ბენფიკა-ბრაგა
გიმარაეში-ფერეირა
ჟილ ვისენტე-სეტუბალი
ფეირენსე-ბეირა მარი
ლეირია-სპორტინგი
აკადემიკა-მარიტიმუ
ნასიონალი-რიუ ავე

**XXVI ტური — 7 აპრილი**
ოლანენსე-ფერეირა
ლეირია-ჟილ ვისენტე
სეტუბალი-გიმარაეში
ბრაგა-პორტუ
ბეირა მარი-აკადემიკა
მარიტიმუ-ნასიონალი
სპორტინგი-ბენფიკა
რიუ ავე-ფეირენსე

**XXVII ტური — 22 აპრილი**
გიმარაეში-ლეირია
ფერეირა-ბრაგა
ფეირენსე-სეტუბალი
აკადემიკა-ოლანენსე
ნასიონალი-სპორტინგი
ჟილ ვისენტე-რიუ ავე
პორტუ-ბეირა მარი
ბენფიკა-მარიტიმუ

**XXVIII ტური — 29 აპრილი**
ბრაგა-ოლანენსე
ჟილ ვისენტე-გიმარაეში
ბეირა მარი-ფერეირა
მარიტიმუ-პორტუ
ლეირია-ფეირენსე
რიუ ავე-ბენფიკა
სეტუბალი-ნასიონალი
სპორტინგი-აკადემიკა

**XXIX ტური — 6 მაისი**
ბენფიკა-ლეირია
ნასიონალი-ჟილ ვისენტე
ფეირენსე-გიმარაეში
აკადემიკა-სეტუბალი
პორტუ-სპორტინგი
ბრაგა-ბეირა მარი
ოლანენსე-მარიტიმუ
ფერეირა-რიუ ავე

**XXX ტური — 13 მაისი**
მარიტიმუ-ფერეირა
სპორტინგი-ბრაგა
რიუ ავე-პორტუ
ბეირა მარი-ოლანენსე
სეტუბალი-ბენფიკა
ჟილ ვისენტე-ფეირენსე
ლეირია-ნასიონალი
გიმარაეში-აკადემიკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

● პორტუგალიის სუპერთასი



როლანდუმ (ხელაწეული) პორტუსთვის ორჯერ გაიტანა

# სულ სხვა პორტუ

**პორტუ-გიმარაეში 2:1**

**გოლები:** 1:0 როლანდუ (3), 1:1 ტოსკანო (32), 2:1 როლანდუ (41)

**პორტუ:** ელტონი – საპუნარუ, როლანდუ, მაიკონი, ფუსილე – სოუზა, ჟოაუ მოუტინიო (ბელუსკი 84), რუბენ მიკაელი (გუარინი 66), - ჰალკი, კლებერი, ვარელა (ფალკაო 66)

**გიმარაეში:** ნილსონი – ალექსი, ჟოაუ პაულუ, ნდიაიე, სანტანა – ელ აუდა, ოლიმპიო (პედრუ მენდეში 72), ფაუზი (მარანაო 57), ბარიენტოსი (ჟოაუ ალვეში 66), ტარჟინიო, ტოსკანო

პორტუგალიაში ბოლო წლების ტრადიცია დაიცვეს და სუპერთასის შეხვედრა ავეირუში გამართეს. დაპირისპირება "პორტუმ" აკადემიურ სტილში მოიგო. "დრაკონები" წინა სეზონში ამ ტიტულისთვის "ბენფიკას" შეხვდნენ, დაამარცხეს და დაიწყეს კიდევაც ფანტასტიკური სეზონი, რომელიც საბოლოო ჯამში ტრიუმფით დასრულდა – გუნდმა მოიგო ჩემპიონატის ოქროს მედლები, პორტუგალიის თასი და ევროპის ლიგა. "გიმარაეში" სუპერთასზე თასის ფინალისტის რანგში გამოდიოდა. სპეციალისტებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ევროგრანდმა შემადგენლობა მთლიანად შეინარჩუნა, ეს სულ სხვა "პორტუ" იყო. **ვიტორ ფერეირას** თავისი გუნდის ჩამოყალიბება ეტყობა უკვე დაწყებული აქვს. ახალი გუნდი წინანდელთან შედარებით ბევრად უფრო ნელა ათამაშებდა ბურთს და ნაკლებად აგრესიული იყოართმევისას. თუმცა შეიძლება იმის თქმაც, რომ ჩემპიონატის დაწყებამდე დრო ჯერ არის და ბუნებრივია, რომ პერეირას ბიჭები ოპტიმალურ ფორმაში ჯერ არ არიან. ჩემპიონებმა დროის ძირითადი ნაწილი ანგარიშის შენარჩუნებაში გაატარეს, თუმცა იგრძნობოდა, რომ თუკი მოინდომებდნენ, ტემპის მომატებაც შეეძლოთ და არც უპირატესობის მოპოვება იქნებოდა მათთვის პრობლემა.

"პორტუ" მარჯვენა ფლანგზე უფრო აქტიურობდა. პირველი გოლიც სწორედ აქედან მომწიფდა. ცენტრალური თავდამსხმელის ადგილას რატომღაც **როლანდუ** აღმოჩნდა, ვისაც მეკარემ აუღო. თუმცა ბურთი ისევ შემტევებს დარჩათ. **მოუტინიომ** და **ჰალკმა** ფანტასტიკური კომბინაცია გაითამაშეს. ბრაზილიელმა ბურთი ისევ საჯარიმოში დააბრუნა, სადაც მას ისევ და ისევ "დრაკონების" ცენტრალური მცველი ელოდა - 1:0. გოლმა "პორტუ" მოადუნა. **ელტონის** კარს საფრთხე თითქოს არ ემუქრებოდა, რადგან "გიმარაეში" მოედნის ცენტრს იქით გადასვლას ვერც ახერხებდა, თუმცა მოულოდნელად ანგარიში მაინც გათანაბრდა. კუთხურის გათამაშებისას დაცვამ ყურადღება მეტისმეტად მოადუნა, ვერც მეკარემ იყოჩაღა და **მარსელო ტოსკანომ** ამით კარგად ისარგებლა 1:1. 10 წუთი არ იყო გასული, რომ ისევ და ისევ როლანდუმ გაიტანა. ამჯერადაც აშკარად შეცდა "გიმარაეშის" დაცვა. მეკარე **ნილსონს** არც ამჯერად ჰქონია შანსი.

მეორე ტაიმში პირველის სცენარი არ შეცვლილა. "პორტუ" უტევდა, თუმცა უკბილოდ და სახიფათო მომენტებს პრაქტიკულად არც ქმნიდა. "გიმარაეში" კი ისევ თავს იცავდა. შეხვედრის ბოლო 15 წუთში მხოლოდ **ფალკაომ** სცადა ანგარიშის გაზრდა, მაგრამ ერთი-ორი უხეირო დარტყმის მეტს ისიც ვერაფერს გამორჩა. ბოლოს კი ისევ ნომინალურმა სტუმრებმა სცადეს კონტრშეტევაზე მეტოქის დასჯა. გამოუვიდოდათ კიდეც, რომ არა **მაიკონი**, რომელმაც ბურთი ცარიელი კარიდან გამოიტანა. ასე მოაწია კიდეც მსაჯის საფინალო სასტვენმა, რამაც ვიტორ პერეირას ზეიმის საფუძველი მისცა და ათქმევინა, რა კარგია, რომ სეზონს მაჟორულ ნოტზე ვიწყებთო.

● ბარსელონა

# მესია დაბრუნდა

"ბარსას" არგენტინელი სუპერვარსკვლავი **ლიონელ მესი** დაბრუნდა ესპანეთში და ახალი სეზონისთვის მზადებას გუნდთან ერთად შეუდგა. სამწვრთნელო შტაბის ცნობით, ბუნებრივია, ის არ არის იდეალურ კონდიციებში, მაგრამ 14 აგვისტოს "სანტიაგო ბერნაბეუზე" დანიშნული ესპანეთის სუპერთასის პირველი მატჩისთვის მზად უნდა იყოს. ეს ამოცანა არც ისე რთული უნდა იყოს, რადგან ლიონელს შვებულებისას დრო უქმად არ დაუკარგავს. მისმა ფონდმა საქველმოქმედო ამხანაგური მატჩი ჩაატარა, თავად ვარსკვლავმა კი ჩვეულ დონეზე ითამაშა და თავის გუნდს დუბლით შეეწია. კოპა ამერიკაზე "ბარსამ" ლიონელის გარდა კიდევ რამდენიმე ფეხბურთელი მიავლინა, მათ შორის **ხავიერ მასკერანო, ადრიანო** და **ალექსის სანჩესი**. უფრო სწორად ეს უკანასკნელი ჩილეს ნაკრებში "უდინეზემ" გაუშვა, მაგრამ შვებულება მან, როგორ "ბლაუგრანას" ფეხბურთელმა, ისე დაასრულა. ამ სამ ფეხბურთელს აქამდე გუნდის არც ერთ შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღია, შესაბამისად, სწორედ გუშინდელი დღიდან მოყოლებული მიეცემა **ხოსეპ გვარდიოლას** პირველად იმის ფუფუნება, რომ ვარჯიშები სრულ შემადგენლობასთან ერთად ჩაატაროს.

სწორედ სუპერთასი და მომავალი "კლასიკოებია" ის მთავარი თემა, რითაც ესპანური სპორტული თემა სუნთქავს. ამაზე ლაპარაკით ითქვამენ სულს თავად ფეხბურთელებიც. "ასმა" **დავიდ ვილიას** ინტერვიუ სთხოვა და სხვა საინტერესო თემებთან ერთად, "რეალთან" მომავალ შეხვედრებზეც დაეკითხა. აი, რას ამბობს "ფურია როხას" ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი: *"ამ მატჩისთვის სრული კონცენტრაციით ვემზადებით. თქვენ იცით, რომ გამარჯვებული ორი მატჩის ჯამში გაირკვევა. ბუნებრივია, ამისთვის სერიოზული ფიზიკური მზადყოფნაა საჭირო. ორივე გუნდი სეზონისთვის თავისი გეგმის მიხედვით ემზადებოდა. ჩვენ მათი მზადება არ გვაინტერესებს, მთავარია კონცენტრაცია ჩვენს მიზნებზე გავაკეთოთ. ვიცი, რომ ჩემს თითოეულ თანაგუნდელს ძალიან უნდა ამ ტიტულის მოგება".*

მთავარი პრობლემა, რაც "ბარსას" შეიძლება "რეალთან" შეექმნას, ეს **ჩავი ერნანდესის** ტრავმაა. გუნდის ულაპარაკო ლიდერმა კოჭის მყესები დაიზიანა და საეჭვოა უახლოეს დღეებში მწყობრში ჩადგომა მოახერხოს.



ლიონელ მესის შვებულების დრო უქმად არ დაუკარგავს. მისმა ფონდმა საქველმოქმედო მიზნებისთვის 50 ათასი დოლარი იშოვა

● პარი სენ-ჟერმენი

# მაკელელეს ახალი როლი

## ამიერიდან მხოლოდ წინ

დედაქალაქური კლუბის ფანებმა ლიგა 1-ის პირველ ტურში "ლორიანთან" მხოლოდ იმედგაცრუება ნახეს. მიუხედავად იმისა, რომ კლუბმა შემადგენლობის გასაძლიერებლად ასტრონომიული თანხები დახარჯა, ვერაფრით მოახერხა იმ კლუბის დაცვის გატეხა, რომელმაც სეზონის წინ სამი უმთავრესი ვარსკვლავი - **კევინ გამეირო, ჟერომ მორელი** და **მორგან ამალფიტანო** დაკარგა. მათ შორის პირველი ახლა სწორედ მეტოქის ბანაკში თამაშობდა. აი, რა განაცხადა მთავარმა მწვრთნელმა თამაშის შემდეგ: *"სეზონის ასე ცუდად დაწყება ჩვენთვის დიდი იმედგაცრუება იყო. პირველ ტაიმში ჩვენს თამაშში ნერვიულობა შეინიშნებოდა, განსაკუთრებით ბევრის უფლებას მეტოქეს ჩვენი მცველები აძლევდნენ. ამდენმა შეცდომამ მათ საკუთარი ძალების რწმენა შემატა. მეორე ტაიმში განსხვავებულად მივუდექით საქმეს, წინ დიდი ძალებით წავედით, თუმცა ბედმა გვიმუხთლა. მაყურებელმა ნამდვილი პსჟ მხოლოდ მაშინ იხილა, როცა უკვე გვიანი იყო. დიახ, სამი ქულა დავკარგეთ, მაგრამ ამიერიდან გპირდებით, რომ თამაშს მხოლოდ და მხოლოდ გავაუმჯობესებთ. დროთა განმავლობაში საკუთარი ძალების რწმენაც განგვიმტკიცდება. მიუხედავად ყველაფრისა, პანიკაში ჩავარდნა არაფერს გვარგებს. ამიერიდან მხოლოდ წინ უნდა ვიაროთ, რათა ერთიან გუნდად გადავიქცეთ. ეს არ იქნება იოლი, მაგრამ უნდა ვცადოთ".*

მატჩის შემდეგ თავისი მოსაზრებები დააფიქსირა "ლორიანის" თავკაცმა **კრისტიან გურკუფმაც**. მან ხელიდან არ გაუშვა შანსი, "ეკბინა" მეტოქისთვის, თავისი ფეხბურთელები კი ქებით ცაში აეყვანა. აქვე გთავაზობთ მის განცხადებასაც: *"ადამიანებს რატომღაც სჯერათ, რომ კარგი გუნდის გაკეთება იოლად შეიძლება, თუკი აიღებ და ერთად მოუყრი თავს ყველა ვარსკვლავს; მაგრამ ავიწყდებათ, რომ ამისთვის დროა საჭირო. ჩვენ "ლორიანში" ყველამ დიდი ხანია გავისიგრძეგანეთ, რომ ვარსკვლავები მხოლოდ მაშინ იბადებიან, როცა ყველანი გუნდზე მუშაობს. მეტოქეს პრობლემები სწორედაც რომ კომპაქტური თამაშითა და გუნდურობით შევუქმენით. სწორად შერჩეული ტაქტიკის წყალობით კი დაკარგულ ბურთს მალევე ვიბრუნებდით".*


ანტუან კომბუარე გულშემატკივარს მომავალში ძლიერ პარი სენ-ჟერმენს ჰპირდება

"პარი სენ-ჟერმენის" ყოფილმა კაპიტანმა **კლოდ მაკელელემ** ფეხბურთელის კარიერა სულ რაღაც 2 თვეა რაც დაასრულა. თუმცა ვეტერანს ფეხბურთს მილმა დიდხანს გულმა არ მოუთმინა და დღე-დღეზე პსჟ-ში უკვე მწვრთნელის რანგში დაბრუნდება. "ფრანს ფუტბოლის" ინფორმაციით, ის ამიერიდან პსჟ-ის ახალგაზრდულ გუნდს ჩაიბარებს. მაკელელეს კანდიდატურა მოიწონა სპორტულმა დირექტორმა **ლეონარდომ**. ერთადერთი, რაც 38 წლის კლოდს ამ თანამდებობისგან აშორებს, ეს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის **ნასერ-ალ კელაიფის** თანხმობაა. დანიშვნა უშუალოდ მისი ხელმოწერის გარეშე არ მოხერხდება. თუმცა ეჭვი არავის ეპარება, რომ ის ამ იდეის წინააღმდეგ არ წავა. აღსანიშნავია, რომ ორიოდე კვირის წინ "ჩელსის" მფლობელმა **რომან აბრამოვიჩმა** კლოდს კლუბის სელექციონერთა ჯგუფის ხელმძღვანელობა შესთავაზა, მაგრამ უარი მიიღო. მაკელელეს აღარ უნდა სამშობლოდან შორს ცხოვრება.

სეზონის დასრულების შემდეგ წავიდა **ლუდოვიკ ჟიულიც**, მაგრამ ის ზოგადად ფეხბურთიდან კი არა, კლუბიდან წავიდა და როგორც გუშინ "პარიზიენმა" გაარკვია, კარიერას ის "მონაკოში" გააგრძელებს, კლუბში, სადაც 1998/2004 წლებში გამოდიოდა. ვეტერანმა მეორელიგელებთან 2-წლიანი ხელშეკრულება გააფორმა, რის შემდეგაც მშობლიური კლუბი მას ადმინისტრაციულ თანამდებობას შესთავაზებს.

● ახალი მწვრთნელი

# ჯონ მაკედონიელი



მაკედონიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად უელსელი სპეციალისტი **ჯონ ტოშაკი** დაინიშნა. სახელოვანმა მწვრთნელმა კონტრაქტი მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ეტაპის დამთავრებამდე გააფორმა. პირველი გამოცდა უელსელს 2 სექტემბერს რუსეთის ნაკრებთან გასვლით შეხვედრაში ელის. ტოშაკამდე ამ თანამდებობაზე **მირსად ოინუზი** მუშაობდა, ვისი ხელმძღვანელობითაც ექსიუგოსლაველებმა მიმდინარე შესარჩევ ციკლში 6 შეხვედრაში სულ რაღაც 4 ქულა დააგროვეს. მაკედონია 10 აგვისტოს აზერბაიჯანთან ამხანაგურ შეხვედრასაც გამართავს, თუმცა ჯონ ტოშაკი ამ შეხვედრას მხოლოდ ტრიბუნებიდან მიადევნებს თვალს. გუნდს კი დროებითი მთავარი მწვრთნელი **ბობან ბაბუნსკი** გაუძღვება.

ტოშაკისთვის ბოლო სამუშაო ადგილი უელსის ნაკრები იყო, რომელსაც ის 2004/10 წლებში ედგა სათავეში. საკლუბო დონეზე კი მას ბევრად უფრო დიდი გამოცდილება აქვს, უმუშავია რა "რეალში", "სპორტინგში", "რეალ სოსიედადში", "დეპორტივოში", "მურსიაში", "სენტ ეტიენში", "ბეშიქთაშსა" და "კატანიაში".

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გერმანია. ბუნდესლიგა. I ტურის გამოხმაურება

# რაულმა წყენა გულში ჩაიდო

## ვარსკვლავები დაიჩაგრნენ: ბალაკიც, რობენიც, ნოიერიც...

**ვინ იფიქრებდა, რომ: 1. დორტმუნდის „ბორუსია“ პირველივე ტურში ასე კარგად ითამაშებდა; მიუნხენის „ბაიერნი“ ისევ ისე ცუდად ითამაშებდა, როგორც ლუის ვან გაალის დროს; პრობლემებით აღსავსე „ვოლფსბურგი“ თასიდან გავარდნის შემდეგ ბუნდესლიგაში ასეთ ბრწყინვალე სტარტს აიღებდა; „ვერდერის“ დაცვა პირველივე ტურში დალაგდებოდა, ხოლო გასულ სეზონში ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალისტი „შალკე“ კი ისეთი უსახური იქნებოდა, როგორიც იყო? ფავორიტები არა, ისა... „შალკე“, „ლევერკუზენი“ და დესერტად „ბაიერნიც“, პირველ ტურში თვლემდნენ. ჩემპიონი „დორტმუნდი“ კი ფხიზლად იყო და შედეგიც სახეზეა: სამივეს სამი ქულით უსწრებს. „ლევერკუზენმა“ მაინცში 0:2 წააგო, „შალკემ“ შტუტგარტში სულაც 0:3, ბოლოს კი, მიუნხენური გრანდი საკუთარ მოედანზე იმ „გლადბახთან“ შერცხვა, გასულ სეზონში მეორე ბუნდესლიგაში დაქვეითებას ბოლო წამს რომ გადაურჩა. ისეთმა ვარსკვლავებმა, როგორებიც არიან მიხაელ ბალაკი, არიენ რობენი, მანუელ ნოიერი და რაული, პირველ ტურში თავი მხოლოდ შეცდომებით დაგვამახსოვრეს.**

### ტურის ფეხბურთელი: მარიო გიოტცე

გერმანიის ჩემპიონატი პარასკევს დაიწყო და შაბათს მთელი საფეხბურთო გერმანია **მარიო გიოტცეზე** ლაპარაკობდა - ვინ მოთვლის, მერამდენედ. „დორტმუნდის“ ახალგაზრდა სუპერვარსკვლავზე ყველაზე საინტერესო სიტყვები ტრადიციულად **ფრანც ბეკენბაუერმა** თქვა - დღეს მარიო გიოტცე უკვე არის **მესუთ იოზილის** სიმაღლეზე და საუკეთესო შანსი აქვს, მალე **ლეო მესის** დონეს მიაღწიოსო. კაიზერ-ფრანცმა იქვე დასძინა, იოზილის დონეზე გაჩერება დაუშვებელია, გიოტცეს კიდევ ბევრი საფეხბური აქვს გასავლელი, ბევრის დონე უნდა გაიმეოროსო და ისეთი გვარები ჩამოთვალა, გერმანელ ხალხს ტანში ჟრუანტელი უვლიდა: **გარინჩა, დიეგო მარადონა, უვე ბაინი**... ბეკენბაუერს ამაში ყველა დაეთანხმა, რადგან შეუძლებელია, ითამაშო ფეხბურთი იმაზე უკეთ, ვიდრე გიოტცემ ითამაშა „ჰამბურგთან“.

### ტურის დაპირისპირება: ტომ შტარკე VS ტორსტენ კინჰიოფერი

განცხადებას კონტრგანცხადება მოჰყვა, კონტრგანცხადებას ლანძღვა-გინება და ცხადია, ეს ყველაფერი რომანტიკული ვახშამით არ დამთავრებულა. „ჰანოვერისა“ და „ჰოფენჰაიმის“ მატჩის დროს, „სოფლელების“ მეკარე **ტომ შტარკე** და მატჩის მთავარი არბიტრი **ტორსტენ კინჰიოფერი** ერთმანეთს წაეკიდნენ.

*„თუ ჰანოვერელებს ხელით ანიშნა, ჯარიმის დარტყმა შეგიძლიათო, მე ამას ვერ დავინახავდი, რადგან ჩემ წინ 18 კაცი იდგა და თუ ეს არ გაუკეთებია და ანიშნა, სასტვენს დაელოდეთო, მაშინ მთლად უარესი...“* - ცოფებს ყრიდა შტარკე.

საქმე იმაშია, რომ კინჰიოფერმა ჯარიმის დარტყმამდე „ჰანოვერის“ თავდამსხმელ **იან შლაუდრაფს** რაღაც უთხრა და თან სასტვენი მაღლა ჰქონდა აწეული. შტარკესთვის ეს იმის ნიშანი იყო, რომ მსაჯმა ყველა გააფრთხილა, სასტვენის გარეშე საჯარიმო დარტყმა არ შესრულდესო. შლაუდრაფი კი არავის დაელოდა და ბურთი „ჰოფენჰაიმის“ ცარიელ კარში გაიტანა – ცარიელში იმიტომ, რომ შტარკე ძელთან იყო და ცოცხალ კედელს აყენებდა. კინჰიოფერის ვერსია: *„შლაუდრაფმა მითხრა, ცოცხალი კედლისთვის მანძილის გადაზომვა არაა საჭირო, თუ უნდათ, ახლოს დადგნენო, მე კი ვანიშნე, რომ სასტვენისთვის დალოდება აუცილებელი არ იყო.“*

დანარჩენი ყველაფერი გასაგებია: ჰოფენჰაიმელები განრისხებულები არიან, ჰანოვერელები - კმაყოფილები. ჰო, მაგრამ რატომ ჰქონდა აწეული სასტვენი? კინჰიოფერს ამაზე არაფერი უთქვამს...

### ტურის ანტიგმირი: ლუკას პოდოლსკი

რამდენადაც კარგი იყო პირველ ტურში მარიო გიოტცე, იმდენად სუსტი იყო **ლუკას პოდოლსკი**. მართალია, „ვოლფსბურგთან“ მთელი „კიოლნი“ შერცხვა, მაგრამ ყველაზე უბედური „პრინცი პოლდი“ გახლდათ, რაც მისივე ბრალია, რადგან მაინცდამაინც დიდი მონდომებაც არ დასტყობია. მეტსაც გეტყვით: პოდოლსკიზე ცუდად ბუნდესლიგის პირველ ტურში არავის უთამაშია – ლუკასი ყველა სტატისტიკური მონაცემის მიხედვით პირველი ტურის ყველაზე ზარმაცი ფეხბურთელი გახლდათ. დიდი შანსია, ეს ყველაფერი იმის ბრალი იყოს, ახალმა მწვრთნელმა **სტალე სოლბაკენმა** კაპიტნის სამკლავური რომ ჩამოართვა. ასეა თუ ისე, ფაქტია, რომ პოდოლსკის თამაში ვერანაირ კრიტიკას ვერ უძლებდა. მატჩის შემდეგ, პასუხისმგებლობა თავის თავზე სოლბაკენმა ვაჟკაცურად აიღო, თუმცა მას მაინც არავინ აკრიტიკებს – ყველა პოდოლსკის ლანძღავს.

### რაული რანგნიკის ბრალია

„შტუტგარტთან“ შეხვედრაში რაული პირველიდან ბოლო წუთამდე სადღაც მცველებში რომ იყო ჩაკარგული, ეს „შალკეს“ მთავარმა მწვრთნელმა **რალფ რანგნიკმა** თავის თავს უნდა დააბრალოს, რადგან სწორედ „პროფესორმა რალფმა“ გაამწესა ვეტერანი ესპანელი **კლაას-იან ჰუნტელაარის** უკან, გამთამაშებლის პოზიციაზე. რაული „შტუტგარტთან“ მატჩამდეც არ მალავდა წყენას, „მალაგასთან“ ფლირტი გააჩაღა და გუნდის საბჭოში შესვლაც იუარა, შვაბებთან შეხვედრაში კი მოედანზეც ეტყობოდა, მწვრთნელზე ნაწყენი რომ არის. ფაქტია, რანგნიკმა სასწრაფოდ უნდა მიხედოს თავის ვარსკვლავს, თორემ ასე თუ გააგრძელა, მართვის სადავეები **ფელიქს მაგათზე** გაცილებით ადრე გაექცევა...



რაული ნაწყენია, რანგნიკმა რაღაც უნდა მოიფიქროს

### მაინცისგან ამას აღარ ველოდით

„ლევერკუზენის“ ცენტრალური მცველი **შტეფან რაინარტცი** და მეკარე **ფაბიან გიფერი** ამ დღეებში სპეციალურ თერაპიას გაივლიან და გამორიცხული არაა, რომ იქ მეორე მცველი **იომერ ტოპრაკიც** დაპატიჟონ. სათერაპიო კი ის აქვთ, რომ „მაინცის“ სწრაფმა წინახაზელებმა სამივე მათგანი გააშტერეს. ეს განსაკუთრებით კარნავალელთა ცენტრფორვარდ **სამი ალაგუის** ეხება. როცა გიფერი უდიერად მოეპყრო რაინარტცის (უნდა ითქვას, სულელურ) პასს, ალაგუიმ მყისვე ისარგებლა ამით და ბურთი ახლო კუთხეში შეაგორა.

არადა, გიფერი ამ თამაშში „ლევერკუზენის“ შემადგენლობაში არ უნდა მდგარიყო და თუ ათამაშეს, მხოლოდ იმიტომ, რომ „ფარმაცევტების“ პირველი მეკარე **რენე ადლერი** ტრავმირებულია, მეორემ, **დავიდ იელდელმა** კი გერმანიის თასზე იმდენად ცუდად ითამაშა, რომ მწვრთნელმა **რობინ დუტმა** თქვა, ეს კაცი აღარ დამანახოთო. ამ ყველაფრის ფონზე გასაკვირი ნაღდად არ უნდა იყოს ის, რომ ლევერკუზენელები სერიოზულად ფიქრობენ ახალი, მეოთხე მეკარის ყიდვაზე (ადლერი ოქტომბრის ბოლომდე არ გამოჯანმრთელდება).

„ლევერკუზენის“ პრობლემები „მაინცის“ ბედნიერება იყო: მოგვიანებით, ალაგუიმ რაინარტცი გააცურა, მერე კი, „ფარმაცევტების“ კარში მეორე გოლიც **დუტის** შეგირდების ბედოვლათობის გამო გავიდა: ალაგუიმ **მარკო კალიჯურისთან** კედელი გაითამაშა, კალიჯურიმ ცენტრისკენ უპასა, იქ კი ტოპრაკმა ავტოგოლი შეაგდო. არა, არა, სპეცთერაპიაზე ამ უკანასკნელსაც აუცილებლად წაიყვანენ.

### დუტს ბალაკი არ სჭირდება

ლევერკუზენელები 0:1-ს აგებდნენ, მწვრთნელმა დუტმა სადღაც მე-60 წუთისთვის კაპიტანი **სიმონ როლფესი** მოედნიდან გაიყვანა. ყველამ იფიქრა, ბალაკს შეიყვანსო, მაგრამ არა... დუტმა მოედანზე **ნიკოლაი იორგენსენი** შეუშვა, რაც, სხვათა შორის, ტაქტიკურად უფრო გამართლებული გადაწყვეტილება იყო, რადგან ეს უკანასკნელი ბალაკზე გაცილებით შემტევი ფეხბურთელია და „ლევერკუზენს“ მუხტიც შემატა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ ბალაკი სათადარიგოთა სკამზე დარჩა. სხვათა შორის, მიხაელის ბედი სხვა ისეთმა ფეხბურთელებმაც გაიზიარეს, რომლებიც აუცილებლად სასტარტოში მოიაზრებოდნენ: **მანუელ ფრიდრიხს, გონსალო კასტროს** და **ჰანო ბალიტშს** ვგულისხმობთ. დუტს ბალაკისკენ ბოლო წუთამდე არ გაუხედია, რაც იმას ნიშნავს, რომ მას მიხაელი არც თავიდან სჭირდებოდა და არც იმ დროს, როცა გუნდს მაგრად უჭირდა.

### ტურის იმედგაცრუება: ბაიერნი

რამდენიც და როგორც არ უნდა ილაპარაკონ, მიუნხენელები „ბაიერნის“ „გლადბახთან“ წაგებას მარტო **მანუელ ნოიერს** ვერ დააბრალებენ. თუკი რეკორდმაისტერის ფეხბურთელები პირველ ტაიმში კიდევ ნორმალურად კომბინირებდნენ, მეორე ნახევარში საერთოდ აირივნენ. ახლახან გამოჯანმრთელებული **არიენ რობენი** ბევრს ცდილობდა, ტრადიციულად დრიბლიორობდა მარჯვენა ფლანგზე და მერე ცენტრისკენ იწევდა, კარშიც ურტყამდა, მოკლედ, როგორც სჩვევია, განსხვავება კი ის იყო, რომ არაფერი გამოსდიოდა. ერთადერთი ფეხბურთელი, რომელიც „ბაიერნის“ წინა ხაზში რაღაცას ახერხებდა და შეიძლება ითქვას, რომ ვარგოდა, **თომას მიულერი** გახლდათ. სამაგიეროდ, საერთოდ არ ჩანდა **ტონი კროოსი**, რომელიც **იუპ ჰაინკესმა** ერთადერთი ცენტრფორვარდის, **მარიო გომესის** უკან გაამწესა. კროოსს ამ შემთხვევაში გაუმართლა, რადგან **ფრანკ რიბერი** ძირითად შემადგენლობაში არ იყო, ჰაინკესი კი აუცილებლად მივიდოდა ერთ დასკვნამდე: თუ რობენი და რიბერი საუკეთესო ფორმაში არ იქნებიან, „ბაიერნს“ „დორტმუნდის“ დაჯაბნვა ამ სეზონშიც გაუჭირდება.

### ტურის კლოუნი: მანუელ ნოიერი

სასაცილოა, აბა რა არის: თამაშის წინ რომ გასული სეზონის საუკეთესო ფეხბურთელისთვის განკუთვნილ ჯილდოს გადმოგცემენ და თამაშში კი, ახალი გუნდის ახალი ფორმით ისეთ შეცდომას დაუშვებ, მთელი ბავარია წაგებას შენ რომ დაგაბრალებს...

მანუელმა მიუნხენური კარიერა ცუდად დაიწყო, კვირას კი ერთობ არ გაუმართლა. როცა ზემოთ ხსენებულ ჯილდოს აძლევდნენ, მთელმა „ალიანს არენამ“ ტაში დაუკრა – სხვათა შორის, ტაშს ნოიერისთვის იმ ავადსახსენებელ სამხრეთ ტრიბუნაზეც უკრავდნენ და წესით, „გლადბახთან“ მატჩი მანუელისთვის ფანებისგან გადადგმული მორიგი ნაბიჯი უნდა ყოფილიყო, მაგრამ...

62-ე წუთზე „გლადბახის“ მცველმა **როელ ბრუვერსმა** „ბაიერნის“ საჯარიმოსკენ მაღალი ბურთი გაგზავნა, მისთვის ორნი იბრძოდნენ: მიონხენგლადბახელი ფორვარდი **იგორ დე კამარგო** და მიუნხენელი მცველი **ჟერომ ბოატენგი**. მანუელს კი იქ მართლა არაფერი ესაქმებოდა და როცა კარიდან გიჟივით გავარდა, ბოატენგიც დაიბნა, იფიქრა, ნოიერი მოასწრებსო და ცხელ წერტილს განერიდა, ნოიერმა კი დე კამარგოს ვერ დაასწრო... ისე, ჯობია, გოლი ნახოთ...

„ბაიერნი“ კი დამარცხდა და ამით ხომ ყველაფერი ნათქვამია.

### პირველი ტურის სიმბოლური ნაკრები (კიკერი, 3-1-3-3)

მარკ ანდრე ტერ შტეგენი (გლადბახი, I) – როელ ბრუვერსი (გლადბახი, I), ფილიპ ვოლშაიდი (ნიურნბერგი, I), მარკო კალიჯური (მაინცი, I) – ვილიამ კვისტი (შტუტგარტი, I) – მარიო გიოტცე (დორტმუნდი, I), შინჯი კაგავა (დორტმუნდი, I), კევინ გროსკროიტცი (დორტმუნდი, I) – მარკუს როზენბერგი (ვერდერი, I), საშა მიოლდერსი (აუგსბურგი, I), მარიო მანჯუკიჩი (ვოლფსბურგი, I)

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

### საუკეთესო ფეხბურთელები

I ტურის შემდეგ, „კიკერის“ შეფასებების მიხედვით

| ფეხბურთელი | კლუბი | საშ. შეფ. |
|---|---|---|
| 1. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 1.00 |
| 2. მარკ-ანდრე ტერ შტეგენი | ბორუსია (მ) | 1.00 |
| 3. კევინ გროსკროიტცი | ბორუსია (დ) | 1.50 |
| 4. მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | 1.50 |
| 5. სვენ ულრაიხი | შტუტგარტი | 1.50 |
| 6. სამი ალაგუი | მაინცი | 2.00 |
| 7. ჰოლგერ ბადშტუბერი | ბაიერნი | 2.00 |
| 8. როელ ბრუვერსი | ბორუსია (მ) | 2.00 |
| 9. მარკო კალიჯური | მაინცი | 2.00 |
| 10. დანტე | ბორუსია (მ) | 2.00 |

### გოლს პლუს პასის რეიტინგი

| ფეხბურთელი | კლუბი | თამაში | გოლი | პასი | ქულა |
|---|---|---|---|---|---|
| 1. მარიო გიოტცე | ბორუსია (დ) | 1 | 1 | 2 | 3 |
| 2. კევინ გროსკროიტცი | ბორუსია (დ) | 1 | 2 | 0 | 2 |
| 3. პატრიკ ჰელმესი | ვოლფსბურგი | 1 | 2 | 0 | 2 |
| 4. მარიო მანჯუკიჩი | ვოლფსბურგი | 1 | 0 | 2 | 2 |
| 5. საშა მიოლდერსი | აუგსბურგი | 1 | 2 | 0 | 2 |
| 6. მარკუს როზენბერგი | ვერდერი | 1 | 2 | 0 | 2 |
| 7. იან შლაუდრაფი | ჰანოვერი | 1 | 1 | 1 | 2 |
| 8. მოჰამედ აბდელაუ | ჰანოვერი | 1 | 1 | 0 | 1 |
| 9. სამი ალაგუი | მაინცი | 1 | 1 | 0 | 1 |
| 10. ფელიქს ბასტიანსი | ფრაიბურგი | 1 | 0 | 1 | 1 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ფრაიბურგი

# ეს სისე რა ყოფილა?!

## ვოლფსბურგს კონკურენტები გამოუჩნდნენ: ტოტენჰემი და ფულჰემი

კვირას „ფრაიბურგის“ 26 წლის თავდამსხმელ **პაპის დემბა სისეს** თანაგუნდელებთან ერთად არ ურბენია, რადგან სენეგალელმა სამშობლოსკენ აიღო გეზი, სადაც მაროკოსთან ამხანაგური მატჩისთვის ემზადება. შაბათის შემდეგ სისე „ფრაიბურგის“ ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია: ის ჩვენებურ **ალექსანდრე იაშვილს** გაუთანაბრდა - მასავით 29 გოლი აქვს გატანილი.

ახლა საინტერესო ისაა, სანაკრებო ვალის მოხდის შემდეგ, სისე ფრაიბურგში დაბრუნდება, თუ სადმე სხვაგან ჩავა. საქმე იმაშია, რომ მისი გადაბირება ერთდროულად რამდენიმე კლუბს სურს: ეპატიჟებიან ვოლფსბურგში, ინგლისსა და რუსეთშიც, სადაც ძალიან მაღალ ხელფასს სთავაზობენ. რაკი სისემ გოლი „აუგსბურგსაც“ გაუტანა და კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მართლა მაგარი თავდამსხმელია, შაბათის შემდეგ მისი მსურველების ოფიციალური სიაც გაიზარდა.




პაპის დემბა სისეს შეძენა ბევრს სურს

„ფრაიბურგი“ 15 მილიონ ევროს ფეხს არ უცვლის, რადგან ბრაისგაუში ძალიან კარგად იციან ფასი. „ვოლფსბურგს“ კი 15 მილიონი ეძვირებათ. იანვარში სისეს ყიდვა „შალკესაც“ უნდოდა, მაგრამ „ფრაიმ“ სენეგალელი გოლეადორი მაშინაც 15 მილიონი დააფასა და **ფელიქს მაგათმა** მისი შეძენა ვერ შეძლო. ეს უკანასკნელი ახლა „ვოლფსბურგში“ მუშაობს და სენეგალელსაც ისევ დაუმიზნა, მაგრამ ფრაიბურგელები კომპრომისზე არ მიდიან. შაბათს კი კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რატომ არ აკლებს „ფრაიბურგი“ - სისე მართლა კარგი თავდამსხმელია.

ინგლისში სისეს ყიდვა „ტოტენჰემსა“ და „ფულჰემს“ უნდათ. თუმცა 15 მილიონი ინგლისელებსაც ეძვირებად. სამაგიეროდ, ამ თანხას სიამოვნებით გადაიხდის რუსული კლუბი გროზნოს „ტერეკი“. ამბობენ, სენეგალელი ფორვარდის ყიდვა ყაზანის „რუბინს“ და ნალჩიკის „სპარტაკსაც“ უნდათო. „ფრაიბურგის“ ხელმძღვანელები ამბობენ, ჩვენ სისესთან შეთანხმებულები ვართ, სანამ მისი მსურველი გუნდი ჩვენ არ შეგვითანხმება, თავად პაპის დემბას ვერავინ შეეხმიანებაო. დიდი შანსია, რომ „ფრაიბურგი“ რუსული კლუბების წინადადებებს დათანხმდეს, მაგრამ მოუნდება კი სენეგალელს რუსეთში თამაში? რაც უნდა იყოს, გროზნოში, ყაზანსა თუ ნალჩიკში მაღალი ხელფასის ალებას, ისევ „ვოლფსბურგში“ და მით უმეტეს, „ტოტენჰემში“ ან „ფულჰემში“ თამაში ჯობია.

**გოტფრიდ ლენცი**

● ამბები

## ესპანეთს პრობლემები აქვს

მსოფლიოს ჩემპიონ ესპანეთს ხვალ იტალიაში, ქალაქ ბარიში მსოფლიოს ექსჩემპიონ იტალიასთან დაპირისპირება ელის. "ფურია როხას" შემადგენლობასთან დაკავშირებით პრობლემები შეექმნა და ვერ ვიტყვით, რომ მცირე, რადგან გუნდის საექიმო შტაბი ორი ფეხბურთელს თამაშის უფლებას არ აძლევს. თანაც ლაპარაკია არა რიგით წევრებზე, არამედ **სერხიო რამოსსა** და **ჩავი ერნანდესზე**. ამ უკანასკნელს ხერხემალი რა ხანია აწუხებს და ახლაც მას სწორედ ეს პრობლემა წამოუტივტივდა. საეჭვოა მისი თამაში ესპანეთის სუპერთასზეც. **ჟოზე მოურინიოს** ალბათ გული გაუსკდებოდა, როცა ამას გაიგებდა. რაც შეეხება ჩავის, მას კოჭი სტკივა და ნაკრების გარდა სუპერთასს შეიძლება ისიც დააკლდეს.

"ასის" ცნობით, **ვისენტე დელ ბოსკემ** რეალელის მაგივრად ეროვნულ გუნდში მალაგელ **ნაჩო მონრეალს** უხმო, ხოლოდ ბარსელონელს ის უკვე გამოძახებული რომელიმე ფეხბურთელით შეცვლის.

## კასილიასი კმაყოფილია

მადრიდის რეალის მეკარე **იკერ კასილიასი** კმაყოფილია გუნდის მიერ გავლილი სეზონისწინა მოსამზადებელი პერიოდით. ამის შესახებ ის გაზეთ "მარკას" კორესპონდენტს ესაუბრა. აი, რას ამბობს მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო გოლკიპერი: *"სეზონის წინ ჩვენ საკმაოდ ბევრი ვიშრომეთ. სრული საფუძველი მაქვს, რომ ეს დრო დადებითად შევაფასო. ჩვენი მიზანია, შარშანდელი შედეგები გავაუმჯობესოთ. თუკი ამ მიზანს მივაღწევთ, ეს ყველაფერი დიდი წარმატება იქნება".*

## რას ერჩოდნენ რიკელმეს?

ფეხბურთის ისტორიამ ყველაფერი იცის. გუნდის ისტერიული სიყვარული, მეტოქის ბიოლოგიური ზიზღი და ეს ყველაფერი არგენტინაში ალბათ ისეთი ადვილი შესამჩნევია, როგორც არსად. მაგრამ ის, რაც "ოლიმპოსა" და "ბოკა ხუნიორსის" გუშინწინდელ შეხვედრაში მოხდა, ყოველგვარი მორალისა და ზნეობის ზღვარს გადადის. მასპინძელმა გულშემატკივრებმა **ხუან რომან რიკელმეს,** ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით, აფურთხეს. ეს მაშინ მოხდა, როცა ფეხბურთელი კუთხურების ჩასაწოდებლად ალამთან ახლოს იდგა. „ბოკას" ათიანმა ერთი კი შეხედა ვაიგულშემატკივრებს ზიზღიანი თვალებით, მაგრამ როგორც მას ეკადრებოდა, ხმა არ ამოუღია.

## სენტ-ეტიენი გადარჩა

"სენტ-ეტიენმა" ლიგა 1-ის პირველ ტურში ბორდოში 2:1 გაიმარჯვა. ბუნებრივია, მატჩის შემდეგ სტუმრები შინ გაფრენას აპირებდნენ. "მწვანეების" ლაინერმა აეროპორტ "მერინიაკიდან" სტარტი აიღო კიდეც, მაგრამ იძულებული გახდა, მალე ავარიული დაჯდომის უფლება ეთხოვა, რადგან თვითმფრინავის ილუმინატორის მთლიანობა დარღვეული იყო და ბუნებრივია, მასში მჯდომი ყველა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრებოდა. "ფრანს პრესს" ეს ინფორმაცია "სენტ-ეტიენის" პრეზიდენტმა **როლან რომეიერმა** მიაწოდა. ბუნებრივია, ისინი დაბრუნდნენ ბორდოში და ღამე სასტუმროში გაათიეს. გუშინ ისინი შინ უკვე სხვა თვითმფრინავით უნდა გადაფრენილიყვნენ.

**ლევან ბიბილაშვილი**

● ინტერვიუ ანტონიო კასანო



ანტონიო კასანო

# ესპანეთთან სარკეში უნდა ჩავიხედოთ

**იყო დრო, როდესაც ანტონიო კასანო კლუბში ბრწყინავდა და მიუხედავად ამისა, ეროვნულ ნაკრებს არ აკარებდნენ – გახსოვთ ალბათ, "სამპდორიაში" ბრწყინვალე ასპარეზობის პერიოდში, მარჩელო ლიპის ჰყავდა ათვალწუნებული და ცოცხალი თავით არ იწვევდა "სკუადრა აძურაში". დღეს განსხვავებული ვითარებაა, ეროვნულ გუნდში წამყვანი პოზიციები უკავია და თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლიდერადაც კი ითვლება - აი "მილანში" კი მთლად ისე ვერ აქვს საქმე, როგორც ისურვებდა. ფაქტია, რომ ანტონიომ ჯერჯერობით ვერ მოახერხა ძირითად შემადგენლობაში თავის დამკვიდრება და მეტწილად სათადარიგოთა სკამზე უწევს ჯდომა. კასანო ზლატან იბრაჰიმოვიჩის, ალეშანდრე პატოს და რობინიოს ჩრდილშია მოქცეული. არადა, საყოველთაო მოსაზრებით, ტალანტით არც ერთს არ ჩამოუვარდება. კასანომ "კორიერე დელო სპორტს" მისცა ინტერვიუ და არაერთ საინტერესო საკითხზე ისაუბრა, მათ შორის მოახლოებულ ამხანაგურ პაექრობაზე, რომელსაც იტალიის ეროვნული ნაკრები ესპანეთის უმთავრეს გუნდთან გამართავს...**

**- გილოცავთ პირველ ტროფეის, როგორ აღნიშნეთ იტალიის სუპერთასის მოგება?**

- დიდი მადლობა. ყველანი გახარებულები ვართ, რადგან სეზონის ტიტულის მოგებით დაწყება მართლაც რომ საშური ამბავია. "ინტერთან' რთული ბრძოლა გადავიტანეთ, მაგრამ რაც მთავარია, გამარჯვება ჩვენ დაგვრჩა. დიდი მადლობა მინდა გადავუხადო თანაგუნდლებს, რომლებმაც თავი არ დაზოგეს და შესაძლებლობები მაქსიმალურად წარმოაჩინეს. ბევრი "ინტერს" მიიჩნევდა ფავორიტად, აქაოდა ახალი მწვრთნელის ხელში გუნდი სხვა მოტივაციით ათამაშდებაო, თანაც "ინტერისტები" რევანშისტულად იყვნენ განწყობილი, მაგრამ ყველაფრის მიუხედავად, თამაში მაინც ჩვენ მოვიგეთ. ეს იმის მანიშნებელია, რომ გამარჯვებული მენტალიტეტის მქონე გუნდი გვყავს.

**- ამბობენ, რომ უკმაყოფილო ხართ გუნდში თქვენი როლით და სხვაგან გადასვლაზე გიჭირავთ თვალი. მართალია?**

- ბედნიერი ვერ ვიქნები იმით, რომ სასტარტო შემადგენლობაში იშვიათად მიწევს თამაში, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ სხვაგან წასვლას ვაპირებ. "მილანთან" ხელშეკრულება 2014 წლამდე მაკავშირებს და დიდი სურვილი მაქვს, როგორც მინიმუმ, ამ დრომდე სწორედ "როსონერიში" ვიასპარეზო. დანარჩენს დრო გვიჩვენებს და ვნახავთ რაც იქნება.

**- როგორც ვიცით, შეთავაზებები არ გაკლიათ...**

- ნამდვილად ასეა და ეს ძალიან მსიამოვნებს. ზოგჯერ ისეთი გუნდიდან ვიღებ შეთავაზებას, რომ მიკვირს კიდეც... მაგალითად, რამდენიმე დღის წინ საუდის არაბეთიდან შემეხმიანნენ, მანამდე კი კანადიდან. სიმართლე გითხრათ, არც კი ვიცოდი, კანადაში ჰოკეის გარდა რამეს თუ თამაშობდნენ. წინადადებები ევროპიდანაც მაქვს, ბოლოს "მარსელის" და "ვოლფსბურეგის" მესვეურები შეეხმიანნენ ჩემს აგენტს, მაგრამ უარი მიიღეს. იტალიიდან წასვლას არ ვაპირებ და მინდა ეს ყველამ კარგად იცოდეს.

**- ანუ, შესაძლოა, რომ "მილანიდან" რომელიმე სხვა იტალიურ გუნდში გადახვიდეთ...**

- ნამდვილად ვერ გამოვრიცხავ, მაგრამ როგორც უკვე აღვნიშნე, ეს კარგი ცხოვრებით არ მოხდება. ჩემი სურვილით "მილანელოდან" წამსვლელი არ ვარ და თუ კლუბი გამასხვისებს, არჩევანს აუცილებლად იტალიურ გუნდზე შევაჩერებ. რაც დრო გადის, ცვლილებებს უფრო და უფრო რთულად ვეგუები. ასე რომ, სხვა ქვეყანასთან ადაპტირების დიდი სურვილი ნამდვილად არ მაქვს.

**- ეროვნულ ნაკრებში ერთ-ერთ ლიდერად ითვლებით, მაშინ, როდესაც გუნდში პრობლემები გაქვთ... ეს რამდენად ლოგიკურია?**

- ეს ფეხბურთია და აქ ყველაფერი ხდება. ასე რომ, განსაკუთრებულს ვერაფერს ვხედავ. "მილანში" მსოფლიო ნაკრებია თავმოყრილი და სიმართლე გითხრათ, არ მიკვირს, რომ ნაკრებში უფრო მიადვილდება თავის დამკვიდრება, ვიდრე გუნდში. თუმცა, ეს მთლიანად ჩეზარე პრანდელის დამსახურებაა, რომელმაც მარჩელო ლიპისგან განსხვავებით, ნდობა გამომიცხადა. თავს არ დავზოგავ, რათა გაცემული ავანსები გავამართლო. ეროვნული ნაკრების შეკრებაზე ყოველთვის დიდი სიხარულით მივდივარ. ეს არის მთავარი მოტივაცია ყველა ნორმალური ფეხბურთელისთვის.

**- 10 აგვისტოს ესპანეთის ეროვნულ გუნდთან მოგიწევთ ამხანაგური პაექრობა. რას ელით ამ მატჩისგან?**

- სარკეში უნდა ჩავიხედოთ და გავიგოთ, რა გუნდი გვყავს დღეს და რა ხარვეზებზე გვაქვს სამუშაო. ახალი არ იქნება თუ ვიტყვი, რომ პირენეელებს საუკეთესო ნაკრები ჰყავთ მსოფლიოში, შესაბამისად, მათთან პაექრობა უდიდეს სარგებელს მოგვიტანს. დიდი სურვილი მაქვს, რომ პრანდელიმ ძირითად შემადგენლობაში გამამწესოს. ვეცდები, შესაძლებლობები სრულად წარმოვაჩინო.

**- რას ელით ახალი სეზონისგან?**

- დიდი იმედი მაქვს, რომ "მილანთან" ერთად არაერთ ტიტულს მოვიგებ და რაც ასევე მნიშვნელოვანია, ამაში ჩემი წვლილიც იქნება. დარწმუნებული ვარ, რომ ასეთ შემთხვევაში არც ჩეზარე პრანდელის დავრჩები უყურადღებოდ და ევროპის 2012 წლის ჩემპიონატზე ასპარეზობის საშუალებას მომცემს. რაც მთავარია, უკრაინა-პოლონეთში წარმატებულად უნდა გამოვიდეთ და მსოფლიოს ჩემპიონატზე ნაწნევი სირცხვილი ჩამოვირეცხოთ.

**- ეს ალბათ მარჩელო ლიპის ფარული კრიტიკა იყო...**

- მიუხედავად იმისა, რომ დღემდე ვერ ვხვდები, რატომ ამითვალწუნა, მისი საწინააღმდეგო არაფერი მაქვს. თუ კიდევ რამეს გაკეთებას აპირებს ფეხბურთში, წარმატებებს ვუსურვებ და იმედია, არც ისაა ჩემდამი მტრულად განწყობილი. ვინც მიცნობს, ყველამ კარგად იცის, რომ სამხრეთაფრიკულ მუნდიალზე ჩვენს ნაკრებს თავგამოდებით ვგულშემატკივრობდი.

**ლაშა წიკლაური**

## ქართული სპორტი

### ძიუდო. მსოფლიოს ჩემპიონატი ჭაბუკებში

# მორიგი შანსი წარმატებისთვის




საქართველოს ჭაბუკთა ასაკის ძიუდოისტი გოგოებისა და ბიჭების გუნდები დღეს კიევში გაფრინდებიან, სადაც 11-14 აგვისტოს მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვლენ. ბიჭების ნაკრების თავკაცმა **გიორგი ვაზაგაშვილმა** ამჯერადაც ორ-ორი შემადგენლობა შეარჩია, თუმცა ივნისში მალტურ კოტონერაში ჩატარებული ევროპის პირველობის შემდეგ ხუთი მონაწილე მაინც შეცვალა ფრიად წარმატებული გამოსვლის მიუხედავად. ამჯერად გუნდის შემადგენლობა ასეთია: **ზვიად ხუბულური, გიორგი კაციაშვილი** (ორივე - 50), **ივანე მამისაშვილი, გიგა აფაქიძე** (ორივე - 55), **თამაზ კირაკოზაშვილი, გიორგი გოგოლაშვილი** (ორივე - 60), **აპოლონ ზურაბიანი, გიორგი მუზაშვილი** (ორივე - 66), **ბექა დონლვანი, ლევან გუგავა** (ორივე - 73), **ბექა ლვინიაშვილი, ჯაბა კაპანაძე** (ორივე - 81), **შალვა ჩოჩელი, გურამ თუშიშვილი** (ორივე - 90), **გიორგი ლაზუაშვილი, ზაზა ხუბულური** (ორივე - +90). ამათგან ახალი კადრები კაციაშვილი, აფაქიძე, გოგოლაშვილი, კაპანაძე და ზაზა ხუბულური არიან.

ევროპის პირველობის გარდა, წლეულს ეს გუნდი ტრაბზონში გამართულ ევროპის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალშიც მონაწილეობდა. ამ სპორტსმენთაგან ორივე შეჯიბრება მხოლოდ ლვინიაშვილმა მოიგო, თუმცა უმეტესობამ ორივეგან მოიპოვა მედალი. მაგალითად, მამისაშვილმა ოქრო-ბრინჯაო ირგუნა, კირაკოზაშვილმა და ლაზუაშვილმა - ვერცხლ-ბრინჯაო, გუგავა ორივე ტურნირში მესამეზე გავიდა, ჩოჩელმა და თუშიშვილმა კი ევროპაზე მოიპოვეს ჯილდოები, შესაბამისად ვერცხლი და ბრინჯაო.

გოგოების შეჯიბრებაში **გია თენაძის** გადაწყვეტილებით, მხოლოდ ოთხი წარმომადგენელი გვეყოლება: **გურანდა შოთაძე** (48), **მარიამ ციხელაშვილი** (52), **მარიამ ჯანაშვილი** (57) და **ანი მინდიაშვილი** (63).

**ირაკლი თავაძე**

### ქართული ჭიდაობა

# ძალოვნებმა ორხევში იძალგულოვნეს

ცნობილია, რომ მოჭიდავეების საკმაოდ დიდი ნაწილი აქტიური სპორტის შემდეგ ძალოვან უწყებებში აგრძელებს შრომით საქმიანობას.

ქართული ჭიდაობის შეჯიბრებები კი ძალოვნებს შორის არახალია.

თბილისში, ორხევში, წმინდა ნინოს სახელობის ეკლესიის წინ, სახელდახელოდ მოწყობილ ქართული ჭიდაობის ღია მოედანზე გაიმართა ძალოვანი სტრუქტურების პირველობა ქართულ ჭიდაობაში, რომელსაც ორხევის დასახლების უამრავი ქომაგი დაესწრო.

„საჭიდაოს" დამკვრელების: თემო პაპაშვილის, სულხან სულაძის და გიორგი ბატიაშვილის დასტა აქ ღამის 11 საათამდე აჟღერებდა დოლსა და ზურნას ძალგულოვანი ძალოვნების წასაქეზებლად.

სხვათა შორის, ყველა გამარჯვებული საკმაოდ ცნობილი მოჭიდავეები არიან: **გელა ბარათაშვილი** (60 კგ. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი), **ნოდარ მჭედლიშვილი** (78 კგ. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი), **ვასილ ნაცვლიშვილი** (80 კგ. თავდაცვის სწრაფი რეაგირების რაზმი), **გიორგი ბოლოთაშვილი** (90 კგ. სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტი), **ნიკო ბიბილაშვილი** (+90 კგ. კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტი).

შეჯიბრებაზე გათამაშდა ორი ცოცხალი პრიზი - ორი ჭედილა. აბსოლუტურ პირველობაზე ყველას აჯობა და ჭედილა მოიპოვა ევროპის 2000 წლის ჩემპიონმა სამბოში ნიკო ბიბილაშვილმა. მისმა გუნდმა, - ანუ კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტმა კი არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი და მეორე ჭედილა დაიმსახურა. სხვათა შორის, გამარჯვებულ გუნდში იყო კიდევ ერთი ევროპის ჩემპიონი სამბოში - გელა ბარათაშვილი (60 კგ).

**გაბრიელ ბარჯაძე**
ავტორის ფოტო


ნიკო ბიბილაშვილი (მარჯვნივ)

### ჭიდაობა. ევროპის ჩემპიონატი ჭაბუკებში

# დღეს იწყებენ...

Cadet European Wrestling Championships
Warsaw 9-14.08.2011

დღეს ვარშავაში ჭაბუკ მოჭიდავეთა ევროპის პირველობა იწყება, რომელიც თავისუფალი სტილით მოჭიდავეთა ტურნირით გაიხსნება. ჩვენი ნაკრები ვარშავაში კვირას გაფრინდა ასეთი შემადგენლობით: **გიორგი პასიკაშვილი** (42), **რამაზ დარჩიძე** (46), **შოთა ფანცულაია** (50), **შოთა ფარტენაძე** (54), **რაუფ შაკულ-ოღლი** (58), **ომარ გურჯიძე** (63), **შალვა ჭადაშვილი** (69), **გიორგი ჩხარტიშვილი** (76), **ბექა როჭიკაშვილი** (85), **გენო პეტრიაშვილი** (100). შარშანდელს შემდეგ ეს გუნდი ლამის მთლიანადაა გადახალისებული. შარშან ნაკრებმა ევროპის პირველობაზე 2-2 ვერცხლ-ბრინჯაო მოიპოვა, მაგრამ იმ მედალოსანთაგან წლეულს ყველა ახალგაზრდებში გადავიდა. **თამაზ ბენდიანიშვილის** ახლანდელი გუნდის უდავო ლიდერი 16 წლის გორელი მძიმეწონოსანი გენო პეტრიაშვილია, რომელმაც მოასწრო და წლეულს ახალგაზრდებში მოიპოვა ევროპული ბრინჯაო. იმედია, ის პოლონეთშიც წარმატებით იასპარეზებს.

დღეს „თავისუფალთაგან" 42, 50, 58, 69 და 85-ის ფალავნები იჭიდავებენ, ხვალ - დანარჩენები. 11-12 აგვისტო გოგოების შეჯიბრებას დაეთმობა, სადაც მონაწილე არ გვეყოლება, 13-14-ში კი ბერძენ-რომაელები იასპარეზებენ. ამ ტურნირში ჩვენი ქვეყნის ღირსებას **რამაზ ზოიძე** (42), **ბაკურ გოგოლი** (46), **ედნარ შავაძე** (50), **გიორგი ტოტიკაშვილი** (54), **შმაგი ბოლქვაძე** (58), **გიორგი თოიძე** (63), **შალვა ხაჩიძე** (69), **ლაშა გობაძე** (76), **კუკური კირცხალია** (85) და **ბაკურ კანდელაკი** (100) დაიცავენ. „თავისუფლებისა" არ იყოს, ეს ნაკრებიც საგრძნობლადაა გადახალისებული, შარშანდელი 6 მედალოსანიდან კი (თითო ოქრო-ბრინჯაო, 4 ვერცხლი) გუნდში მხოლოდ ვიცე-ჩემპიონი ბოლქვაძე დარჩა, თუმცა შარშან ის 42-ში გამოდიოდა. ბერძენ-რომაელები ვარშავაში ზეგ, 11 აგვისტოს გაფრინდებიან, პირველ დღეს კი ზოიძე, შავაძე, ბოლქვაძე, ხაჩიძე და კირცხალია იჭიდავებენ.

საერთაშორისო ფედერაციაში შექმნილი განუკითხაობისა და არეული კალენდრის გამო ამ ტურნირიდან ორიოდ კვირაში ჭაბუკები უკვე მსოფლიოს ჩემპიონატში იასპარეზებენ უნგრულ სომბათჰეიში. სავარაუდოდ, ახლანდელი შემადგენლობები დიდად არ შეიცვლებიან და იქაც ძირითადად ამ მოზარდებს ვიხილავთ.

**ირაკლი თავაძე**

### მსოფლიოს უნივერსიადა

# ძიუდოისტები ჩინეთში წავიდნენ

გუშინ საქართველოს ძიუდოისტ ვაჟთა ნაკრები ჩინურ შენჩჟენში გაემგზავრა, სადაც 12-23 აგვისტომდე გასამართავ მსოფლიოს უნივერსიადაში მიიღებს მონაწილეობას. ჩვენს გუნდს **ივერი ჯიქარაული** უხელმძღვანელებს, რომელმაც ჩინეთში ეს შემადგენლობა წაიყვანა: **პაატა მერებაშვილი** (60), **გიორგი შოშიაშვილი** (66), **ამბაკო ავალიანი** (73), **დავით კარბელაშვილი** (81), **ბეთქილ ნავერიანი** (90), **იოსებ მსხალაძე** (100) და **არჩილ სალინაძე** (+100). ამათგან ყველა საქართველოს უნივერსიადის ჩემპიონია ავალიანისა და მსხალაძის გარდა - პირველმა იქ ზედა წონაში იასპარეზა და მეორეზე გავიდა, მსხალაძეს კი უნივერსიადაზე საერთოდ არ უჭიდავია. ავალიანი ერთხანს ეროვნულ ნაკრებში მსოფლიოს ჩემპიონატზე წასვლის კანდიდატადაც განიხილებოდა, მაგრამ მოულოდნელად იქაური სიიდან ამოილეს და უნივერსიადაზე გაუშვეს, ოღონდ თავის ძველ წონას დაუბრუნეს. ბოლო დღეებამდე გაურკვეველი იყო ლიდერის საკითხი თავად 81-შიც. თავიდან აქ **ლევან წიკლაური** განიხილებოდა (!), მაგრამ როცა ეროვნული ნაკრების კანდიდატი **გიორგი ბაინდურაშვილი** დაშავდა, მწვრთნელებმა მათ შორის როქის გაკეთება განიზრახეს, მაგრამ ბაინდურაშვილის ტრავმა მოსალოდნელზე მძიმე აღმოჩნდა. დღეს ის მთავარ ნაკრებთან ერთად იტალიაში კი იმყოფება შეკრებაზე, მაგრამ ეს უფრო იმ გათვლაზეა აგებული, რომ ეგებ მსოფლიომდე დარჩენილ დროში მოასწროს სრულად გამოჯანმრთელება, ამასობაში კი წიკლაური ეროვნულ ნაკრებს შემორჩა, კარბელაშვილი - სტუდენტურს.

თავდაპირველი გეგმით, ჩვენი გუნდი ჩინეთში ორ დღეში უნდა გაფრენილიყო და არა - გუშინ, მაგრამ ისინი შეჯიბრებას 12-შივე იწყებენ და აკლიმატიზაციას ვერ ასწრებდნენ. ამიტომ გადაწყვიტეს დაგეგმილზე ადრე წასვლა, რასაც ხელმძღვანელობაც გაგებით მოეკიდა.

**ირაკლი თავაძე**

FISU

Universiade SHENZHEN 2011

### შეხვედრა წარსულთან



# კობიანთკარელი რეკორდსმენი

ეს 69 წლის მრავალ ჭირ-ვარამ გამოვლილი კაცი თავის დროზე ნამდვილ ტალანტად მოევლინა მძლეოსნობის სამყაროს. **კარლო გორძამაშვილი** 10 წელიწადი სსრკ ნაკრების წევრი იყო შუბის ტყორცნაში. დღეს მშობლიური დუშეთის რაიონის სოფელ კობიანთკარის ცხოვრებით ცხოვრობს. არც არასდროს უცხოვრია თავისი სოფლიდან განდგომილს.

შუბის ტყორცნა, მოგეხსენებათ, უზადო ტექნიკას მოითხოვს. უცხოელი მეტოქეების თქმით - გორძამაშვილს რომ სრულყოფილი ტყორცნის ტექნიკური ელემენტები სცოდნოდა, ქართველი სპორტსმენის მომგები ძნელად თუ იქნებოდა ვინმე, თუმცა საოცარი ღონის წყალობით კარლო ბევრ მათგანს არ უდებდა ტოლს...

ამ 45 წლის წინათ კარლოს მიერ ძველი შუბით დამყარებული საქართველოს რეკორდი (80 მეტრი და 98 სმ) კი დღესაც ხელუხლებელია...

**გაბრიელ ბარჯაძე**

### ჭადრაკი

# მჭედლიშვილის 3-დან 3

ბაქოს საერთაშორისო ტურნირზე გუშინ მე-3 ტურის პარტიები გაიმართა. წარმატებით ითამაშა თბილისელმა **მიხეილ მჭედლიშვილმა** (2618), რომელმაც შავი ფიგურებით ევროპის ექსჩემპიონი ემილ სუტოვსკი (ისრაელი, 2700) დაამარცხა და უდანაკარგოდ მეწინავეთა შორისაა.

ორ-ორქულიანთაგან ექვსიდან 5 შეხვედრა შედეგიანად დასრულდა: ბულგარელმა ივან ჩეპარინოვმა (2669) ქართველების ჯავრი იყარა ესპანელ ფრანცისკო ვალეხოზე (2724) 1:0, ამ უკანასკნელმა პირველ-ორ ტურში **ბაჩანა მორჩიაშვილსა** და **თორნიკე სანიკიძეს** სძლია. ევგენი რომანოვი (რუსეთი, 2624)-ალექსეი დრეევი (რუსეთი, 2711) 1:0, ელთაჯ საფარლი (აზერბაიჯანი, 2622)-დმიტრი ანდრეიკინი (რუსეთი, 2696) 0,5:0,5, სერგეი ჟიგალკო (ბელარუსი, 2689)-ანარ ალახვერდიევი (აზერბაიჯანი, 2421) 1:0, სერგეი ვოლკოვი (რუსეთი, 2607)-ლაზარო ბატისტა ბრუზონი (კუბა, 2673) 0:1.

ტურნირში, მჭედლიშვილის გარდა, კიდევ 7 მოჭადრაკე მონაწილეობს: პოუია იდანი (ირანი)-**მერაბ გაგუნაშვილი** 0,5:0,5, **თორნიკე სანიკიძე**-ნიჯათ აგაევი (აზერბაიჯანი)-1:0, შაჰრიარ ჰასანოვი (აზერბაიჯანი)-**გიგა ყუფარაძე** 0:1, **დავით მალალაშვილი**-ალიზამინ ჯაფარლი (აზერბაიჯანი)-1:0, მარი ქურიად პოუია (ირანი)-**სალომე მელია** 0,5:0,5, **ბაჩანა მორჩიაშვილი**-მუშვიგ ასგაროვი (აზერბაიჯანი) 0:1, **გაიოზ ნიგალიძე**-რაუფ მამედოვი (აზერბაიჯანი) 0:1.

სამი ტურის შემდეგ ქულათა მაქსიმუმი მოაგროვეს მჭედლიშვილმა, ბრუზონმა, ჟიგალკომ, ჩეპარინოვმა და რომანოვმა. მათ ნახევარ-ნახევარი ქულით 5 მოჭადრაკე ჩამორჩება. ქართველთა მონაგარი კი ასეთია: სანიკიძე, ყუფარაძე, მალალაშვილი, გაგუნაშვილი-2-2, ნიგალიძე-1,5, მელია-0,5, მორჩიაშვილი-0 ქულა.

დღეს მე-4 ტურში ითამაშებენ: მჭედლიშვილი-ჟიგალკო, ბრუზონი-ჩეპარინოვი, მამედიაროვი-რომანოვი... გაგუნაშვილი-რზაევი, აგარაგიმოვი-სანიკიძე, ყუფარაძე-იდანი, რაჰმანოვი-მალალაშვილი, მამედოვი-ნიგალიძე, მელია-ბათუჰან დასტანი, ტურკან მამედიაროვა-მორჩიაშვილი.

**ვაჟა დანელია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● ჩოგბურთი

# გასახარი დიდად არაფერია




საუკეთესო ჩოგბურთელ ქალთა კლასიფიკაციაში **ანა ტატიშვილმა** 85-იდან 84-ე ადგილზე გადაინაცვლა, თუმცა ეს ბევრს არაფერს ნიშნავს, რადგან ამერიკელ ვანია კინგს, ჩვენებურსა და ავსტრიელ პატრისია მაირ-ახლაიტნერს 785-786 ქულით, შესაბამისად, 83-ე-85-ე ადგილები უკავიათ.

გასულ კვირას ტატიშვილმა ტორონტოს საერთაშორისო ტურნირის (ლოგერს ჩუპ, საპრიზო ფონდი 2 050 000 დოლარი) საკვალიფიკაციოში ტაივანელი კაი-ჩენ ჩანი დაამარცხა - 6:3, 6:3, მეორე წრეში კი თავად წააგო 37-ე ადგილზე მყოფ ესპანელ მარია მარტინეს სანჩესთან - 4:6, 2:6, თუმცა იმ ერთი გამარჯვებით 12 სარეიტინგო ქულა მოიპოვა, რომელიც მომავალი ორშაბათისთვის დაერიცხება. 13 აგვისტოდან ანა ოჰაიოს შტატის ცინცინატის საერთაშორისო ტურნირში (Western&Southern Open, საპრიზო ფონდი 2 050 000 დოლარი) აპირებს გამოსვლას, სადაც ისევ საკვალიფიკაციოდან ჩაებმება ასპარეზობაში.

კლასიფიკაციაში 275 ქულით 201-დან 211-ე ადგილამდე ჩამოქვეითდა **ოქსანა კალაშნიკოვა**, რომელიც კარგა ხანია, ტურნირებში არ გამოჩენილა. 273 ქულით 4 საფეხურით (211-დან 215-მდე) ჩაინაცვლა **მაკა ჩახნაშვილმა.** უფრო დიდი დანაკარგი აქვთ 294-ე ადგილზე მყოფ **სოფიო შაფათავას** (185 ქულა, 248-ე ადგილიდან) და თათია მიქაძეს (477-ე ადგილი, - 62, 75 ქულა).

რეიტინგში 9 საფეხური დაკარგა 80-ქულიანმა **ეკატერინე გორგოძემ** (456-ე), იმის მიუხედავად, რომ გერმანული პეჩინგენის ტურნირის საკვალიფიკაციოში ორი შეხვედრა მოიგო - ჩეხ ვერონიკა ზავოდსკასთან (6:4, 6:0) და ჩილელ დანიელა სეგულთან (6:1, 6:0), თუმცა ძირითადი ბადის სტარტზევე ფრანგ ოდრი ბერგოტთან დამარცხდა (6:2, 1:6, 2:6). გორგოძე ამჟამადაც გერმანიაში, ვერსმოლდის 25-ათასიანი ტურნირის საკვალიფიკაციოში მან ბრიტანელ ელეანორ დინს სძლია - 1:6, 6:3, 6:1. მისი მომდევნო მეტოქეა პოლონელი ანა კორჟენიაკი.

80 ქულით **სოფიო ქვაცაბაიამ** 466-დან 457-ე ადგილამდე აინაცვლა. წინა კვირას მან სტამბოლის 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში იასპარეზა მე-2 ნომრად, ორი მეტოქეც დაამარცხა - იანინა კოლეტა (სლოვენია, 6:2, 6:1) და ნურია პარისას-დიასი (ესპანეთი, 6:4, 6:0) მესამე წრეში კი კრისტინა შაკოვეცთან (გერმანია, 7:6, 2:6, 4:6) წააგო. ამ უკანასკნელმა მომდევნო ორ მეტოქესაც სძლია და მთავარი პრიზი დაისაკუთრა. ქვაცაბაია სტამბოლშივე დარჩა და იქვე ისევ 10-ათასიანი ტურნირის ძირითად ბადეში მოხვდა. სტარტზე ამჯერადაც სლოვენიელ ჩოგბურთელს დაუპირისპირდება, ანია პრისლანს. ნახევარფინალში გასვლის შემთხვევაში ჩვენებურს შაკოვეცთან რევანშის შანსი მიეცემა, ცხადია, თუ გერმანელიც სამ ბარიერს გადალახავს.

**ვაჟა დანელია**

● ფოტო კომენტარით



სამი სწორუპოვარი ფალავანი, მსოფლიოს საჭიდაო სამყაროს სამი ლეგენდა (სურათზე მარცხნიდან) - შოთა ლომიძე, როსტომ აბაშიძე და „ჭიდაობის პროფესორად“ შერაცხილი ვახტანგ ბალავაძე. ნებისმიერი ქვეყანა იამაყებდა იმ წარმატებებით, რომლებიც მათ მოუპოვებიათ შეუპოვარ და რაინდულ შერკინებებში პლანეტის სხვადასხვა დონისა და რანგის ასპარეზობებში. ლომის გვარის კაცი ადრე გამოაკლდა საფალავნო სამყაროს, როსტომ აბაშიძე და ვახტანგ ბალავაძე კვლავ ბურჯად უდგანან ქართულ საჭიდაო სკოლას, საერთოდ, ქართულ სპორტს, ხარობენ ნიჭიერ მემკვიდრეთა წარმატებებით.

**გურამ სალარაძე**
მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი თავისუფალ ჭიდაობაში

● შეხვედრა წარსულთან


წინა პლანზე მარცხნიდან პირველი პაოლო იაშვილი

# პაოლო იაშვილი და ჭადრაკი

- ჩემი ოცნებაა ვიხილო ჭადრაკის ქართველი ოსტატი, რომელიც ჩვენი ერის მდიდარ საჭადრაკო ტრადიციებს ქვეყანას გააცნობს, - ოცნებობდა XX საუკუნის ერთ-ერთი დიდი ქართველი პოეტი **პაოლო იაშვილი.** იგი ნაზიარები იყო ჭადრაკის სიბრძნეს, ესმოდა თამაშის ღირსება, იცნობდა განთქმულ მოჭადრაკეებსაც.

- 1914 წელს პაოლო, ტიციან ტაბიძე და მე რამდენიმეჯერ დავესწარით პეტერბურგში დიდოსტატთა საერთაშორისო ტურნირს, სადაც პირველად ვნახეთ კორიფენი - ემანუილ ლასკერი, ხოსე რაულ კაპაბლანკა, ალექსანდრე ალიოხინი, ზიგბერტ ტარაში და სხვები, - იხსენებდა სახელგანთქმული პოეტი **კოლაუ ნადირაძე.** სამივე მწერალს სიცოცხლის ბოლომდე გაჰყვა ჭადრაკისადმი სიყვარული.

პაოლო იაშვილის ოცნებას მალე შეესხა ფრთები. 20-იანი წლების დასასრულს თბილისში გამოჩნდა ახალგაზრდა ნიჭიერი მოჭადრაკე **ვიქტორ გოგლიძე.** მანამდე ვიქტორი ტაშკენტში ცხოვრობდა. პაოლო და მისი მეგობრები ზრუნვას არ აკლებდნენ მზარდ მოჭადრაკეს. მათი თაოსნობით 1928 წელს თბილისში მოეწყო ვიქტორის და ცნობილი მოსკოველი ოსტატის **ნიკოლოზ გრიგორიევის** მატჩი.

ორთაბრძოლამ აალელვა თბილისელები. მწერალთა კავშირის სახლი, სადაც მოჭადრაკეები თამაშობდნენ, მუდამ სავსე იყო გულშემატკივრებით. პაოლო, **ტიციანი, იაკობ ნიკოლაძე** და სხვები თავს დასტრიალებდნენ თავიანთ კერპს. მაგრამ მოსკოველის გამოცდილებამ მაინც თავისი გაიტანა. დასკვნითი პარტიის მოგებით შეძლო მან გამარჯვება.

- სახელგანთქმულ ოსტატთან ორთაბრძოლა ჩემი დიდი გამოცდა იყო, - იგონებდა ვიქტორ გოგლიძე, - მართალია, მატჩი წავაგე ერთი ქულის სხვაობით, მაგრამ ფრიად საჭირო გამოცდილება შევიძინე. ბრძოლის დროს პაოლო არ სცილდებოდა საასპარეზო დარბაზს და ძალიან განიცდიდა თამაშის პერიპეტიებს.

დიდი პოეტი არ ჰკარგავდა იმედს, რომ ვიქტორი გახდებოდა ოსტატი. თვალს ადევნებდა მის თამაშს, ამხნევებდა, აგულიანებდა. ხშირად იწვევდა მწერალთა წრეში.

იმხანად თბილისში დუღდა საჭადრაკო ცხოვრება. საასპარეზოდ ცნობილი ოსტატები ჩამოდიოდნენ. 1929 წელს თბილისს ეწვია მოსკოვის სამგზის ჩემპიონი, ოსტატი **ვლადიმერ ნენაროკოვი,** რომელსაც, სხვათა შორის, სამჯერ ჰყავდა დამარცხებული **ალექსანდრე ალიოხინი.** სტუმარი მატჩში შეხვდა თბილისელ **ნიკოლოზ სოროკინს** და დაამარცხა იგი.

პაოლომ სთხოვა ნენაროკოვს, შეხვედროდა ვიქტორს მატჩში სპორტის ოსტატის წოდებისათვის. მატჩის პირობები შეათანხმა მოსკოვში იმდროინდელ საკავშირო საჭადრაკო სექციასთან. მეტოქეებს 6 მოგებამდე უნდა ეთამაშათ. 1930 წლის 7 მაისს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მეტოქენი მიუსხდნენ ჭადრაკს.

თვით ვიქტორის ნაამბობით მატჩი ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა. აი, მისი „კარდიოგრამა“ - 1:0, 2:0, 2:1, 3:1, 3,5:1,5... 7:4. ახალგაზრდა ვიქტორმა ბოლომდე შეინარჩუნა უპირატესობა. პაოლო აღფრთოვანებული იყო თავისი კერპის წარმატებით. სიხარულს არ მალავდა, რომ საქართველომ პირველი ოსტატი შეიძინა.

რამდენიმე დღის შემდეგ პაოლო იაშვილის თაოსნობით ქართველმა ინტელიგენციამ ნადიმი გაუმართა ახალგაზრდა ოსტატს სასტუმრო „პალასში“ (მერე ამ შენობაში ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმი განთავსდა). სუფრას თავად პაოლო თამადობდა. ესწრებოდნენ - **ლადო გუდიაშვილი, მოსე თოიძე, იაკობ ნიკოლაძე, ტიციან ტაბიძე, მიხეილ ჯავახიშვილი, კონსტანტინე გამსახურდია, ვიქტორ დოლიძე, სანდრო ახმეტელი,** მოსკოვის მცირე თეატრის დირექტორი **სერგო ამაღლობელი, პიერ კობახიძე,** ცნობილი ინჟინერი **კირიაკ ზავრიევი** და სხვები, თითქმის ორმოცი კაცი.

ვიქტორ გოგლიძე იხსენებდა:

- შესანიშნავი იყო პაოლო. მისი ოქროპირობა ალამაზებდა შეხვედრას.

სასიქადულო პოეტი აქტიურად თანაუგრძნობდა ქართულ ჭადრაკს. ქომაგობდა ვიქტორ გოგლიძეს. 1934 წელს თბილისში გაიმართა ახალგაზრდა საბჭოთა ოსტატთა დიდი ტურნირი, რომელშიც ცნობილმა ავსტრიელმა ოსტატმა **ჰანს კმოხმაც** მიიღო მონაწილეობა. ვიქტორ გოგლიძემ არ გაანბილა თავისი ქომაგი და ბრწყინვალედ გაიმარჯვა. ქულა-ნახევრით გაუსწრო მეორე ადგილზე გასულ ბაქოელ **ვ. მაკოგონოვს.** კმოხმა მესამე-მეხუთე ადგილები გაიყო.

გახარებულმა პაოლომ ბანკეტზე ქართველ ოსტატს ექსპრომტად ლექსი მიუძღვნა:

***შენ უკვე გაიგე, რა არის ძილის წინ***
***უეცრად შეხტომა, კაცს რომ არ აძინებს,***
***შენ უკვე გაიგე, მკაცრია თბილისი***
***და თავის არჩეულს თვალს არ მოაცილებს.***
***რჩეულთა ეს ბედი ხშირად დაძლეულა,***
***ჰო, მაგრამ სიხარულს ეს ფიქრი მოგვტაცებს***
***არავის არ სძინავს ისე აბნეულად,***
***როგორც რომ ლექსის და ჭადრაკის ოსტატებს.***

ვიქტორ გოგლიძის ახალმა გამარჯვებამ სიხარულით აავსო დიდი პოეტი. იგი ჩვეული მჭევრმეტყველებით ჰქადაგებდა სადღეგრძელოს. კმოხს ფრანგულად მიმართა, რაც სტუმრისათვის სიურპრიზი იყო. ამას დაემატა ისიც, რომ მოულოდნელად მაგიდის ქვეშ დამალული ტორტი - ჭადრაკის დაფა, თეთრი და კაკაოსფერი კრემისაგან ჩამოსხმული ფიგურები - გამოილო და მოწიწებით მიართვა ავსტრიელ ოსტატს.

1935 წელს პაოლო იაშვილი დაესწრო მოსკოვში გამართულ დიდ საერთაშორისო ტურნირს, რათა ქომაგობა გაეწია ვიქტორ გოგლიძესთვის, კვლავ ენახა ლასკერი, კაპაბლანკა და სხვა კორიფეები.

- პაოლო დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალს ჩემს თამაშს, - ჰყვებოდა ვიქტორი. - მამხნევებდა, წარმატების რწმენას მინერგავდა. ძალიან გაიხარა, როცა კაპაბლანკასთან ყაიმს მივაღწიე.

სასიქადულო პოეტსა და ჭადრაკის ტრფიალს ოცნებად ჰქონდა თბილისი გამასპინძლებოდა დიდ საერთაშორისო ტურნირს, მაგრამ იგი აუხდენელი დარჩა მისთვის.

**თენგიზ გიორგაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● საქართველოს ნაკრები

# იგორ კოკოშკოვი: წინ მივდივართ









საქართველოს ნაკრებმა ესტონეთის საერთაშორისო ტურნირი 7 აგვისტოს შვედეთთან მატჩით დაასრულა. საშუალება გვქონდა პირდაპირ ეთერში გვეხილა ესტონეთთან დაპირისპირება, დანარჩენი ორი მატჩისა კი მხოლოდ ქრონოლოგია და ოქმი მოგვეპოვება.

თუმცა ეს საკმარისია ევროპის ჩემპიონატის წინ საქართველოს ნაკრებზე ზოგადი წარმოდგენის შესაქმნელად. პირველ რიგში უნდა აღინიშნოს, რომ მწვრთნელი, **იგორ კოკოშკოვი** იმ შემადგენლობას დაეყრდნობა, რომელიც ნაკრებში შარშან თამაშობდა.

გამთამაშებლის პოზიციაზე სასტარტო ხუთეულში **გიორგი ცინცაძეა**, რომელიც შარშანდელთან შედარებით უკეთეს კონდიციებში ჩანს. მის შემცვლელად წლეულსაც **ლაშა გამყრელიძეა**, რომელსაც ესტონეთთან მატჩში ურიგო შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

მსროლელის ამპლუაში **მარკიზ ჰეინსი** და **მანუჩარ მარკოიშვილი** არიან. ეს პოზიცია ნაკრებში ერთ-ერთი საუკეთესოა. კარგია ისიც, რომ, როგორც ჰეინსს, ასევე მარკოიშვილს შეუძლიათ როგორც გამთამაშებლის ფუნქციის შესრულება, ასევე - მსუბუქი ფორვარდის. ასე რომ, მწვრთნელს ვარირების საშუალება მიეცემა.

**ვიქტორ სანიკიძეს** მძიმე ფორვარდადაც შეუძლია თამაში, მაგრამ ესტონეთში ძირითადად მსუბუქი თავდამსხმელის ამპლუაში ირჯებოდა და, სავარაუდოდ, ევრობასკეტზეც ასე იქნება. ვიქტორს ღირსეული შემცვლელი ჰყავს - **თორნიკე შენგელია**, რომელიც ახალგაზრდული ნაკრებიდან ეროვნულს სათანადო კონდიციებში შეუერთდა და იმ დროში, რასაც მას მწვრთნელი აძლევს, მაქსიმუმს აკეთებს.

მძიმე ფორვარდის ამპლუაში სასტარტო ხუთეულს დაუბრუნდა **ვლადიმერ ბოისა**. ესტონეთში **ნიკა ცქიტიშვილიც** ამ პოზიციაზე ირჯებოდა, თუმცა ისიც უნივერსალია და შეუძლია მესამე ნომრად თამაშიც. სხვათა შორის, ესტონეთთან მატჩის ერთ ეპიზოდში საქართველოს ნაკრებში ერთი ცენტრიც არ თამაშობდა. მწვრთნელს აქცენტი სწრაფ მოქმედებებზე ჰქონდა გადატანილი და ცენტრის ფუნქციებსაც ცქიტო ასრულებდა.

მივადექით მეფარეებს. გასული სეზონის შემდეგ ნაკრებში ბევრი არაფერი შეცვლილა: ძირითადი ცენტრი **ზაზა ფაჩულიაა**, მისი შემცვლელი - **გიორგი შერმადინი**. მათი შიშით მეტოქეები ქართველთა ფარქვეშ შესვლას ერიდებოდნენ. ესტონელებმა ამიტომაც ააწყვეს თამაში პერიმეტრზე და სამქულიანებით გვაჯობეს.

საქართველოს ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა იგორ კოკოშკომა ტალინის ტურნირი ასე შეაფასა:

- ჩემთვის შედეგს ნაკლები მნიშვნელობა ჰქონდა. ერთადერთი, რისთვისაც ამ შეჯიბრებაში ვილვწოდით, გუნდის წევრების შეთამაშება და კომბინაციების სრულყოფა იყო. მიხარია, რომ ამ მხრივ ყველაფერი წინ მიდის. საქართველოს ნაკრები თამაშიდან თამაშამდე უმატებს, რაც ესტონეთის ტურნირმა კარგად გამოაჩინა. ავსტრიაში კმაყოფილი ვბრუნდებით და მოსამზადებელ პროცესს გავაგრძელებთ, რის შემდეგაც უკვე ჰოლანდიის ტურნირი გველის. ვეცდებით, ის მატჩებიც მაქსიმალურად გამოვიყენოთ, რათა გუნდი ოპტიმალურ ფორმაში შევიდეს და ევროპის ჩემპიონატს მაქსიმალურად მომზადებული შეხვდეს.

ესტონეთიდან ქართველები ავსტრიაში გადავიდნენ, ხოლო 10 აგვისტოს ჰოლანდიის საერთაშორისო ტურნირში ჩაებმებიან.

გვერდი მოამზადა
**ვაჟა სიმონიშვილმა**




| 5 აგვისტო | |
|---|---|
| ესტონეთი-საქართველო | 82:75 |
| შვედეთი-ისტ კოასტი (NCAA) | 77:78 |
| **6 აგვისტო** | |
| საქართველო-ისტ კოასტი (NCAA) | 98:81 |
| ესტონეთი-შვედეთი | 65:60 |
| **7 აგვისტო** | |
| საქართველო-შვედეთი | 82:74 |
| ესტონეთი-ისტ კოასტი (NCAA) | 75:64 |

| გუნდი | თ | მ | წ | ქ |
|---|---|---|---|---|
| 1. ესტონეთი | 3 | 3 | 0 | 6 |
| 2. საქართველო | 3 | 2 | 1 | 5 |
| 3. NCAA-ს ნაკრები | 3 | 1 | 2 | 4 |
| 4. შვედეთი | 3 | 0 | 3 | 3 |

| მოთამაშე | თ | წთ | 2ქ-ნ. | 2ქ-ჩ | 3ქ-ნ. | 3ქ-ჩ | 1ქ-ნ | 1ქ-ჩ | მ-საკ. | მ-მეტ. | მ-სულ. | პ | ჩ | დ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ზაზა ფაჩულია | 3 | 77 | 29 | 12 | 0 | 0 | 37 | 26 | 19 | 13 | 32 | 4 | 4 | 3 | 50 |
| საშუალოდ | 3 | 25.65 | 9.67 | 4.00 | 0.00 | 0.00 | 12.33 | 8.67 | 6.33 | 4.33 | 10.67 | 1.33 | 1.33 | 1.00 | 16.67 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | 3 | 67 | 12 | 6 | 18 | 7 | 9 | 9 | 9 | 2 | 11 | 7 | 7 | 1 | 42 |
| საშუალოდ | 3 | 22.33 | 4.00 | 2.00 | 6.00 | 2.33 | 3.00 | 3.00 | 3.00 | 0.67 | 3.67 | 2.33 | 2.33 | 0.33 | 14.00 |
| მარკიზ ჰეინსი | 3 | 69 | 9 | 5 | 11 | 5 | 11 | 7 | 8 | 0 | 8 | 1 | 1 | 0 | 32 |
| საშუალოდ | 3 | 23.14 | 3.00 | 1.67 | 3.67 | 1.67 | 3.67 | 2.33 | 2.67 | 0.00 | 2.67 | 0.33 | 0.33 | 0.00 | 10.67 |
| ვიქტორ სანიკიძე | 3 | 70 | 17 | 11 | 10 | 0 | 4 | 4 | 7 | 5 | 12 | 6 | 10 | 2 | 26 |
| საშუალოდ | 3 | 23.19 | 5.67 | 3.67 | 3.33 | 0.00 | 1.33 | 1.33 | 2.33 | 1.67 | 4.00 | 2.00 | 1.00 | 0.67 | 8.67 |
| თორნიკე შენგელია | 3 | 42 | 9 | 7 | 1 | 0 | 15 | 11 | 15 | 4 | 19 | 5 | 1 | 0 | 25 |
| საშუალოდ | 3 | 14.06 | 3.00 | 2.33 | 0.33 | 0.00 | 5.00 | 3.67 | 5.00 | 1.33 | 6.33 | 1.67 | 0.33 | 0.00 | 8.33 |
| ნიკა ცქიტიშვილი | 3 | 53 | 12 | 7 | 3 | 1 | 9 | 6 | 11 | 4 | 15 | 2 | 0 | 1 | 23 |
| საშუალოდ | 3 | 17.61 | 4.00 | 2.33 | 1.00 | 0.33 | 3.00 | 2.00 | 3.67 | 1.33 | 5.00 | 0.67 | 0.00 | 0.33 | 7.67 |
| გიორგი ცინცაძე | 3 | 77 | 10 | 5 | 4 | 1 | 11 | 9 | 6 | 2 | 8 | 12 | 6 | 0 | 22 |
| საშუალოდ | 3 | 25.82 | 3.33 | 1.67 | 1.33 | 0.33 | 3.67 | 3.00 | 2.00 | 0.67 | 2.67 | 4.00 | 2.00 | 0.00 | 7.33 |
| გიორგი შერმადინი | 3 | 38 | 7 | 5 | 0 | 0 | 7 | 5 | 10 | 0 | 10 | 2 | 1 | 3 | 15 |
| საშუალოდ | 3 | 12.73 | 2.33 | 1.67 | 0.00 | 0.00 | 2.33 | 1.67 | 3.33 | 0.00 | 3.33 | 0.67 | 0.33 | 1.00 | 5.00 |
| ვლადიმერ ბოისა | 3 | 52 | 11 | 5 | 0 | 0 | 8 | 2 | 4 | 3 | 7 | 0 | 2 | 0 | 12 |
| საშუალოდ | 3 | 17.32 | 3.67 | 1.67 | 0.00 | 0.00 | 2.67 | 0.67 | 1.33 | 1.00 | 2.33 | 0.00 | 0.67 | 0.00 | 4.00 |
| ლაშა გამყრელიძე | 3 | 37 | 2 | 0 | 4 | 2 | 0 | 0 | 3 | 0 | 3 | 5 | 1 | 0 | 6 |
| საშუალოდ | 3 | 12.17 | 0.67 | 0.00 | 1.33 | 0.67 | 0.00 | 0.00 | 1.00 | 0.00 | 1.00 | 1.67 | 0.33 | 0.00 | 2.00 |
| ანატოლი ბოისა | 2 | 8 | 1 | 1 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 1 | 0 | 1 | 0 | 2 |
| საშუალოდ | 2 | 3.95 | 0.50 | 0.50 | 0.00 | 0.00 | 0.50 | 0.00 | 0.00 | 0.50 | 0.50 | 0.00 | 0.50 | 0.00 | 1.00 |
| ლევან ფაცაცია | 1 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საშუალოდ | 1 | 5 | 0 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| ლაშა ფარლალავა | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |
| საშუალოდ | 1 | 5 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 0 | 0 |



ეროვნული ბიბლიოთეკა

● მსოფლიოს თასი



# გორგოძე კოლოსი

ფრანგულმა ყოველდღიურმა სპორტულმა გაზეთმა „ეკიპმა“ მსოფლიოს თასის მონაწილე გუნდების წამყვანი მოთამაშეების პრეზენტაცია დაიწყო. გუშინდელი ნომრის მთავარი თემა „ბორჯღალოსნების“ ლიდერი, შერკინების მესამეხაზელი მამუკა გორგოძე იყო. გთავაზობთ ამონარიდს ამ წერილიდან.

განვლილ სეზონი „მონპელიეს“ მესამეხაზელისთვის წარმატებული იყო. მამუკა გორგოძეს საშუალება აქვს არანაკლები წარმატებით დაიცვას საქართველოს ღირსება მომავალ მსოფლიოს თასზე.

„ის ძლიერი, ძალიან ღონიერი მოთამაშეა. ეს დიდი ოსტატის დამახასიათებელი თვისებებია და არ შეიძლება, ამას ანგარიში არ გაუწიო“, - თქვა ერთხელ მამუკა გორგოძეზე საფრანგეთის ნაკრების რვა ნომერმა იმანოლ არინორდკმა.

არაჩვეულებრივი ეპითეტები მიუძღვნა მას პარიზული „მეტრო რასინგის“ მესამეხაზელმა ჟულიენ ბონერმა.

„მისი ფიზიკური მონაცემები შთამბეჭდავია. ის სულ უფრო სახიფათო ხდება. საინტერესოო სანახავია, როცა გუნდს უჭირს, ბურთს მას აძლევენ და უკან მიჰყვებიან. მის შესაჩერებლად უდიდესი ძალისხმევაა საჭირო. ოდნავი უყურადღებობა და თქვენთვის კარგი არაფერი მოხდება“, - თქვა მან.

მამუკას ყველაზე დიდ ნაკლად, მისი ქრონიკული უდისციპლინობა, ჩხუბისთავობა მიიჩნეოდა. თუმცა ბოლო ხანს შეძლო ემოციების კონტროლი, რამაც ის თავისი გუნდისთვის კიდევ უფრო სასარგებლო, ხოლო მეტოქსითვის მეტად სახიფათო გახადა.

მისი ჭკუა და ბრძოლისუნარიანობა დიდად წაადგება საქართველოს ნაკრებს მსოფლიოს თასზე ასპარეზობისას. მამუკას შეუძლია, ამ ტურნირის ერთ-ერთი საუკეთესო მორაგბე გახდეს. საქართველოს ნაკრებს კი შანსი აქვს ახალი ზელანდიიდან შინ დიდი გუნდის სახლით დაბრუნდეს.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ლეგიონერები

# ლეგიონი ტესტებში ჩაება

საფრანგეთში სარაგბო კლუბები სქიანაო ჩემპიონატისთვის მზადების ბოლო ეტაპზე გადავიდნენ. ქართველ მორაგბეთა რამდენიმე გუნდმა საწვრთნელი შეხვედრები გამართა.

**ირაკლი ნატრაიაშვილის, დავით ხინჩაგიშვილისა** და **ვასილ კაკოვინის** „ბრივი“ ელიტურ, პირველ დივიზიონში ახლახან დაბრუნებულ „ბორდოს“ დაუპირისპირდა და მინიმალური სხვაობით დამარცხდა - 25:26. ნატრიაშვილმა ერთი ტაიმი ითამაშა. კაკოვინი და ხინჩაგიშვილი კი, ეროვნულ ნაკრებთან ერთად მსოფლიოს თასისთვის ემზადებიან.

„ბრივი“ საფრანგეთის ჩემპიონატის პირველ შეხვედრას 26 აგვისტოს შინ გამართავს **ბექა შეყლაშვილის** „აჟენთან“, რომელმაც საწვრთნელი შეხვედრა სტუმრად გამართა ბასკურ „ბიარიცთან“ და 36:19 მოიგო. აღსანიშნავია, რომ 28-ე წუთისთვის ბიარიცელები 19:0-ს იგებდნენ, თუმცა შეყლაშვილმა და კომპანიამ მატჩში გარდატეხის შეტანა მაინც მოახერხეს და მეტოქეს დამაჯერებლად სძლიეს.

პირველდივიზიონელთა კიდევ ერთ შეხვედრაში, **დავით ქუბრიაშვილის** „ტულონმა“ იოლად სძლია ახალბედას, **გურამ კავთიძის** „ლიონს“ - 34:3. ქართველ მორაგბეებს არ უთამაშიათ. ქუბრიაშვილი საქართველოს ნაკრებშია, კავთიძე კი ტრავმას იშუშებს.

მეორე დივიზიონში მოასპარეზე **დავით ლოსაბერიძისა** და **ზერო პეტრიაშვილის** „პო“ სტუმრად დაუპირისპირდა პირველდივიზიონელ ბასკურ „ბაიონს“ და 7:17 წააგო. ჩვენებურთა გუნდი, რომელიც წლეულს საგრძნობლად მოღონიერდა, სავარაუდოდ პირველ დივიზიონში აღზევებისთვის იბრძოლებს. ჩემპიონატის პირველ შეხვედრას „პო“ 3 სექტემბერს სტუმრად გამართავს „ექსთან“.

კიდევ ერთმა მეორედივიზიონელი **მაუკა მაგრაქველიძისა** და **ირაკლი მირცხულავას** „ტარბი“ საკონტროლო მატჩში „ალბის“ დაუპირისპირდა და 10:17 დამარცხდა. საინტერესოა, რომ ალბელების რიგებში გამოჩნდა ვინმე **ნიკოლას კვარაცხელია**, რომელიც 1983 წელსაა დაბადებული და შერკინების პირველ ხაზში თამაშობს.

**საკონტროლო მატჩები**

ტარბი-ალბი 10:17, ბაიონი-პო 17:7, ტულონი-ლიონი 34:3, ბორდო-ბრივი 26:25, ბიარიცი-აჟენი 19:36.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● ინტერვიუ

# საფრანგეთიდან სამშობლოში

**ახლახანს ქუთაისის „აიამ“ ფრანგული „ვილარს ლე დომბესის ყოფილი წევრი - 29 წლის ზურაბ ზვიადაძე დაიმატა. ქუთაისური გუნდი წლეულს ჩემპიონობისა და თასის მოპოვების ერთ-ერთი უპირველესი კანდიდატია. გამოცდილი მოთამაშის დამატებით კი „აიაში კონკურენცია კიდევ უფრო გაიზრდება და ეს გუნდსაც გააძლიერებს... ზვიადაძემ კარიერა „აიაში“ დაიწყო, სადაც საქართველოდან წასვლამდე გუნდის მთავარი „მეჯარიმეც“ იყო. ქუთაისელთა ახალწვეულს „აიას“ ვარჯიშის დასრულების შემდეგ შევხვდით და ვესაუბრეთ.**

**- ზურაბ, ქართულ კლუბებში მოასპარეზე მორაგბეები ფრანგულ კლუბებში გადასვლაზე ოცნებობდნენ, შენ კი იქიდან საქართველოს ჩემპიონატში დაბრუნდი. რა იყო ამის მიზეზი?**

- საქართველოში ოჯახური პირობების გამო დავბრუნდი. მამა გარდამეცვალა და ოჯახს მარტო ვერ დავტოვებდი. უმთავრესი მიზეზი ეს იყო; თუმცა მეორე მხრივ ისიც ფაქტია, რომ საქართველოში რაგბის მიმართ დამოკიდებულება რადიკალურად შეცვლილია და აქ თამაში ახლა გაცილებით საინტერესო და პერსპექტიულია. ქუთაისში ძლიერი გუნდი გაკეთდა, ბიჭებს წლეულს ყველა თამაში აქვთ მოგებული, ჩემპიონობისთვის იბრძვიან და მოხარული ვარ, რომ ასეთ შეკრულ გუნდში მოვხვდი.

**- დიდი ხანია უცხოეთში იმყოფებოდი, რომელ გუნდებში თამაშობდი?**

- საფრანგეთამდე ორი წელი პოლონეთში, გდანსკის „ლეხიაში“ გავატარე. შემდეგ საფრანგეთის ფედერალ2-ს „მონტერეჟოში“ ვთამაშობდი, ბოლო ერთი წელი კი „ვილარს ლე დომბესში“ ვიყავი. გუნდის ძირითადის წევრად ვითვლებოდი და სათამაშო პრაქტიკის არქონას ნამდვილად არ ვუჩივი.

**- „დომბესში“ კიდევ თუ იყო ქართველი მორაგბე?**

- დიახ, ნიკა იურინი და ის ახლაც გუნდშია.

**-თუ გაიხსენებ „აიაში“ ბოლოს როდის ითამაშე?**

- სამწუხაროდ ეს არ მახსენდება. აქედან ოთხი წლის წინ წავედი და მაშინ გუნდი სულ სხვა მდგომარეობაში იყო. პირველ ლიგაში ვთამაშობდით, ენთუზიაზმზე ვიყავით, ანაზღაურებაზე საუბარიც არ იყო, ელემენტარული პირობები გვენატრებოდა. ახლა კი სულ სხვა მდგომარეობაა. გუნდს პირობებიც აქვს, მიზანიც, დისციპლინაც და კარგი პერსპექტივაც. ერთადერთი, მოედანია პრობლემა და სარაგბო კომპლექსის აშენებით, ესეც მალე მოგვარდება.

**- თავადაც ახსენე, რომ „აია“ უკვე შეთამაშებული და შეკრული გუნდია, როგორ ფიქრობ, შეძლებ ასეთ გუნდის ძირითადში ადგილის დამკვიდრებას?**

- ეს უმთავრესად, ჩემზეა დამოკიდებული, ყველაფერს გავაკეთებ, ვეცდები, რომ კარგად ვითამაშო და გუნდში საფუძვლიანად დავიმკვიდრო ადგილი. დანარჩენს კი დრო და მოედანი გამოაჩენს...

**დავით კოხრეიძე**
ქუთაისიდან

● სამი ერი

# ბოკე ნელ-ნელა ძალას იკრებს

სამხრეთ აფრიკის ნაკრები შაბათს სამი ერის გათამაშებაში, შინ, დურბანში ავსტრალიის ეროვნულ გუნდს დაუპირისპირდება. „ბოკეს“ მთავარმა მწვრთნელმა **პიტერ დე ფილიერსმა** „ვოლაბების“ დასახვედრად გუნდში რამდენიმე წამყვანი მოთამაშე დააბრუნა.

ტრავმები მოიშუშეს და წლევანდელ შეჯიბრებაში პირველი გამარჯვების მოპოვებისთვის იბრძოლებენ მეორეხაზელები **ვიქტორ მეტფილდი** და **ბაკის ბოთა**, ასევე მესამეხაზელი, მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო რვა ნომერი **პიერ სპისი**.

მათ გარდა დაშავებულთაგან ნაკრებს დაუბრუნდნენ **ჰაინრიხ ბროსუ, რაიან კანკოვსკი** და **ეშლი ჯონსონი**. აღსანიშნავია ასევე, საფრანგეთში მოთამაშე უკანახაზელის **ფრანსუა სტეინის** გამოძახება. მწყობრს უბრუნდება ძირთადი ცხრა ნომერიც **ფური დუ პრიც**.

მიუხედავად ამისა, სამხრეთაფრიკელთა ლაზარეთში მაინც ხალხმრავლობაა. მორკინალები **სხლაკ ბურხერი, ჟუან სმითი** და **ვილემ ალბერტსი** რეაბილიტაციის კურსს გადიან. ამ უკანასკნელმა შესაძლოა, 20 აგვისტოს ახალი ზელანდიის ნაკრებთან მატჩში ითამაშოს კიდეც.

ჯერჯერობით ისევ რთულად აქვთ ჯანმრთელობის მდგომარეობა **ანდრიას ბეკერს, იონან მულერს** და **დუეინ ვერმულენს**. დე ფილიერსის რჩეულთა შორის ვერ მოხვდა შუამარბი **ვინანდ ულიფიე**.

*„დაშავებულები ჯერ ისევ მრავლად გვყავს, თუმცა მდგომარეობა ისეთი საგანგაშო არ არის, თუნდაც ორიოდ კვირის წინათ რომ იყო. გუნდის ძირითად მოთამაშეთა დიდი ნაწილი უკვე მწყობრშია და მსოფლიოს თასისთვის ემზადება. თუმცა ეს შორეული პერსპექტივაა, მანამდე უახლოესი გეგმები გვაქვს განსახორციელებელი“*,- თქვა პიტერ დე ფილიერსმა.

**სამხრეთ აფრიკა**

შერკინება: პიერ სპისი, იან დეისელი, დენი როსუ, ბაკის ბოთა, ვიქტორ მეტფილდი, გერჰარდ მოსტერტი, ჯონ სმითი, ბისმარკ დუ პლესი, თენდაი მთავარირა, იან დი პლესი, ხუთრო სტენკამპი, სი ჯეი ფან დერ ლინდე.

უკანა ხაზი: ხიო ეპლონი, ფრასუა სტეინი, ჯეი პი პიტერსენი, ბრაიან ჰაბანა, ჟაკ ფური, იან დე იონგი, იან დე ფილიერსი, მორნი სტეინი, ბუჩ ჯეიმზი, რუან პინარი, ფური დუ პრი, ფრანსუა ჰუგარი.

დაშავებულები: სხალკ ბურხერი, ჟუან სმითი, ანდრის ბეკერი, ვილემ ალბერტსი, იონან მულერი, დუეინ ვერმულენი.

**ბესიკ ჯანგავაძე**

● მეტოქეები

# ანსბრო: ნაკრებში ადგილი დაზღვევებული არავის აქვს

ახალ ზელანდიაში გასამართავ მსოფლიოს თასის გათამაშებაში საქართველოს ნაკრების მეტოქემ შოტლანდიის ეროვნულმა გუნდმა გასულ უქმეებზე შინ ირლანდიის ნაკრები დაამარცხა 10:6. „ნარშავებმა“ „სამყურების“ დამარცხება მატჩის მიწურულს **ჯო ანსბროს** ლელოს წყალობით შეძლეს.

*„ჩვენ ყოველდღე ძალიან ბევრს ვშრომობთ. მწვრთნელი ყოველდღე ხედავს, ვინ რისი მაქნისია. დარწმუნებული ვარ, ის მუდამ ფიქრობს, ახალი ზელანდიისთვის ვინ შეარჩიოს. ირლანდიასთან ლელოს გატანა ნაკრებში ადგილის დაზღვევას არ ნიშნავს. ცხადია, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული 20 აგვისტოს იტალიასთან გასამართავ შეხვედრაზე. გუნდში დიდი კონკურენციაა. ჩემს პოზიციაზე რამდენიმე ძლიერი მოთამაშე აცხადებს პრეტენზიას. ნახეთ, როგორ ბრწყინვალედ ჩაერთო თამაშში სათადარიგოთა სკამიდან ნიკ დე ლუკა. მე რომ ლელო გავიტანე, ის შეტევა მისი წამოწყებული იყო. ასე რომ, ჯერ კიდევ ბევრი გარჯა და ოფლის ღვრა გველის.*

*„სამყურებთან“ თამაში წლეულს პირველი ტესტი იყო, ამიტომ ყველაფერი ისე არ გამოგვდიოდა, როგორც გვინდოდა. ამჯერად მთავარ მიზნად საკუთარ კედლებში გამარჯვების მიღწევა გვქონდა დასახული, რაც შევძელით კიდეც. ამან კი, მეტი თავდაჯერება შეგვმატა“* -თქვა ჯო ანსბრომ.

**ბესიკ ჯანგავაძე**



msy.gov.ge

ეროვნული ბიბლიოთეკა

უცხოური სპორტი

ჩოგბურთი

# ყველაზე ასაკოვანი ჩემპიონი

ამერიკული ტურნირების სერია თანდათან ძალას იკრებს. დღეს მონრეალში დაიწყო სეზონში რიგით მეექვსე მასტერსი, მანამდე კი მამაკაც ჩოგბურთელებს ამერიკის დედაქალაქი ვაშინგტონი მასპინძლობდა, სადაც კარიერაში მე-11 ფინალი წააგო ფრანგმა **გაელ მონფილსმა**. მას 32 წლის ჩეხმა **რადეკ შტეპანეკმა** მოუგო.

ბოლო სამი წლის განმავლობაში ვაშინგტონში არგენტინელები იმარჯვებდნენ - 2008 და 2009 წლებში ეს გააკეთა **ხუან მარტინ დელ პოტრომ**, შარშან - **დავიდ ნალბანდიანმა**. ეს უკანასკნელი წელს ტიტულის დასაცავად ჩავიდა, მაგრამ პირველივე წრეში წააგო **ჯეიმს ბლეიკთან**.

ვერ ვიტყვით, რომ მთელი კვირის განმავლობაში აქ ბევრი სიურპრიზი დაფიქსირდა. მეოთხედფინალამდე მხოლოდ ორმა განუთესავმა გააღწია - **რადეკ შტეპანეკმა** და **დონალდ იანგმა**. ეს უკანასკნელი ერთ დროს ამერიკული ჩოგბურთის ერთ-ერთ მთავარ იმედად მიიჩნეოდა, მაგრამ იუნიორებიდან „უფროსების" კატეგორიაში გადასვლა გაუჭირდა. მან ვაშინგტონში ATP-ის დონეზე კარიერაში პირველად გააღწია ნახევარფინალურ ეტაპზე: მეორე წრეში იანგმა მეოთხე ნომრად განთესილი **იურგენ მელცერი** დაამარცხა, მეოთხედფინალში კი შარშანდელი ფინალისტი **მარკოს ბაღდატისი** გამოთიშა ბრძოლას. ნახევარფინალში დონალდი შტეპანეკს შეხვდა და ვერანაირი წინააღმდეგობა ვერ გაუწია მას.



რადეკ შტეპანეკი

ბადის ზედა ნაწილში მთავარი ფავორიტი გაელ მონფილსი იყო და ფრანგი, როგორც ტურნირის პირველ ნომერს შეეფერება, დამაჯერებლად მიიწევდა წინ. პირველი რთული მატჩი მას ნახევარფინალში **ჯონ ისნერთან** ელოდა. ამერიკელი გიგანტისთვის ეს ტურნირი განსაკუთრებულია. 2007 წელს სწორედ აქ გაიცნო ისნერი ფართო საზოგადოებამ, როცა მასპინძელმა ზედიზედ ხუთი მატჩი მოიგო, მათ შორის ნახევარფინალი მონფილსის წინააღმდეგ. ოთხი წლის შემდეგ გაელმა რევანში აიღო - მან გადამწყვეტი სეტი ტაი-ბრეიკზე მოიგო, თანაც ერთი მატჩბოლის მოგერიებამ მოუწია.

შტეპანეკისთვისაც და მონფილსისთვისაც ეს პირველი ფინალი იყო ამ სეზონში. მათი ბოლო მატჩი ორი კვირის წინ ჰამბურგის გრუნტზე გაიმართა და მაშინ ფრანგმა ორ სეტში მოიგო - 6:4, 6:4.

ვაშინგტონში ყველაფერი პირიქით მოხდა. რადეკი შესანიშნავად მოქმედებდა და ორივე პარტიაში ნაადრევი ბრეიკის წყალობით ეუფლებოდა ინიციატივას. ჩეხი კარგად ინარჩუნებდა საკუთარ მოწოდებას და მონფილსმა ისე დაასრულა მატჩი, რომ ერთი ბრეიკ-პოინტიც არ მიუღია - 6:4, 6:4. გაელმა კარიერაში მე-11 ფინალი წააგო, სულ კი 14 ფინალში უთამაშია.

ამ გამარჯვების წყალობით რადეკი რეიტინგის საუკეთესო ოცდაათეულში დაბრუნდა, რაც მნიშვნელოვანია ამერიკის ღია პირველობის წინ განთესვის ნომრის მიღების მხრივ. სხვათა შორის 32 წლის შტეპანეკი წელს ATP-ის ტურნირის ყველაზე ასაკოვანი გამარჯვებულია.

**Legg Mason Tennis Classic**

ვაშინგტონი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 1 165 500 დოლარი

**ფინალი**

**რადეკ შტეპანეკი (ჩეხ)**-გაელ მონფილსი (საფ) 6:4, 6:4.




ფედერერი გარეკანზე

# საჩუქარი ფედერერს

გუშინ, მსოფლიოს მესამე ჩოგანს, „დიდი სლემის" ტურნირების 16-გზის ჩემპიონს, ლეგენდარულ შვეიცარიელ **როჯერ ფედერერს** 30 წელი შეუსრულდა. სწორედ ის გახდა ყოველკვირეული შვეიცარიული ჟურნალის - Schweizer Illustrierte Magazine-ის ბოლო ნომრის გმირი. გამოცემამ ფედერერს ორიგინალური საჩუქარი მოუმზადა - თავის ფურცლებზე გამოაქვეყნა ATP-ის რეიტინგის პირველი ოთხეულის წევრთა მილოცვები.

*„როჯერ, გისურვებ შენს დაბადების დღეზე ყოველივე საუკეთესოს. იმედი მაქვს, რომ პროფესიულ ტურში ჩვენ ერთად კიდევ არაერთ ზეიმს აღვნიშნავთ"*, - მიულოცა როჯერს მსოფლიოს მეორე ჩოგანმა, ესპანელმა **რაფაელ ნადალმა**.

*„დაბადების დღეს გილოცავ, როჯერ! ასე გააგრძელე მთელი სპორტული სამყაროს გამოცოცხლება. საუკეთესო სურვილებით, ნოვაკი"*, - დაწერა კლასიფიკაციის ლიდერმა, სერბმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა**.

*„ჩემთვის ყოველთვის სასიამოვნო იყო შენთან ერთად თამაში და შენთან კონკურენცია. გილოცავ 30 წლისთავს და იმედი მაქვს, რომ ამ თარიღს სათანადოდ აღნიშნავ! ბოდიშს გიხდი ცუდი კალიგრაფიისთვის"*, - ეს მსოფლიოს მეოთხე ჩოგანის ენდი მიურეის შეტყობინებაა.

# რუსების სერია შეწყდა

ქალებმა ტორონტოს უმაღლესი კატეგორიის ტურნირისთვის მზადება კარლსბადში დაასრულეს. ამ ქალაქში ხშირად უმართლებთ რუს ჩოგბურთელებს. მაგალითად, შარშან პირველობა **სვეტლანა კუზნეცოვამ** მოიპოვა, რომელმაც ფინალში **აგნიეშკა რადვანსკა** დაამარცხა.

პოლონელმა წელსაც გააღწია გადამწყვეტ მატჩში, სადაც მისი მეტოქე კიდევ ერთი რუსი - **ვერა ზვონარევა** აღმოჩნდა. თავის ნახევარფინალში რადვანსკამ **ანდრეა პეტკოვიჩი** დაამარცხა, თუმცა გერმანელი მატჩის წინ მოიწამლა და ამის შედეგი იყო, რომ მეორე სეტი „მშრალი" ანგარიშით დათმო. თუმცა პეტკოვიჩმა მაინც შეიძლება ეს ტურნირი თავის აქტივში შეიტანოს, რადგან დღეიდან ის პირველად მოხვდა WTA-ის რეიტინგის პირველ ათეულში.

თავის მხრივ, ზვონარევას დიდი წინააღმდეგობა შეხვდა ნახევარფინალში **ანა ივანოვიჩისგან**. სამივე სეტში თავდაპირველად რუსს ჰქონდა უპირატესობა, მაგრამ პირველში სერბმა არა მარტო გაათანაბრა თამაში, არამედ პარტიაც მოიგო, შემდეგ მეორეში რამდენიმე ბრეიკ-პოინტი მიიღო, მაგრამ ვერ გამოიყენა და ამის ხარჯზე დამარცხდა.

გადამწყვეტ სეტში ივანოვიჩს ერთი სერიოზული ჩავარდნა ჰქონდა, როცა ზედიზედ ოთხი გეიმი წააგო, მათ შორის სამი ისე, რომ ქულა არ აუღია. შემდეგ სცადა მეტოქის დაწევა, მაგრამ ველარ მოასწრო - 4:6.

პირად შეხვედრებში ზვონარევას უპირატესობა ჰქონდა რადვანსკასთან, მაგრამ ფინალში რუსს თამაში არ გამოუვიდა. პოლონელს პირველი მოწოდების მაღალი პროცენტი ჰქონდა, ზვონარევას კი მიღებაზე კარგი მოქმედება არ გამოსდიოდა. მთელი მატჩის განმავლობაში მან მხოლოდ ორი ბრეიკპოინტი მიიღო, მაგრამ ვერც ერთი ვერ გამოიყენა. გარდა ამისა, რუსი ძალიან ბევრ უნებლიე შეცდომას უშვებდა - ასეთი 28 უზუსტობა დაუგროვდა, რადვანსკას კი აქტიურ მოქმედებით ორჯერ მეტი ქულა ჰქონდა აღებული, ვიდრე უნებლიე შეცდომა. ამ ყველაფრის წყალობით პოლონელმა თითო სეტში თითო ბრეიკი მიითვალა და ორ სეტში გაიმარჯვა. ამით შეწყდა ზვონარევას ცხრამატჩიანი მოგებათა სერია, რომელიც ბაქოს ტურნირიდან მოყოლებული გრძელდებოდა.

რადვანსკასთვის ეს იყო მეხუთე ტიტული კარიერაში და პირველი - 2008 წლიდან. როგორც უკვე ვწერდით, მან ორი კვირის წინ გამოაცხადა, რომ შეწყვიტა მამასთან - **რობერტ რადვანსკასთან** ვარჯიშები და მისი ახალი მწვრთნელი გახდა ფედერაციის თასზე პოლონეთის ნაკრების დამრიგებელი **ტომაშ ვიქტოროვსკი**. როგორც ჩანს, აგნიეშკამ მასთან სწრაფად გამონახა საერთო ენა.

**WTA**

**Mercury Insurance Open**

კარლსბადი (აშშ). ჰარდი

**საპრიზო ფონდი:** 721 000 დოლარი

**1/2 ფინალი**

**აგნიეშკა რადვანსკა (პოლ)**-ვერა ზვონარევა (რუს) 6:3, 6:4.



ჭადრაკი

# ფიდემ მოსკოვი აირჩია

ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ ოფიციალურად გამოაცხადა, რომ მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულისთვის მატჩი 2012 წლის მაისში მოსკოვში გაიმართება. ტიტულის მფლობელი, ინდოელი **ვიშვანათან ანანდი** პრეტენდენტთა ტურნირის გამარჯვებულს, ისრაელის წარმომადგენელ **ბორის გელფანდს** შეხვდება.

საჩემპიონო მატჩის საპრიზო ფონდია 2.55 მილიონი დოლარი. ჯერჯერობით არაფერია ცნობილი შეხვედრის ფორმატის შესახებ, თუმცა საუკეთესო მოჭადრაკის გამოსავლენი ბოლო ორი მატჩი იქამდე გრძელდებოდა, სანამ ერთი დიდოსტატი 6.5 ქულას არ მოაგროვებდა (არა უმეტეს 12 პარტიისა დროის კონტროლით და თანაბარი ქულების შემთხვევაში ტაი-ბრეიკი - დამატებითი ოთხი პარტია ბლიცში).

ვიშვანათან ანანდი ტიტულს 2007 წლიდან ინარჩუნებს. მან ორჯერ დაიცვა ჩემპიონობა: 2008 წელს რუსი **ვლადიმერ კრამნიკის** წინააღმდეგ (6.5:4.5) და 2010 წელს ბულგარელი **ვესელინ ტოპალოვის** წინააღმდეგ (6.5:5.5). ბორის გელფანდმა ინდოელთან შეხვედრის უფლება 2011 წლის მაისში მოიპოვა, როცა პრეტენდენტთა ტურნირის გამარჯვებული გახდა. ფინალში მან რუსი დიდოსტატი **ალექსანდრ გრიშჩუკი** დაამარცხა - 3.5:2.5.

2011 წლის ივლისში გამოქვეყნებული კლასიფიკაციის მიხედვით, ვიშვანათან ანანდს 2814 ქულა აქვს და მეორე ადგილზე იმყოფება. მასზე წინ მხოლოდ ნორვეგიელი ვუნდერკინდი **მაგნუს კარლსენია**. ბორის გელფანდი რეიტინგში მეთორმეტეა 2746 ქულით.

ბოლოს ჭადრაკში საჩემპიონო მატჩს მოსკოვმა 1985 წელს უმასპინძლა. მაშინ **გარი კასპაროვმა ანატოლი კარპოვი** დაამარცხა და 22 წლის ასაკში ჭადრაკის ისტორიაში ყველაზე ახალგაზრდა ჩემპიონი გახდა.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



ვიში ანანდი

# ტორონტომ ვენუსი დაკარგა

დღეს ტორონტოში დაიწყო ქალთა შორის უმაღლესი კატეგორიის ტურნირი, რომელშიც პრაქტიკულად ყველა უძლიერესი ჩოგბურთელი მიიღებს მონაწილეობას. გამონაკლისია მხოლოდ მსოფლიოს ყოფილი პირველი ჩოგანი **ვენუს უილიამსი**, რომელმაც გუშინ გამოიტანა განაცხადი კანადური ტურნირიდან. „დიდი სლემის" შვიდგზის ჩემპიონს ვირუსი შეეყარა.

*„ძალიან მინდოდა ტორონტოში თამაში, - ამბობს ჩოგბურთელი ტურნირის ოფიციალურ ვებგვერდზე. - აქ სრულ მზადყოფნაში ჩამოვედი და ინტენსიურად ვვარჯიშობდი, მაგრამ მოულოდნელად თავი ცუდად ვიგრძენი და ექიმს ვეჩვენე. მან ვირუსული ავადმყოფობის დიაგნოზი დამისვა და თამაში ამიკრძალა. ძალიან იმედგაცრუებული ვარ".*

31 წლის ამერიკელს ძირითად ბადეში ჩინელი **შუაი ჟენგი** შეცვლის, რომელიც პირველ წრეში **ანა ივანოვიჩს** შეხვდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

● კალათბურთი

# ისინი ევრობასკეტს ტოვებენ



ბრიტანეთმა გორდონზე უარი თქვა

ერთი შეხედვით, ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში მოქმედი ლოკაუტი ვარსკვლავური ევრობასკეტის გარანტია უნდა ყოფილიყო, მაგრამ სინამდვილეში, კონტინენტის პირველობამ უკვე ბევრი კარგი კალათბურთელი დაკარგა. პირველ რიგში, ეს ევროპულ კლუბებში მოთამაშე სპორტსმენებზე ითქმის. გარდა ამისა, ჩემპიონატი შეიძლება გაელარიბებინა ვარსკვლავთა საკლუბო კონტრაქტების დაზღვევას. სხვათა შორის, ლოკაუტმა ეს პრობლემა კიდევ უფრო გააღრმავა.

არავისთვის საიდუმლო არ არის, რომ ბოლო დროს კალათბურთელთა ხელფასები მკვეთრად გაიზარდა, თანაც არა მარტო NBA-ში. დღეს ევროპაში არავის უკვირს ორი-სამი მილიონი ევროს ოდენობის ხელფასი. მაგრამ ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის კლუბებისგან განსხვავებით, ევროპულ გრანდებში მილიონიან ჰონორარებს საკუთარი რისკისა და შიშის ფასად იხდიან, რადგან კლუბები არაფრით არიან დაცულნი მილიონერი მოთამაშეების ტრავმებისგან.

NBA-ში საქმე სულ სხვანაირად არის დაყენებული. იქ ყოველი მოთამაშე ლიგის მიერ არის დაზღვეული. ტრავმის შემთხვევაში „უსაქმურობის" პერიოდში ხელფასს არა კლუბი, არამედ NBA-ზე მომუშავე სადაზღვევო კომპანია იხდის. რთული სათქმელია, რამდენი ასეული მილიონი დოლარი უჯდება ლიგას კონტრაქტების ასეთი დაცვა - მისი მოთამაშეების საერთო ხელფასი ორ მილიარდ დოლარს აღწევს - მაგრამ ისეთ აწყობილ ბიზნეს-მანქანაში, როგორიც ეროვნული საკალათბურთო ასოციაციაა, ალტრუიზმს ადგილი არ ექნება. რადგან იხდიან, ე. ი. სისტემა მუშაობს.

ევროპაში კი ასეთი სისტემა არ არსებობს. თუნდაც იმიტომ, რომ ფინანსურად ერთ-ერთი ყველაზე მძლავრი ლიგა - ესპანეთის ACB - ბიუჯეტის მხრივ ათჯერ ჩამორჩება მისი კლუბების საერთო ბიუჯეტს. ამ დროს კი NBA არა მხოლოდ ხარჯავს, არამედ თავისი მუშაობით ასობით მილიონ დოლარს შოულობს.

მცდარია მოსაზრება იმის შესახებ, რომ ლოკაუტამდე NBA-ის კლუბები დიდი ენთუზიაზმით არ უშვებდნენ მოთამაშეებს ნაკრებში. ამის წინააღმდეგი, პირველ რიგში, თავად NBA იყო, რომელსაც თავისი ვარსკვლავების დაზღვევა უწევდა FIBA-ის ტურნირებისთვის მზადებისა და მონაწილეობის პერიოდში.

ახლა კიდევ უფრო რთული გახდა NBA-ის მოთამაშეების ევროპის ჩემპიონატზე მიწვევა, რადგან ლოკაუტის გამო FIBA-სა და ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციას შორის მოქმედი ხელშეკრულება შეჩერებულია. ამის გამო ეროვნულ ფედერაციებს უწევთ ოკეანის გაღმა მოთამაშე კალათბურთელების დაზღვევა - არა ნაწილობრივ, როგორც ეს ადრე იყო, არამედ მთლიანად.

აი, თვალნათელი მაგალითი: არც ისე მდიდარმა ბრიტანეთის კალათბურთის ფედერაციამ 500 ათასი ევრო გადაურიცხა სადაზღვევო კომპანია „ჩიკაგოს" ფორვარდ **ლუოლ დენგის** მიწვევისთვის, რომელიც წელიწადში 12.5 მილიონ დოლარს იღებს (ორჯერ ნაკლებს, ვიდრე **დირკ ნოვიცკი**). ამიტომაც გასაკვირი არ არის, რომ ბრიტანელები, რომლებსაც გარანტირებული აქვთ საგზური ლონდონის ოლიმპიადაზე, დღემდე ფიქრობენ - ღირს თუ არა დაზღვევის გადახდა დეტროიტელ **ბენ გორდონისთვის**. ბოლო ინფორმაციით, „პისტონზის" მცველი, სავარაუდოდ, არ ითამაშებს ლიტვაში გასამართ ევრობასკეტზე. *„გორდონი, ალბათ, არ იქნება გუნდში. საქმე მხოლოდ დაზღვევის თანხაში არ არის - პირობებიც მიუღებელია. ექჭვარეშეა, გორდონი ითამაშებდა ევროპის ჩემპიონატზე, რომ არა NBA-ში მოქმედი ლოკაუტი"*, - ამბობს ბრიტანეთის ნაკრების დირექტორი **კრის სპაისი**.

ამასობაში, ესპანეთის კალათბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა **ხოსე ლუის საესმა** გამოაცხადა, რომ ძმები **გასოლებისთვის**, **ფერნანდესისთვის**, **კალდერონისთვის**, **რუბიოსთვისა** და ნაკრების სხვა ვარსკვლავებისთვის მის ორგანიზაციას 5 670 000 დოლარის გადახდამ მოუწია! ფრანგებს **პარკერის**, **ნოას**, **ტურიაფის**, **დიაოსა** და **ბატუმის** დაზღვევა 2.9 მილიონი დოლარი დაუჯდათ. არაფერია ცნობილი გერმანიის ნაკრების ორი ლიდერის - დირკ ნოვიცკისა და **კრის კამანის** დაზღვევის თანხაზე, თუმცა აქ ლაპარაკი იქნება ექვსნიშნა რიცხვზე.

■ ■ ■

აქვე გთავაზობთ იმ ცნობილი კალათბურთელების სიას, რომლებიც სხვადასხვა მიზეზის გამო ვერ ითამაშებენ ევროპის ჩემპიონატზე:

**ესპანეთი:** გარბახოსა (ფ. „უნიკახა", დაასრულა სანაკრებო კარიერა);

**ლიტვა:** შიშკაუსკასი (ფ. „ცსკა", დაასრულა სანაკრებო კარიერა), მაჩიულისი (ფ. „მილანი", ტრავმა), კლეიზა (ფ. „ტორონტო", ტრავმა);

**თურქეთი:** ოქური (ც. „იუტა", ტრავმა), გიონლუმი (ფ. „ეფეს პილსენი", ტრავმა);

**ბრიტანეთი:** გორდონი (მც. „დეტროიტი", დაზღვევა);

**პოლონეთი:** ლიამპე (ფ. „კახა ლაბორალი", პირადი მიზეზი), იგნერსკი (ფ. „ბეშიქთაში", ტრავმა);

**სერბეთი:** რადულიცა (ც. „ცრვენა ზვეზდა", ტრავმა), რაკოვიჩი (ც. „მონტეპასკი", პირადი მიზეზი), რადენოვიჩი (ფ. „მენორკა", პირადი მიზეზი);

**საფრანგეთი:** მ. პიეტრუსი (ფ. „ფინიქსი", ტრავმა);

**იტალია:** ჯილი (ფ. „რომა", ტრავმა), ჯაკეტი (ფ. „რომა", ტრავმა), კროზარიოლი (ც. „რომა", ტრავმა), ბულერი (მც. დაასრულა კარიერა).

**ლატვია:** ბიედრინში (ც. „გოლდენ სტეიტი", დაზღვევა), ვალტერსი (ფ. „უნიკახა", ტრავმა);

**საბერძნეთი:** სპანულისი (მც. „ოლიმპიაკოსი", ტრავმა), შორცანიდისი (ც. „მაკაბი", პირადი მიზეზი), მავროკეფალიდისი (ც. „სპარტაკი", პირადი მიზეზი), დიამანტიდისი (მც. „პანათინაიკოსი", პაუზა კარიერაში), პაპალუკასი (მც. „ოლიმპიაკოსი", დაასრულა სანაკრებო კარიერა), ცარცარისი (ც. „პანათინაიკოსი", პაუზა კარიერაში), პრინტეცისი (ფ. პაუზა კარიერაში);

**ხორვატია:** უკიჩი (მც. „ფენერბაჰჩე", ტრავმა), როუიჩი (ფ. „ციბონა", ტრავმა), პლანინიჩი (მც. „ხიმკი", პირადი მიზეზი), ლონჩარი (ფ. „ხიმკი", პირადი მიზეზი), კუსი (მც. „ბენეტონი", პაუზა კარიერაში);

**რუსეთი:** კაუნი (ც. „ცსკა", ტრავმა), ჰოლდენი (მც. დაასრულა კარიერა);

**სლოვენია:** ბ. უდრიხი (მც. „მილუოკი", პირადი მიზეზი), ბრეჟეცი (ც. „ლოკომოტივი", პირადი მიზეზი), ნახბარი (ფ. „ეფესი", ტრავმა), ბეჩიროვიჩი (მც. პირადი მიზეზი), ვუიაჩიჩი (მც. „ეფესი", პირადი მიზეზი);

**ბულგარეთი:** ჯააბერი (მც. „მილანი", პირადი მიზეზი).

● ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ესპანიოლი-ხიმნასტიკი | 1:1 |
| ბარსელონა-ხირონა | 2:1 |
| **გერმანია** | |
| **II ბუნდესლიგა** | |
| ჰანზა-ბოხუმი | 0:0 |
| **რეგიონალლიგა (სამ)** | |
| ნიურნბერგი A-ბაიერნი A | 2:2 |
| **საფრანგეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| მეცი-არლი | 0:0 |
| **ჰოლანდია** | |
| **II დივიზიონი** | |
| აპელდოორნი-კამბური | 2:4 |
| **დანიის თასი** | |
| სკაგენი-ჰიორინგი | 0:7 |
| ვიბორგი-სკივე | 1:1 პენ. 4:2 |
| **ნორვეგია** | |
| სტარტი-ჰაუგესუნდი | 1:4 |
| **შვედეთი** | |
| **II დივიზიონი** | |
| ჰამარბიუ-ლიუნგსკილე | 1:3 |
| სუნდსვალი-ლანდსკრონა | 2:0 |
| **შვეიცარია** | |
| **ჩელენჯლიგა** | |
| ლუგანო-არაუ | 3:1 |
| **ირლანდია** | |
| **ლიგის თასი** | |
| კორკი-ლიმერიკი | 3:1 |
| **რუმინეთი** | |
| კორონა-რუხი | 2:2 |
| **ბულგარეთი** | |
| ლევსკი-სლავია | 1:0 |
| **ბელარუსი** | |
| გომელი-მინსკი | 2:1 |
| **ლატვია** | |
| ვენტსპილსი-გულბენე | 1:1 |

**კალათბურთი**

| ამხანაგური მატჩები | |
|---|---|
| ბოსნია-სერბეთი | 61:82 |
| სლოვენია-ხორვატია | 60:65 |

**ჩოგბურთი**

| ATP. მონრეალი | |
|---|---|
| დოლგოპოლოვი-ჩვოიკა | 6:3, 5:7, 6:4 |
| ვავრინკა-ნალბანდიანი | 6:1, 6:4 |
| ანდუხარი-ანდერსონი | 4:6, 4:6 |
| კარლოვიჩი-მონაკო | 6:7, 6:3, 7:6 |
| ბოგომოლოვი-მანარინო | 6:2, 7:6 |
| გულბისი-ფერერო | 3:6, 6:1, 7:5 |
| ბელუჩი-გოლუბევი | 7:5, 7:6 |
| დოდიგი-შარდი | 6:3, 6:4 |
| **WTA. ტორონტო** | |
| გაიდოშოვა-პეტროვა | 1:6, 2:6 |
| სტოსური-მორიტა | 4:6, 6:2, 6:3 |
| საფაროვა-ჰერცოგი | 6:3, 4:6, 6:3 |
| ზაკოპალოვა-არნი | 3:6, 1:6 |
| ბარტოლი-ვოსკობოევა | 3:6, 3:6 |
| ჟენგი-ბრიანტი | 6:2, 6:1 |
| კუზნეცოვა-ჰალეპი | 6:4, 4:6, 3:6 |

● TV პროგრამა

**9 აგვისტო. სამშაბათი**

**GMG-ფეხბურთი**

**10:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**11:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**12:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. ჰერტა-ნიურნბერგი.
**14:00** არგენტინის ჩემპიონატი. I ტური. ოლიმპო-ბოკა ხუნიორსი.
**16:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტური. ნანსი-ლილი.
**18:00** საფრანგეთის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**19:00** ჰოლანდიის ჩემპიონატი. I ტური. ალკმაარი-ეინდჰოვენი.
**21:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტურის მიმოხილვა.
**22:00** გერმანიის ჩემპიონატი. I ტური. დორტმუნდი-ჰამბურგი.
**00:00** ამხანაგური მატჩი. ტაილანდის ვარსკვლავები-ჩელსი.

**GMG-სპორტი**

**10:00** ფეხბურთი. ამხანაგური მატჩი. ტიანძინი-რეალი.
**12:00** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-მილუოკი.
**13:30** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა.
**19:00** RELIVE ბადმინტონი.მსოფლიო თასი.ლონდონი
**19:40** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა. მიმოხილვა.
**20:00** ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა (LIVE).
**00:30** ყოველკვირეული ტელეჟურნალი - გზა ლონდონისკენ.
**00:50** კალათბურთი. NBA. 2010-2011 წლების სეზონი. სუპერმატჩი. მაიამი-მილუოკი.

**НТВ-პლუსი (ჩოგბურთი)**

**20:00** ATP-ის ტური. მასტერსი. მონრეალი. კანადა (LIVE).

**НТВ-პლუსი (კალათბურთი)**

**15:25** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. მე-3 ადგილისთვის. ჩინეთი (LIVE).
**17:25** კალათბურთი. საერთაშორისო ტურნირი - სტანკოვიჩის თასი. ფინალი. ჩინეთი (LIVE).
**03:00** WNBA. რეგულარული ჩემპიონატი. ვაშინგტონი-ატლანტა (LIVE).

**SPORT+**

**22:40** ფეხბურთი. ინგლისის ლიგის თასი. I რაუნდი. ლიდსი-ბრედფორდი (LIVE).

**EUROSPORT**

**17:00** ველოსპორტი. ბენილუქსის ტური. I ეტაპი (LIVE).
**19:00** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. ტორონტო. კანადა (LIVE).
**20:45** ჩოგბურთი. WTA-ის ტური. I დღე. ტორნოტო. კანადა (LIVE).
**01:45** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/8 ფინალი. კოლუმბია (LIVE).

**EUROSPORT-2**

**17:00** კალათბურთი. ექვსი ერის თასი. მე-5 ადგილისთვის. ლუბლიანა. სლოვენია (LIVE).
**20:00** კალათბურთი. ექვსი ერის თასი. მე-3 ადგილისთვის. ლუბლიანა. სლოვენია (LIVE).
**22:00** კალათბურთი. ექვსი ერის თასი. ფინალი. ლუბლიანა. სლოვენია (LIVE).
**02:00** ფეხბურთი. მსოფლიოს ჩემპიონატი (20-წლამდელები). 1/8 ფინალი. კოლუმბია (LIVE).

● მძლეოსნობა

# ახდენილი ოცნება

სამხრეთ აფრიკის მძლეოსნობის ფედერაციამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ სახელგანთქმული ამპუტანტი მორბენალი **ოსკარ პისტორიუსი** შეყვანილია ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, რომელიც კორეის ქალაქ ტეგუში მსოფლიოს ჩემპიონატში მიიღებს მონაწილეობას.


ოსკარ პისტორიუსი

ივლისში, იტალიის ქალაქ ლინიანოში გამართულ საერთაშორისო ტურნირზე 24 წლის პისტორიუსმა 400 მეტრზე სირბილში მსოფლიოს ჩემპიონატის ნორმატივი ჩააბარა. ოსკარს 45.25 წამში უნდა გაერბინა ერთი წრე, მაგრამ მან ეს 45,07 წამში მოახერხა, არადა, აქამდე მისი პირადი რეკორდი 45,61 წამს უდრიდა.

რამდენიმე წლის წინ მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციამ აუკრძალა პისტორიუსს ჯანმრთელი მძლეოსნების გვერდით გამოსვლა. მაშინ ფედერაციის ექსპერტებმა მიიჩნიეს, რომ სპეციალური პროთეზები, რომელსაც სამხრეთაფრიკელი იყენებს, სხვა მორბენლებთან შედარებით გარკვეულ უპირატესობას ანიჭებს მას. ოსკარმა აპელაცია შეიტანა და საქმე მოიგო. ის 2008 წელს პეკინის ოლიმპიადაზე გამოსვლას გეგმავდა, მაგრამ ნორმატივი ვერ შეასრულა.

ტეგუში პისტორიუსი 400 მეტრზე ინდივიდუალურ გარბენში მიიღებს მონაწილეობას, გარდა ამისა, 4X400 მეტრზე ესტაფეტის გუნდშიც არის შეყვანილი. სულ სამხრეთ აფრიკის ნაკრებში 26 სპორტსმენია, მათ შორის სკანდალურად ცნობილი კასტერ სემენია, რომელსაც ტიტულის დაცვა უწევს 800 მეტრზე სირბილში.

● კრივი

# კლიჩკოს ოლიმპიადა არ აინტერესებს

უკრაინელმა მძიმეწონოსანმა **ვლადიმერ კლიჩკომ** განაცხადა, რომ არ აპირებს 2016 წელს რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობას. WBA-ის, WBO-ისა და IBF-ის ჩემპიონის თქმით, ოლიმპიური ჩემპიონები სამუდამოდ ხდებიან და კიდევ ერთხელ ზაფხულის თამაშებში მონაწილეობა მის გეგმებში არ შედის. შეგახსენებთ, რომ უმცროსმა კლიჩკომ 1996 წელს ატლანტას ოლიმპიადაზე ოქროს მედალი მოიპოვა.

ადრე სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ფედერაციამ (AIBA) გამოაცხადა, რომ პროფესიონალ მოკრივეებს 2016 წლის თამაშებზე გამოსვლის ნებას დართავს. ეს ორგანიზაცია მეთოდურად აპირებს სამოყვარულო და პროფესიული კრივის გაერთიანებას. ამ მხრივ პირველი ნაბიჯი იქნება მოყვარულებს შორის ჩაფხუტების აკრძალვა.

გერმანული „ბილდის" ცნობით, 35 წლის კლიჩკომ მოიწონა AIBA-ის იდეა. მისი თქმით, თუ პროფესიონალებს ოლიმპიადაზე გამოსვლის ნებას დართავენ, ეს მხოლოდ ხელს შეუწყობს სპორტის ამ სახეობის პოპულარიზაციას.

1996 წლის ოლიმპიადაზე კლიჩკო მძიმე წონაში გამოდიოდა და ფინალში ტონგას წარმომადგენელი **პაეა ვოლფგრამი** დაამარცხა. ამის შემდეგ გადავიდა უკრაინელი მძიმე წონაში.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი



# პრობლემატური კოცნა

ლეგენდარულმა **შაკილ ო'ნილმა** კარიერა დაასრულა და ახლა თავისუფალი ცხოვრებით ტკბება. მეგზურად კი უკვე წელიწადზე მეტია ვინმე **ნიკოლ ალექსანდერი** აირჩია. 28 წლის ნიკოლმა სახელი იმით გაითქვა, რომ 2008 წელს VH1-ზე რეალიტი-შოუ მოიგო და 250 ათასი დოლარი დაიმსახურა, ახლა კი შაკის გერლფრენდობით იწონებს თავს.

ისინი კალიფორნიის კურორტ კალაბასასში დააფიქსირეს. რთულია ამ წყვილს იდეალური უწოდო: შაკის სიმაღლე 216 სანტიმეტრია, ნიკოლისა - 158 სანტიმეტრი. ამიტომაც არის, რომ კოცნისთვის ყოფილ კალათბურთელს ოთხად მოკეცვა სჭირდება...



ფორმულა 1

# დიდ ცირკში ბალასტს ეძებენ

მსოფლიოს წლევანდელი ჩემპიონატი 19 გრანპრისგან შედგება. აქედან ცხრა ავტოდრომის მფლობელებს შეუძლიათ მშვიდად იყვნენ საკუთარი მომავლის გამო. მომავალ წელს დებიუტი აქვს ოსტინში აშშ-ის გრანპრის, 2014 წელს კალენდარში შეიტანენ რუსეთის ეტაპს. ასე რომ, დღეს მოქმედი ეტაპებიდან რომელიმეზე უარის თქმა გახდება საჭირო.

რა თქმა უნდა, საბოლოო გადაწყვეტილების მიღება რთული იქნება. უამრავი ფაქტორია გასათვალისწინებელი, მათგან უმთავრესი - ეკონომიკური. გრანპრის მასპინძლობის უფლება ბევრ ქვეყანას სურს, თუმცა კონტრაქტების ღირებულება კოლოსალურია. ხშირად ეტაპებს ეროვნული ან რეგიონალური მთავრობები აფინანსებენ და რბოლა პოლიტიკური სიტუაციის მსხვერპლი ხდება.

ბრიტანული Autosport-ის ჟურნალისტებმა შეაფასეს სიტუაცია იმ ავტოდრომებთან გაფორმებული კონტრაქტების მხრივ, რომლებიც წელს მასპინძლობენ რბოლებს, აგრეთვე განიხილეს მომავალში მათი ჩემპიონატში დარჩენის შანსები.

თავდაპირველად უნდა აღინიშნოს, რომ კონტრაქტების მიხედვით დამტკიცებულია უახლოეს წლებში უნგრეთის, ბრაზილიის, მალაიზიის, მონაკოს, ბრიტანეთისა და აბუ დაბის რბოლების ჩატარება.

**მონრეალი და კორეა:** კონტრაქტები 2014 წლის ბოლომდე.

**სინგაპური:** კონტრაქტი 2013 წლის ბოლომდე, რომელსაც, სავარაუდოდ, კიდევ ხუთი წლით გაახანგრძლივებენ. თუმცა ადგილობრივი ვალუტის კურსის ცვლილება ნეგატიურად აისახება ეტაპის შემოსავლიანობაზე.

**ჩინეთი:** ჭორების მიხედვით, ცოტა ხნის წინ შეათანხმეს 2016 წლის ბოლომდე გაფორმებული კონტრაქტის ახალი პირობები. მისი მიხედვით, ჩინელებს ორჯერ შეუმცირეს რბოლისთვის ჩასატარებელი გადასახადი.

**ბაჰრეინი:** სახელმწიფო მხარს უჭერს ეროვნული გრანპრის გამართვას, მაგრამ 2011 წელს ეტაპი გააუქმეს პოლიტიკური კრიზისის გამო. ასეთი რამ გაისადაც შეიძლება მოხდეს.

**ავსტრალია:** მელბურნის ავტოდრომს კონტრაქტი 2015 წლამდე აქვს, თუმცა ეტაპის ორგანიზატორებს რეგიონული მთავრობის მხრიდან მუდმივი სერიოზული პრესინგის პირობებში უწევს მუშაობა. „ალბერტ-პარკზე" რბოლის მომავალი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად მოხერხდება ფინანსურ პირობებზე **ბერნი ექლსტოუნთან** მოლაპარაკება. თუ ეს საკითხი არ მოგვარდა, ავსტრალია ფორმულა 1-ის გარეშე დარჩება.

**ბარსელონა და ვალენსია:** ბარსელონასთან მოქმედი კონტრაქტი დასრულდა. ტრასა და ბოქსების კომპლექსი რეკონსტრუქციას საჭიროებს. შესაძლებელია ეტაპების გამართვა ვალენსიასთან მონაცვლეობით, თუმცა ეტაპი ქუჩის ტრასაზე ორგანიზატორებისთვის წამგებიანია. მხარეები განიხილავენ ახალი კონტრაქტის პირობებს ნაკლები გადასახადით. ასევე შესაძლებელია ესპანეთის გრანპრის მთლიანად ვალენსიაში გადატანა.

**ჰოკენჰაიმი და ნიურბურგრინგი:** ნიურბურგრინგს კონტრაქტის პერიოდი ამოეწურა, ჰოკენჰაიმს 2012 წლის ბოლოს უმთავრდება. ორივე გერმანული ტრასა ზეწოლას განიცდის მთავრობისა და ეკოლოგების მხრიდან, მაგრამ გადასახადების შემცირების შემთხვევაში შესაძლებელია ამ ტრასებზე კვლავ მონაცვლეობით გერმანიის გრანპრის ჩატარება.

**სპა:** კონტრაქტი 2012 წლის ბოლომდე. ფინანსური პრობლემების გამო ავტოდრომის მფლობელები მზად არიან მიჰყიდონ ის ახალ ინვესტორებს.

**მონცა:** იტალიის გრანპრის ორგანიზატორებიც გრძნობენ ზეწოლას ეკოლოგების მხრიდან, მაგრამ ეტაპის გამართვას სერიოზულად არაფერი ემუქრება.

**სუზუკა:** ტრასა კომპანია „ჰონდას" ეკუთვნის და მისი წარმომადგენლები ირწმუნებიან, რომ რბოლის ჩატარებას მომავალში არაფერი ემუქრება. თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, რომ ყოველწლიურად იაპონელი გულშემატკივრების მხრიდან ინტერესი იკლებს და ეს შემოსავალზე აისახება.

**ინდოეთი:** წელს ამ რბოლას დებიუტი აქვს და მრავალწლიანი კონტრაქტი წლევანდელი გრანპრის კომერციულ წარმატებაზე იქნება დამოკიდებული.



ექლსტოუნმა რთული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს

# წითელი ხარის პროგრესი

ერთთვიანი საზაფხულო პაუზა - კარგი შესაძლებლობაა საშუალედო ფინიშზე პილოტებისა და გუნდების შედეგების შესაჯამებლად. ამჯერად, ფორმულა 1-ის ოფიციალურ ვებგვერდზე შეადარეს 2010 და 2011 წლის სეზონების პირველი 11 რბოლის შედეგები.

აშკარაა სეზონის ლიდერის **სებასტიან ფეტელის** პროგრესი. პირველი 11 ეტაპის შემდეგ მან 98 ქულით მეტი მოიპოვა, ვიდრე შარშანდელი ჩემპიონატის ამავე ეტაპზე. საინტერესოა, რომ გერმანელის ამჟამინდელი მონაგარი მხოლოდ 22 ქულით ნაკლებია 2010 წელს მოპოვებული ქულების სრულ რაოდენობაზე.

პროგრესის მხრივ მეორე ადგილზეა „ლოტუს-რენოს" რუსი პილოტი **ვიტალი პეტროვი**, რომელმაც შარშანდელთან შედარებით 25 ქულით მეტი დააგროვა. ასევე დადებითი სხვაობა აქვთ **ფერნანდო ალონსოს, მარკ უებერს, კამუი კობაიაშისა** და „ტორო როსოს" ორივე პილოტს.

გუნდებს შორის პროგრესი განიცადეს „რედ ბულმა", „ფერარიმ" (მხოლოდ 7 ქულა), „ზაუბერმა" და „ტორო როსომ". ყველაზე მეტი დაკარგეს „მერსედეს გრანპრიმ", „ლოტუს რენომ" და „უილიამსმა".

პირადი ჩათვლა

| | 2011 | 2010 | სხვ | მოგ | პოლ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. ფეტელი | 234 | 136 | +98 | +4 | +5 |
| 2. უებერი | 149 | 136 | +13 | -3 | +1 |
| 3. ჰემილტონი | 146 | 157 | -11 | - | -2 |
| 4. ალონსო | 145 | 123 | +22 | -1 | +2 |
| 5. ბატონი | 134 | 143 | -9 | - | -1 |
| 6. მასა | 70 | 85 | -15 | - | -3 |
| 7. როსბერგი | 48 | 94 | -46 | - | -3 |
| 8. პეტროვი | 32 | 7 | +25 | - | +1 |
| 9. შუმახერი | 32 | 38 | -6 | - | - |
| 10. კობაიაში | 27 | 15 | +12 | - | - |
| 11. სუტილი | 18 | 35 | -17 | - | - |
| 12. ბუემი | 12 | 7 | +5 | - | - |
| 13. ალგერსუარი | 10 | 3 | +7 | - | - |
| 14. ბარიკელო | 4 | 29 | -25 | - | - |

კონსტრუქტორთა თასი

| | 2011 | 2010 | სხვ | მოგ | პოლ |
|---|---|---|---|---|---|
| 1. რედ ბული | 383 | 272 | +111 | +1 | +6 |
| 2. მაკლარენი | 280 | 300 | -20 | - | -2 |
| 3. ფერარი | 215 | 208 | +7 | -1 | -1 |
| 4. მერსედესი | 80 | 132 | -52 | - | -3 |
| 5. ლოტუს რენო | 66 | 96 | -30 | - | - |
| 6. ზაუბერი | 35 | 15 | +20 | - | - |
| 7. ფორს ინდია | 26 | 47 | -21 | - | - |
| 8. ტორო როსო | 22 | 10 | +12 | - | - |
| 9. უილიამსი | 4 | 31 | -27 | - | - |

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**



რედ ბულს დიდი პროგრესი აქვს